

# გოჯხება

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 1 (10), თებერვალი, 2017

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-  
თიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
კემალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



# სარჩევი

## კლასიკა

### **ილია ჭავჭავაძე**

მგზავრის წერილები.....	3
უამი მხსნელი ენერგიის გამოღვიძებისა!	5

### თებერვლის მოვლენებიდან დღემდე

### **პეტალ შონია**

ჩანიხლული სამართალი და	
აღზევებული მკვლელები .....	8
სამშობლოსათვის დაღუპულ	
მამულიშვილთა სისხლი ცას	
შესჩუბჩუბებს და სამართალს	
ითხოვს!.....	12

### **მურმან ზაქარაია**

ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე?.....	14
<b>როპერტ პეტრიაშვილი</b>	
სიყვარულში ნაწრთობი მახვილი .....	19

## განათლება

### **მურმან ზაქარაია**

ძველი კოლხ-იბერული ტრადიციული	
სწავლა-აღზრდის კულტურის	
გარდაქმნა ქრისტიანული რწმენის	
საფუძველზე .....	22

## პროგა

### ლაშა გვასალია

კაკაბია .....	31
ჩასაფრებული მოლოდინით.....	33

### **გურამ მოლაშხია – 80**

იდლეგრძელეთ, ბატონო გურამ!	35
----------------------------	----

## **მურმან ზაქარაია**

ტკივილით დაწერილი ლექსები .....	36
<b>გურამ მოლაშხია</b>	
ლექსები .....	39

## პოეზია

### **ამრიღონ ჩეგიანი**

ლექსები .....	41
<b>ირინა სარიშვილი</b>	
არ მომკვდარა!.....	44
<b>ვალერიან ვეკუა</b>	
ლექსები .....	46
<b>რაისა მუზიჩევო</b>	
ლექსები .....	48
<b>თორნიკო ქავშაია</b>	
ლექსები .....	51
<b>გოგი შონია</b>	
პატარა ... დიდი საქართველო!	58

## პირველი სტრიქონები

### **ანაონ ჯოგავა**

თოვლის ბაბუა არსებობს!.....	62
-----------------------------	----

## თვალსაზრისი

### **შალვა გაქაცარია**

ტოპონიმ „ეშერას“ ეტიმოლოგი- ისათვის .....	63
--	----

## ხსოვნა

ნანა ჩიჩუას ხსოვნას .....	64
ჩვენი ნანა .....	65
მეგობრის გახსენება .....	66

## ილია ჭავჭავაძე

### მგზავრის წერილები

(ნაწყვეტი)

I

დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინა და-მეს ჩამოვხტი, რუსის პირდაუბანელმა და თავდაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშტის პო-ვოსკა მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკ-ვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელკისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიღუნ-მოდუნე-ბული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვუ-ლი მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაც-რავად, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახ-სენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, – პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჟ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვე-რა ვხედავთ.

როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთადერ-თი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნო-ბილს ფრანსიელს გამოსასალმებლად.

#### VII

– ერთი მითხარ, თუ ლმერთი გწამს, – ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამენია, – აი, სტეფანწმინდას პირდაპირ რა მონასტერია?

– თერგ-გაღმით?

– დიაღ.

– გინყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინ-დნოსთ მკვდართა, წმიდა სამების სახტარი არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

– როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბ-ჭო?

– ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარ-



ვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფა-რად აქ ზიდულა მრავალჯერ.

– საბჭო რაღა არის?

– საბჭოი? იქაიდ არნ სენაკ, სად სამარ-თალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

– ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

– რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგას-მენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გა-მართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერკაცნი, პეიტრობით სახელდებულნი, დასხმიან მათ იმ სენაკი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახე-ლით, ხთისგან მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი სთემიან, გადასჭრიდიან, არვინ შეშლიან, არ-ვინ გადავლიან.

– შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

– რაიდ შავესწროდი? ადრინდალ თქმულო-ბას გიზრახავნ.

– ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

– აწინა?..

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თვითონ მკითხა მე:

- შენ რაი მიღეთის ხარნ?
- ქართველი ვარ, განა ვერ შემატყვე?
- რაიდ შეგეტყვის? ტალავარ არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.
- განა კაცს ქართველობა მარტო ტანისა-მოსზედ შეეტყობა?
- თვალთათვის ტყობად სამასელ არნა.
- ენა და საუბარი?
- ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვა-მეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მიღეთიც.
- ტანისამოსს ქართველისას კი ცოტანი იცმენ?
- ქართველის ტალავარის იერი სრულად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების.
- ქართველი გულით უნდა ქართველობ-დეს, თორემ ტანისამოსი რა არის?
- მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაი-ხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალა-ვარ გარედ არნ, სახედველ.
- თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.
- იქნების.
- არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა. ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.
- წელანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი, – დავიწყე კვლავ მე, – მე გკითხე, ეხლა რატომ ალარ ბჭობენ-მეთქი სამების სე-ნაკში.
- ანინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვართ. ანინა ყველაი გაცუდდის, ყველაი გა-უქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს, გუჯარიც მაჟსცის საშვილიშვილოდ. ყვაველ ღამ ანინაც გერგე-თიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერ-გეთელნ ანინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობაშ ყური არ ათხოვის. გერგეთი ანინა სხვავითა ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მათხავ-ნილ მაღლით ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის.
- მაშ უნინდელი დაწყობა და დრო უკეთე-სი იყო?
- რაიდ არა?
- რით იყო უკეთესი?
- ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ.

ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვა-შაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთურთს დავეყუდნით, ერთურთს ვიხვეწებ-დნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვითარევდით, შინ მიწრიელს, გარეთ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერდნით, ერთურთს ლალ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდით და ესრეთ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა. ანინა ერო-ბა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდის. ანინა ქვრივ-ობოლ ვინა განიკითხის, ატირ-დომილ გააცინის, დაცემულ ვინ ალადგინის? ანინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და გულად ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გა-ლახულ არნ. ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყო-ბაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრა ქვეყანაი, რაია ანინა ჩვენი დარჩენა? ჭა-მად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩა-ვი მახევე?..

- ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?
- რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარი-ალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს უანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვი-დაბა მიწაჩიც გვეყოფის.
- მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გინიოკებდათ ხოლმე?
- ანინა მევალე სვამეხი უფროს გვანი-ოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამახს რაი ეყვის, ვერ მო-საგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობა-ჩი, სახელ ვშაობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ-იყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნო-ბაი მიეწყვებოდის. აგერნა თერგკიდურზედ ხელთუქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ.

- როგორ ხელთუქმნი?
- ხთით არ ციხედა, არ შეუვალ, არ შეულებ.
- მერე რა უნდა გეთქვა?
- იქად ადრიდა კახთ ლაშქარ მისევოდის. ელაშქრნათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრნუნებულს ბატონთან შველაი ეზრახნა. მან შველაი ვერ მასცის. შანუხდის უშველი ერი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მოხოცენს, მავიდნენ ციხეჩი, ალამნი დასცის. ერთი ყაფილა პეიტარბერ-კაცი, მახევე. ქალაი ჰყოლია უთხოვარ, მზედუნახველ. მან, მახევემ გაისაურნა კახთ ლაშქრის დათრობად. მაზიდნა ღვინო, შაგზავნა ციხეჩი. თვისა ქალსა მზედუნ ამცნის მოლორნა კახთ ლაშქრის. მოვეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი. დასცის კიუინა, კახნი სრულ მთვრალნი მახოცნის. ხელთ იგდის მახევეთ კვლავადა ციხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს, მან მაჰსცა წყალობად იმ ქალაის მამას იგ ციხე, გუჯარიც მაჰსცა...  
 - ეგ რა ვაჟაცობა ყოფილა?  
 - რაიდ არა? ჭკუიანი ვაჟაცობაი ეგე არნ. სად ლონეი ვერ ჰლონობს, იქად ხერხს ემუდვნის.  
 - მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გეთქვა?  
 - ანინა ყაველნი ქართველნ ძმანები ვართ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ ადრიდა სამსახურს თავვი-დევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდ იყვის;

სახელით, ვაჟაცობით სარჩო-საბადებელთ მაშოვერ ვიყვენით, კაცი უბრალოდ არ წარხდის. ანინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთურთ ლალატით სარჩო-საბადებელ საშოვერ გაგვიხდნის.

## VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტკინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..

## ჟამი მესნელი ენერგიის გამოღვიძებისა!

ნაწყვეტები ილიას ამ მრავალმხრივად მნიშვნელოვანი ნაწარმოებიდან ჩვენს უურნალში საგანგებოდ იბეჭდება იმ ძირითადი თემატიკის ერთგვარ წინასიტყვაობად, რომელსაც „მიჯნის“ ეს ნომერი ეძღვნება. ილიას უკვდავმა კალამმა კიდევ ერთხელ უნდა შეაჯანჯლაროს და გამოაფხიზლოს ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ვერ აცნობი-ერებს ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარ საფრთხეებს და თავისი ინერტულობითა და შემგუებლობით მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. მეტიც, მოსახლეობის სოციალური სიდუხჭირე, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში არსებული პრობლემების მომაბეზრებე-

ლი მოუგვარებლობა, რასაც ემატება დღევანდელი ხელისუფლების არასათანადოდ ეფექტური საგარეო პოლიტიკა და სულ უფრო პროგრესირებადი რუსული იდეოლოგიური ექსპანსია, ზოგ-ზოგს ისევ ჩრდილოეთისკენ ახედებს, თითქოს დამპყრობელ, მოძალადე სახელმწიფოსთან ჩახუტებაში იპოვის შვებასა და საშველს. ილიას ნათქვამისა არ იყოს, ჩვენი გაჭირვებით მოძალებული კვამლი ისე აგვიბამს თვალებს ხოლმე, რომ საფრთხეს და უბედურებას ვერ ვამჩნევთ, ანუ იმის თანახმაც ვართ, რომ კისერი შევუშვიროთ მონობის ულეელს.

იმისათვის, რომ ეს საფრთხე თავიდან ავი-

ცილოთ, აუცილებელია სათანადო ძალისა და ნების ჩვენივე წიაღმი მოხმობა და ლამპარი-ვით წამდლვარება. ქართველი ერი ყოველთვის ახერხებდა ამ საოცარი და მხსნელი ენერგიის გამოლვიძებასა და აბობოქრებას ნებისმიერი განსაცდელის უამს, ისტორიის უძნელეს გზა-ზე ასე გადიოდა იგი ბეჭედეთიდან სინათლეზე და ნებისმიერი მტრის წინაშე ბრძოლით ინარ-ჩუნებდა მამულს, ენასა და სარწმუნოებას. ამ ბრძოლის ხარისხი და ეფექტურობა დამოკი-დებულია იმაზე, თუ საზოგადოება, მისი თი-თოეული წევრი რამდენადაა მობილიზებული და მონოდებული იმ დიადი მისის სამსახური-სათვის, რომელიც ისტორიულად ერგო ჩვენს ერს და რომლის აღსრულება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია.

თითოეულ მამულიშვილში უნდა სუნთქავ-დეს და ფხიზლობდეს ილიას მიერ დახატული ერთი რიგითი ქართველი – მოხევე ლელთ ღუნია. ამ დაკვირვებული, ბრძენი, ცხოვ-რებისეული გამოცდილებით აღჭურვილი და თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებუ-ლი ქართველის ყოველი სიტყვა, არსებული სინამდვილიდან გამოტანილი ყოველი დასკვნა უაღრესად აქტუალურია დღესაც, ამ მოთ-ხობის დაწერიდან საუკუნე-ნახევრის შემ-დეგაც, და აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ქართველებს რუსული ტალავარი აცვიათ, მით უმეტეს, რომ ეს ტალავარი რუსული სუ-ლაც არ არის, ევროპულია, არამედ ის, რომ იმპერია მეთოდურად არღვევს და ანგრევს ქართულ სულს, ეროვნულ თვითშეგნებას და ასე ახერხებს ქართველი ადამიანის გადაგვა-რებას.

მთავარი ფორმულა, რომელსაც ილია გვაწვდის ლელთ ღუნიას პირით, ისევ და ისევ ერის სიცოცხლისა და თავისთავადობის, აღ-მშენებლობისა და განვითარების უპირველეს პირობას – თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უკავშირდება: „ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“. ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი: ისიც, რომ თავისუფლება ჩვენი უკეთესად ყოფნისა და არსებობის ძირითადი გარანტიაა, და ისიც, რომ თავისუფლება დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა, რადგან ცნობილია, რომ თავისუფლების მოპოვებაზე არანაკლებ ძნელი მისი შენარჩუნებაა, ეს კი მხოლოდ და მხოლოდ ლელთ ღუნიას და თვით ილიას,

ერის საუკეთესო შვილების სულისკვეთებით იქნება შესაძლებელი.

ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მო-პოვების შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა. ეს წლები აღსავსე იყო კატაკლიზმე-ბით, ტრაგედიებით, განსაცდელებით. სამწუ-ხაროდ, ვერ შევძელით საზოგადოების შეკ-ვრა, შედუღაბება თავისუფლების იდეის გარ-შემო და ბევრჯერაც დადგა საფრთხის წინაშე სახელმწიფობრიობის შენარჩუნების საკით-ხი. ეს ყველაფერი არის შედეგი იმ სისხლიანი პუტჩისა, რომლითაც დამხობილ იქნა ეროვ-ნული ხელისუფლება 1991 -1992 წლებში. ეს მაშინ როცა, მტრულ გარემოცვაში მყოფი, წვალებითა და ჯახირით დამოუკიდებლობის შენარჩუნებას კი არა, მის განუხრელ გაძლი-ერება-განმტკიცებას უნდა ვახერხებდეთ. რა თქმა უნდა, აქ უმნიშვნელოვანესი ისევ და ისევ არის თითოეული ჩვენგანის იდეურობა და მრნამსი, ჩვენი პასუხისმგებლობა სახელ-მწიფოს წინაშე, მოქალაქეობრივი ვალის შეგ-ნება და არა პიროვნული ინტერესები, ქვენა გრძნობები, პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ნეპოტიზმის, არაკომპეტენტურობის წახალისება და ა.შ. ყოველივე ეს ანყლულებს ერს, აავადებს საზოგადოებას კონფორმიზ-მით, შემგუებლობით, მონური ფსიქოლოგით, რისი გზაც მხოლოდ უკან – ბნელეთისკენ, გა-ნუკითხაბობისკენ, უკანონობისკენ, ცხოვრების ქურდული წესის დიქტატისკენ, იმპერიული სინამდვილისკენ დაგვაბრუნებს, რომელსაც დიდი მსხვერპლისა და სისხლის ფასად გამო-ვალნიეთ.

ოცდაექვსი წლის წინათ განხორციელებუ-ლი სისხლიანი პუტჩი იმპერიამ სწორედ იმ სულმოკლე, გონებარეული ვაი-ქართველების ხელით განახორციელა, რომლებმაც სამშობ-ლოს ინტერესები თავიანთ კეთილდღეობაზე გაცვალეს, რომლებისთვისაც ქვეყნის დამოუ-კიდებლობაზე უფრო მთავარი თავიანთი პრი-ვილეგიები და უზრუნველი ცხოვრება იყო, რომელთათვისაც პატრიოტიზმი საკუთარი მინიერი მოთხოვნილებებით ისაზღვრებოდა, რომლებმაც უდალატეს ეროვნულ იდეას და ესროლეს საქართველოს დამოუკიდებლობას, დახოცეს და ანამეს, გააუბედურეს თავიანთი სისხლ-ხორცი, ქვეყანა კი გაძარცვეს და გა-აპარტაქეს.

ასეთი ადამიანები დღესაც ბოგინობენ და

ჩვენს წინსვლას ფარული თუ აშკარა ქმედებებით აფერხებენ, მაგრამ, საბედნიეროდ, კვლავაც მრავლად არიან სამშობლოზე მოფიქრალი ლელთღუნიები, ილიას, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას იდეის ერთგულები, იმავე „ნესტრით ნაჩხვლეტი“ მამულიშვილები, რომელთა გულისფიცარზე სამარადისოდ არის ამოშანთული სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

იმ ტკივილს, რომელმაც მაშინ ილიას ტვინიდან გულამდე ჩაურბინა და იქ, გულში ჩარჩა, სანატრელი პასუხი 1991 წელს სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებით გაეცა. ცოტა ხანში კი ამ დამოუკიდებლობას ლახვარი ჩასცეს სისხლიანი პუტჩის მომწყობებმა, რომლებმაც ქვეყანა ტერორისა და განუკითხაობის ქაოსში ჩააგდეს. ამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას მრავალი პატრიოტი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, მათ ხვრეტდნენ მშვიდობიან მიტინგებზე, ქუჩაში, ანამებდნენ საპყრობილებში. ამ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო 1998 წლის 9 თებერვალს ე. შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმა და შემდეგ ჯიხაშკარში განვითარებული მოვლენები, რასაც შემდგომ სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცის – გოჩა ესებუას ვერაგული მკვლელობა მოჰყვა.

ქართველმა ხალხმა სისხლიანი, უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი გმირული ფურცელი ჩაწერა; ახლა კი მეტი სიფხიზლე, მეტი შემართება, ერთიანობა, ეროვნული თანხმობა და თავდადება გვმართებს, რადგან მტერს არ სძინავს, იგი ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული და ჩვენს გათითოკაცებას, გადაგვარებას, მოდუნებას ელოდება, რათა დრო იხელთოს. ამიტომ კვლავაც გავიმეორებთ ზემოთ თქმულს: ჩვენს ფიქრებში, აზრებსა და მოქმედებაში კვლავაც უნდა მოვიხმოთ ლელთ ლუნია – მტერ-მოყვრის, ავისა და კარგის, სასარგებლოსა და საზიანოს ჭეშმარიტად გამრჩევი მოხევე, უნდა მოვიხმოთ „პირდაუბანელი და თავდაუვარცხნელი იამშჩიკის ფოსტის პოვოსკიდან“ საბოლოოდ გადმოსული და ქართველი ლელთ ლუნიას ცხენზე ამხედრებული ილია, რადგან ტაძრამდე – საქართველოს სრულ თავისუფლებამდე და გაერთიანებამდე, სამშობლოს ერთიანობამდე, ქართველი კაცის სულიერ ამაღლებამდე და, საბოლოოდ, ივერიის გაბრწყინებამდე მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ დასახული გზა მიდის.

**ურნალ „მიჯნის“ რედაქცია**



## პეტაშ მონია

# ჩაციხული სამართალი და აღზევებული გვალები (2 თებერვალის გამოქახილი)



იმ საშინელებიდან, რაც 1992-1993 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში დატრიალდა, 25 წლის მეტი გავიდა, მაგრამ სისხლიანი პუტჩის შედეგები დღემდე მოუშუშებელ ჭრილობად ატყვია საქართველოს სხეულსა და ყველა პატიოსანი ქართველის სულსა და გონიერას; ქართული სახელმწიფოებრიობის თავზე კვლავაც დამოკლეს მახვილივით კიდია იმ მოვლენებით დანერგილი სიუძლურე და ნებაზე მიშვებული უკანონობა, ძირს დამხობილი სამართალი და სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აღზევებული განუკითხაობა, დაუსჯელობა და მასთან დაკავშირებული ყოველგარი მარაზმი. ყოველივე ეს აწყლულებს ქართული საზოგადოების სხეულს, ადაბუნებს ადამიანთა გონის იქამდე, რომ ბევრს მტერი მოყვრისგან ვერ განურჩევა, მოღალატე და მზაკვარი თავისიანად მიუღია, შერიგებია უსამართლობას, მოუდრეკია ქედი, ჩაუქნევია ხელი, კონფორმისტად ქცეულა და მხოლოდ იმაზე ფიქრში ჩამწყვდეულა, თუ როგორ გაიტანოს თავი და რარიგად გაიხერხოს ლუკმაპური.

ქართველებს საკუთარი თავისადმი კრიტიკისა და ნაკლოვანებათა მხილების უნარი ყოველთვის გვჩვეოდა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმიმდევრობის სიციალური პირობები, სიდუხჭირე, უმუშევრობა, მოშლილი მეურნეობა, სოფლების კიდევ უფრო გაპარტახება და გაუკაცრიელება ისევ და ისევ ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ, მაგრამ არა იმის გამო, რომ წყალწალებულ ზარმაცებს შრომა არ გვიყვარს და უნიჭობი ვართ. არა, ჩემო კარგებო, თავის გატანის, გაძლების, ჭირსა შიგან გამაგრების შესანიშნავი უნარი გვაქვს, მაგრამ...

მაგრამ რაშია საქმე? რა ხდება ჩვენს თავს? რა გვჭირს? რატომ არა აქვს ნაყოფი ჩვენს ნაოფლარს? რატომ დაიცალა ქვეყანა და რატომ გარბიან ქართველები თავის საშველად საზღვარგარეთ?

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ და სხვა უბედურებათა სათავის დამდები სწორედ მეოთხედი საუკუნის წინ მომხდარი პუტჩი და მისგან გამომდინარე მოვლენებია: კანონიერი ხელისუფლების დამხობა, პრეზიდენტი ზვიად

გამსახურდიას განდევნა და კრიმინალებისა, გაზულუქებული კომუნისტური ინტელიგენციის, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მოფიქრალი არამზადების მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება, სახელმწიფოს განვითარების დასახული კურსიდან გადახვევა, პოლიტიკური ელიტის გამოფიტვა და გადაგვარება.

ეროვნული ხელისუფლების დამხობით ფეხქვეშ გაითელა ქართული იდეა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობას. ჩვენი ქვეყნის განვითარება ამ იდეით დასახული გზით რომ წასულიყო, დღეს, თუმცა გარეშე დაუძინებელი მტრისგან შეწუხებული, მაგრამ წელში გამართული, მოვლილი და მიზანმიმართული ქვეყანა გვექნებოდა, საზოგადოება შედარებით ერთიანი, მონოლითური იქნებოდა, შეიარაღებულმა პუტჩიმა კი იდეა უიდეობით შეცვალა, კანონი – უკანონობით, წესრიგი – ქაოსით, თანხმობა – ერთმანეთის ხოცვით, ერთიანობა – დაქსაქსულობით, ნდობა – უნდობლობით, სიყვარული – სიძულვილით, მიტევება – დაუნდობლობით, საქართველოზე ზრუნვა – საქართველოს ძარცვითა და გლეჯით, მშვიდობა – ომით... აი, ასეთი ცოდვის კალო დატრიალდა ჩვენი ქვეყნის თავზე და თქვენ როგორ ფიქრობთ, არ ტრიალებს დღესაც ეს ცოდვის კალო, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქს დღეს არავინ ანგრევს და სამეგრელოს არავინ შესევია? აქ არაფერს ვამბობ რუსეთის იმპერიასთან წაგებულ ომზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, თუმცა ეს წაგება არა მხოლოდ იმპერიის სამხედრო მანქანის სიძლიერემ განაპირობა, არამედ, და არანაკლებად, ქართველი თემურლენგვების, ჯალალედინების, შაპაბასებისა და აღამაჰმადხანების მიერ ქვეყნისთვის გულში ჩაცემულმა ლახვარმა. ეს გამყიდველები თავიანთ მოღალატეობას პატრიოტებად ასაღებდნენ, ჭეშმარიტ პატრიოტებს კი უწყალოდ ხოცავდნენ, წამებით კლავდნენ, საპყრობილები აგდებდნენ, ქვეყნიდან აძევებდნენ და „პროვინციული ფაშიზმის“ იარლიყს აწებებდნენ.

ამაზე მშვენივრად აქვს ნათქვამი ზვიად გამსახურდიას: „თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრნნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი; თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატეები კი – გმირებად“.

ჩვენი წამებული ერისკაცის ამ სიტყვებში ხომ არ დევს პასუხი იმ კითხვისა, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ: რა ხდება ჩვენს თავს? რა გვჭირს, რომ ქვეყნისთვის ვერ მოგვივლია და ღირსების გრძნობა დაგვჩინებია? – ის ხომ არა, რომ გაყალბებული წარსულის დამთრგუნველი სიმძიმე გვაწევს მხრებზე და ნელ-ნელა, შეუმრნევლად გახრნნისა და გადაგვარების პირამდე მივსულვართ?

იმ სისხლიანი გადატრიალებიდან დღემდე ქართულ საზოგადოებას აქუცმაცებს, ქართველ ადამიანს სულს უფხრებს დაუსჯელობის სინდრომი, განუკითხაობა, უკანონობა, როცა გადის წლები, იცვლებიან ხელისუფალნი, ხოლო ქვეყნის, სახელმწიფოს ძირის გამომთხრელებს, ათასობით ქართველთა მკვლელებს, მწამებლებსა და მოძალადებს არავითარი პასუხი უგიათ მართლმსაჯულების, კანონის წინაშე! გაგონილა ამგვარი უზნეობა, ამდენ საძაგლობათა პატიება, მეტიც – მათვის ხელის დაფარება, გვერდით დაყენება და აღზევება ხელისუფალთა მხრიდან იმის მაგივრად, რომ იმ ციხეში მიებრძანებინათ, რომელშიც ნამდვილ პატრიოტებს ამწყვდევდნენ და აწამებდნენ?

შეიძლება, რომ ასეთი რამ ხდებოდეს ნორმალურ ქვეყანაში? შეიძლება, სახელმწიფოში დამკვიდრდეს კანონიერება და დემოკრატიის პრინციპები, როდესაც მკვლელები და მძარცველები კვლავ ზეობენ? ისინი დღესაც ძარცვავენ ხალხის ქონებას, ბიუჯეტს, ჯერაც მაღლიდან, მედიდურად უყურებენ მართლებსა და მათვის ხელით გაძარცულთ. მართალია, ბევრი მათგანი ისევ თავიანთმა ავკაცობამ შეინირა, მაგრამ ხომ განისვენებს ქურდი და რეციდივისტი დიდუბის პანთეონში, ხომ ცხოვრობენ მშვიდად და არხეინად კიტვანი, სიგუა და ძმანი მათნი, დღესაც სულაც ქერის ორმოში ნებივრობენ ხაინდრავა და მისთანანი, რომელთაც უდანაშაულო ქართველთა სისხლი ადვეთ უპატიებელ ცოდვად.

ეს წერილი უპირველესად სწორედ პუტჩისტი მკვლელების მიერ დახოცილი უდანაშაულო ქართველების, დახვრეტილი მიტინგების თემამ მიკარნახა. რა უნდა ვუთხრათ თავისუფლებისა და კანონიერებისთვის ქართველისვე ტყვიით განგმირულ ამ ადამიანთა ხსოვნას? ვინ მოიკითხა მათი მკვლელები, გადაგვარებული ქართველები? ვინ, სად და როგორ დაისაჯნენ ისინი? ვინ აგო პასუხი უსამართლოდ დაღვრილი ზღვა სისხლისთვის? რანაირად დაფასდა ამ 25 წლის განმავლობაში

ჩვენს სამშობლოს შეწირული ქალების, კაცების, ახალგაზრდების თავდადება?

1992 წლის 3 იანვარს დაიხვრიტა მიტინგი  
დიდუბის მეტროსთან; მოკლეს 5 მომიტინგი,  
დაჭრეს – 29; 7 იანვარს დელისის მეტროს-  
თან გაუსწორდნენ საპროტესტოდ გამოსულ  
უიარაღო ხალხს, მოკლეს რამდენიმე ადამია-  
ნი, მათ შორის ახალგაზრდები; 2 თებერვალს  
კანონიერი ხელისუფლების 100 ათასამდე  
დემონსტრაციი შეიკრიბა ვაგზლის მოედან-  
ზე. მსვლელობისას ცირკის მიდამოებთან  
მათ ცეცხლი გაუხსნეს მხედრიონელებმა და  
კიტოვანის გვარდიელებმა. დაუზუსტებელი  
მონაცემებით, ამ დღეს დაიღუპა 23 მშვი-  
დობიანი მომიტინგე, 180-ზე მეტი დაიჭრა.  
მოკლულთა შორის იყო არასრულწლოვანი  
მამუკა ტერიშვილი, რომელსაც შინდისფერი  
დროშა მოჰქონდა. ეს ბავშვი საკუთარი დედის  
თვალწინ გარდაიცვალა. ამგვარი საშინელე-  
ბების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სამშობ-  
ლოს სიყვარულისთვის ასე უსწრაფებდნენ  
სიცოცხლეს ერის რჩეულ შვილებს თბილისში,  
სამეგრელოში, საქართველოს ყველა კუთხეში:  
კლავდნენ, აუპატიურებდნენ, ძარცვავდნენ...  
აყაჩილებდნენ, ამჟირებდნენ...

რომელი ასეთი დანაშაულია გამოძიებული? რომელ ამგვარ საშინელებაზე შედგასასამართლო? რომელმა სამართალმა ჭამაპური?..

ე. შევარდნაძის ხელისუფლება თვითონ იყო მკვლელი და მძარცველი და, რა თქმა უნდა, საკუთარ დანაშაულს არ გამოიძიებდა!

მერე მოვიდა მ. სააკაშვილის ხელისუფლება, რომელსაც, სწორედ სამართლიანობის აღდგენის იმედით, ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა დიდმა ნაწილმა დაუჭირა მხარი. ამ იმედს თითქოს ცხოველი შუქი მოჰყვინა მაშინ ახალარჩეული პრეზიდენტის სიტყვამ 2004 წლის 26 იანვარს ქაშუეთის ეკლესიაში და იქვე ხელმოწერილმა ეროვნული თანხმობის დეკლარაციამ. ამ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ეკონომიკის გაჩანაგება, მოსახლეობის უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, კორუფციის აყვავება, უკანონობა და განუკითხაობა, სამოქალაქო კონფრონტაცია სათავეს იღებს 1991-1992 წლების შეიარაღებული სამხედრო გადატრიალებიდან და კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან“. ე.ი პრეზიდენტი სააკაშვილი აღიარებდა, თუ როგორი ვაი-ქართველებისგან მოდიოდა ქვეყნის ყველა ჭირი და ვარამი, მაგრამ გავიდა დრო

და დეკლარაცია დეკლარაციად დარჩა, ეროვნული თანხმობა კი, ქვეყნის წინსვლა-განვითარებისთვის ესოდენ აუცილებელი ფაქტორი, არ შედგა და ვერც შედგებოდა დამაშავეთა დაუსჯელობის, ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულობათა გამოუძიებლობისა და შესაბამისი კანონალსრულების არარსებობის ვითარებაში.

იგივე გრძელდება დღევანდელი ხელისუფლების მხრიდანაც. მეტიც, პარლამენტში, ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურზე თბილად არიან მოკალათებულნი საკუთარი ხალხის სისხლით ხელგასვრილი, ბნელი წარსულის მქონე ადამიანები ნაცვლად იმისა, რომ მათ პასუხი აგონ ჩადენილ დანაშაულობათა გამო.

არ შემიძლია, არ ვთქვა იმ საძრახისი და უკადრისი პოზიციის შესახებ, რომელიც შეიარაღებული დაპირისპირების პირველი დღიდანვე დაიკავა საქართველოს საპატრი-არქომ. სამწუხაროდ, კათოლიკოს-პატრიარქი მთლიანად განერიდა ამ დაპირისპირებიდან გამომდინარე პროცესებს, ხოლო კანონიერი პრეზიდენტის განდევნა თვით საპატრიარ-ქოში იზეიმეს „ლვთისნიერმა“ პუტჩისტებმა, ქვეყნის დამაქცევლებმა. ბუნებრივია, ასეთ-მა საქციელმა მოსახლეობაში მასობრივი პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია, რაც მიტინგებზე პატრიარქის თავდალმა დაკი-დებული სურათებითაც გამოიხატა. აქედან გამომდინარე, სრული სიმართლეა ზ. გამსა-ხურდიას სიტყვები: „შექმნეს ცრუ წითელი სამღვდელოება, რამაც თავი იჩინა ყველაზე მეტად პუტჩის ავბედით დღეებში. ნაცვლად იმისა, რომ იერარქები ჯვრით ხელში ჩამდგა-რიყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ურთიერ-თდაპირისპირებულ მომეთა შორის, ისინი ანტიქრისტეს მხედრობას ამოუფგნენ მხარში – ეკლესიები იარაღის საწყობად მისცეს, ქა-შუეთის ტაძარი ბლინდაჟად აქციეს, საიდანაც ჭურვებსა და ტყვიას უშენდნენ კანონიერ ხე-ლისუფლებას; ზოგიერთი სამღვდელო პირი ავტომატით ხელში იბრძოდა პუტჩისტებთან ერთად, რამდენიმე პატიოსანი სამღვდელო პირი კი, რომელმაც არ უღალატა კანონიერ ხელისუფლებას და ლოცვითა და ქადაგებით ამხნევებდა უზენაესი საბჭოს შენობაში გა-მომწყვდეულ მის ნარმომადგენლებს, პუტჩის-ტმა პატრიარქმა განკვეთა და გააძევა საქარ-თველოდანაც კი.“

ხალხია ყველაფრის განმსჯელი და შემფასებელი, ავისა და კარგის გამრჩევი. წლევან-

დელ 2 თებერვალს იმ ავადსახსენებელი 1992 წლის 2 თებერვლის შესახებ ხმა თითქმის არ ამოუღიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ტელევიზიისა თუ გაზეთებს, მაგრამ ჩავიხედოთ სოციალურ ქსელებში, გავიდეთ ხალხში და თვალნათლივ დავინახავთ, რომ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მოწყურებულია სამართალს, სიმართლის აღსრულებას. ამ დროს მავანი, ტვინდაბნელებულნი, კვლავაც ცდილობენ უცოდველის მანტიის მორგებას, კიდევ გაისმის აქა-იქ საკუთარ ცოდვათა ეროვნული ხელისუფლებისთვის გადაბრალების უბაძრუკი ცდები, იმ ხელისუფლებისთვის, იმ ეროვნული მოძრაობისთვის, რომელმაც დამოუკიდებლობა მოუპოვა ქვეყანას და რომლის სამი ბუმბერაზი წარმომადგენელი – მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და მუხრან მაჭავარიანი – მთამინდაზე აასვენა ქართველმა ხალხმა და იქ მიუჩინა კუთვნილი ადგილი. აქედან ორი – ზვიადი და მერაბი – იმ თვრამეტ გამორჩეულ ქართველს შორისაა, რომელთაც საქართველოს ეროვნული გმირის წოდება აქვთ მინიჭებული.

ამ წერილში ერთ-ერთი მათგანის, მერაბ კოსტავას, სიტყვებს მოვიყვან:

„მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება, მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში თავისუფლებისთვის შეწყვეტი ბრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც“.

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი, ამიტომ სათემელს საჭიროობოდ ქცეული ამ კითხვებით გავაგრძელებ:

არის თუ არა ნორმალური, რომ ჩვენ გვერდით დაუსჯელად დადიან და ჩვეულებრივ მოქალაქებზე მეტი სიკეთითაც სარგებლობენ ქვეყნის დამაქცევლები, კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამამხობლები, მკვლელები, გამცემები, იმპერიის ნების აღმსრულებლები?

მოეთხოვა თუ არა პასუხი ვინმეს მიტინგების დახვრეტისთვის, მამუკა ტერიშვილის და სხვა ურიცხვი ქართველის მკვლელობისთვის, მხატვარ ვახტანგ ხოდიასთვის მკლავების მოჭრისთვის, თბილისის ნგრევისთვის, სამეგრელოს ანიოკებისთვის, მასობრივი გაუპატიურებისთვის, ძარცვისთვის, სახლებისა და ჭების წაბილწვისთვის, კუთხების, რაიონების, უბნების დაპირისპირებისთვის, საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზები მაროდიორობისა და

სხვა უმძიმესი დანაშაულობებისთვის, სახლების გადაწვისთვის, აფხაზები მისი გაჩაღებისა და მისი ჩაბარებისთვის, უიდეობისთვის, უზნეობისთვის, ულირსებობისთვის, ქვეყნისა და ხალხის გასაჭირში ჩაგდებისთვის და ამის ხარჯზე თავიანთი ჯიბის გასქელებისთვის, ფაბრიკა-ქარხნების ჯართად გაყიდვისთვის, მოძმის გაწირვისთვის, ქვეყანაში დანერგილი შურისთვის, გაუტანლობისთვის, ღირსების აყრისთვის?..

ეს ყველაფერი კეთრივით ჭამს სამშობლოს სხეულს და თუ ოდესმე დღის წესრიგში არ დადგა დანაშაულის და სასჯელის შესაბამისობის პრინციპული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენივე ხელით გამოვუხტრით ძირს არნახული მსხვერპლის გაღებით მოპოვებულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ მოსთხოვა პასუხი მართლმსაჯულებამ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს და ამას კანონიერების აღდგენას ეძახიან. არა, ბატონები, კანონიერება მხოლოდ მაშინ აღდგება, როდესაც სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან ჩვენი უბედურების სათავის შემოქმედნი: სიგუები, კიტოვანები, ხაინდრავები და სხვები და სხვები, რომლებმაც ქვეყნის თავისუფლებას იარაღი ესროლეს და სახელმწიფოს წინსვლა დიდი ხნით შეაფერხეს. წინა ხელისუფლების დროინდელი გახმაურებული მკვლელობების გამო ადამიანებს ვსჯით და ეს ასეც უნდა იყოს, სამაგიეროდ, იმ ადგილას, სადაც მამუკა ტერიშვილის უმანკო სისხლი დაიღვარა, თავისუფლად დასეირნობენ მისი და სხვა მამულიშვილების მკვლელები, ქართველი ხალხის ჯალათები.

ხელისუფალნი, როგორაც დასჭირდებათ, ათასნაირ მემორიალებს დადგამენ ხოლმე, მაგალითად, იუსტიციის სახლის წინ. იფიქრა თუ არა ვინმემ, რომ ცირკან, იმ საბედისწერო ადგილას უნდა იდგეს 1992 წლის 2 თებერვალს დახვრეტილი მშვიდობიანი მომიტინგების უკვდავსაყოფი მემორიალი? ეს ღირსების საქმეა, სხვა მხრივ სამართალი ვერ იზეიმებს, უსამართლობას მიჩვეული და შეგუებული საზოგადოება კი ქვეყანას ფეხზე ვერ დააყენებს, პირიქით, სამშობლოს ბედილბალს სასწორზე დადებს და მტერს გაახარებს.

**სამოქალაქო სათვის დაღუპულ გამულიშვილთა  
სისხლი ცას შესჩერებებს და სამართალს ითხოვს!  
მავიდობიან მიტიცებაზე დაღუპულ გამულიშვილთა  
არასრული სია**

1. არსენიძე კახა – 21 წლის, დახვრიტეს 3 იანვრის მიტინგზე დიდუბეში.
2. ავეტისიანი არქანიკი – მოკლეს გლდანში კომენდანტის საათის დროს.
3. ბერიაშვილი ბერდია – მწერალი, მოკლეს საკუთარ სახლში, დაასაფლავეს პირველ თებერვალს.
4. გაბროშვილი გოგი – სამი შვილის მამა, დაცხრილეს 6 იანვარს ავტობუსში მეტების ხიდთან.
5. გაგუა ვოვა – სამტრედის ქ. 4-ა. ბ. 64. მოშიმშილეების დარბევის დროს გარდაიცვალა.
6. დოლიძე გურამ – 55 წლის. ყიფშიძის ქუჩა. დახვრიტეს 3 იანვარს „დიდუბის“ მეტროსთან.
7. დავარაშვილი ალიკო – დახვრიტეს 2 თებერვალს.
8. დიდებაშვილი ზურაბ – 17 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს.
9. ელიავა ავთანდილ – 5 შვილის მამა, სენაკი, ჭავჭავაძის 24, ბინა 16, მოკლეს 13 მარტს მიტინგის დარბევის დროს.
10. ვარაზიშვილი ვარაზ – საექიმოს შესახვევი, №4, 33 წლის, მოკლეს 23 დეკემბერს მთავრობის სახლთან.
11. თაქთაქიშვილი ლევან – 21 წლის, სტუდენტი. დახვრიტეს 3 იანვრის მიტინგზე „დიდუბის“ მეტროსთან. ევდოშვილის ქ. 2-10, კორპ. 4. 34-68-98.
12. იმნაძე თინა – ჭავჭავაძის 54.
13. ლიპარტელიანი გერონტი – 25 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
14. მარკოზია არკადი – უზენაესი საბჭოს წევრი. დახვრიტეს 23 დეკემბერს.
15. მჭედლიშვილი ბაადურ – 55 წლის, ნუცუბიძის IV მ-რ. კორ. 15, II სადარბაზო, II სართული. დახვრიტეს ქრისტეშიძის „დელისის“ მეტროსთან.
16. მაისურაძე ლალი – დახვრიტეს წალენჯიხაში, პრეზიდენტის მდივანი.
17. პერტაია აველინა – დახვრიტეს 22 დეკემბერს მთავრობის სასახლის წინ. წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი.
18. პაპიაშვილი.
19. რეხვიაშვილი გიორგი – 18 წლის,



- დახვრიტეს 3 იანვარს მიტინგზე „დიდუბის“ მეტროსთან. დილმის მასივი, V კვარტალი, I კორპუსი, ბ. 35.
20. რამიშვილი არჩილ – თბილისი, მუხიანის IV მ.რ. კორ. 36. წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი.
21. სულხანიშვილი ავთანდილ ვალერიანის ძე – მოკლეს გლდანში, კომენდანტის საათის დროს თავის სახლთან.
22. ტერიშვილი მამუკა – 18 წლის. თბილისი, ნორიოს აღმართი, 54-ბ. დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
23. ტერაძე ტრისტან ალექსანდრეს ძე – 70 წლის, დახვრიტეს 2 თებერვალს.
24. ტაბატაძე („პუნკერის“ კადრიდან) – გამოაცხადეს ტელევიზიოთ, მოკლეს ყოველგვარი გასამართლებისა და განაჩენის გარეშე.
25. ტალახაძე იური – 42 წლის, 3 შვილის მამა. პეტრიაშვილის ქ. 23. დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
26. ფოლადაშვილი მიხეილ – 50 წლის, დახვრიტეს 2 თებერვალს მიტინგზე მცოცავი ტყვიით.
27. ქაჯაია თენგიზ – 29 წლის, ჰელსინკის კავშირის წევრი.
28. ქევხიშვილი ციცო – წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრი, დახვრიტეს მთავრობის სახლის წინ 22 დეკემბერს, ორსული. კოსტავას მეორე შესახვევი, 5.
29. ხატიაშვილი გიზო – 29 წლის. გრიბოედოვის ქ. 13. დახვრიტეს 3 იანვარს „დიდუბის“ მეტროსთან.
30. ხუციშვილი გელა – დახვრიტეს 3 იანვარს „დიდუბის“ მეტროსთან. სოფელ თამარაშენის მკვიდრი.
31. ხერკელიძე ტარიელ – 41 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს.
32. ყავლაშვილი ვალიკო – დაცხილეს ავტობუსში 6 იანვარს მეტების ხიდ-
- თან. ტოლსტოის ქუჩა, №4.
33. ცარციძე რომელ – 28 წლის. რუსთავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატუდენტო. საჩხერის მკვიდრი.
34. ცერაძე ტრისტან – 70 წლის. ბენდელიანის შესახვევი. №10, ტელეფონი 66-17-83, მოკლეს 2 თებერვალს მიტინგზე.
35. ჭანტურიძე იმედი – 17 წლის, თემქის III მ.რ. II კვ. დახვრიტეს 2 თებერვალს მანიფესტაციის დროს ცირკის შენობასთან.
36. ცაავა ხვიჩა – 29 წლის. სენაკი, მარჯანიშვილის 6, 3 მარტს გადაუარა „ბე-ტე-ერ“-მა.
37. ჩაკაბერია ა. – სენაკი. „ბე-ტე-ერ“-მა გადაუარა საკუთარ მანქანაში მჯდომს.
38. ოდიშარია კუსო – სენაკი, ჭავჭავაძის III, ბინა 25, 3 აპრილს გადაუარა „ბე-ტე-ერ“-მა მიტინგზე ცხენისწყლის პირას.
39. ხელაშვილი დათო – ვარკეთილის 3, მოკლეს 26 დეკემბერს მთავრობის სახლთან.
40. ფიცხელაური ბესიკ ჯიმშერის ძე – ლარების ქ. №13.
41. ლომთაძე ემზარ – 6 იანვარს ავტობუსში დაცხილეს მეტების ხიდთან, ამბოლაურის რაიონის სოფელი ჭრებალო.
42. გოცირიძე გიორგი – მხატვარი, წამებით მოკლეს (დაახრჩვეს მავთულებით ხეზე მიბმული).
43. ტაბიძე თამაზ – ვარკეთილის მეორე მ.რ. მე-2 კორპუსი, მე-4 სადარბაზო.
44. ღვინიაშვილი ნუგზარ – კიშინიოვის 59.
45. ჯავახიშვილი ზურაბ – 15 წლის. დახვრიტეს 2 თებერვალს.
46. უცნობი ქალი – მოკლული 3 იანვარს, დმანისის რაიონის სოფელ ჯავახიზან.

გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, №1 (55), 20 ივნისი, 1992 წელი.

## მურმან ზაქარაია

# ტერორი თუ რეაქცია ტირანიზე?

თბილისში, სანაპიროზე, ე. შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმას და შემდეგ სოფელ ჯიხაშვილში განვითარებულ მოვლენებს, რასაკირველია, იარაღით მოსული ხელისუფლების მხრიდან ტერორისტული აქტის შეფასება მიეცა, თუმცა ამ მოვლენათა მიზეზები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებენ.

ეს მიზეზები და გარემოებები საფუძვლიანად იქნა გაანალიზებული ბ-ნი მურმან ზაქარაიას წიგნში „ტერორი თუ რეაქცია ტირანიზე“, რომელიც, მიუხედავად სოლი-დური მოცულობისა და მასალათა მრავალფეროვნებისა, ოპერატიულად, 1998 წელსვე გამოვიდა.

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ წიგნიდან ავტორისეული მცირე შენიშვნებით.

## თავისუფლებას შენარჩუნება უნდა

თავისუფლების მოპოვება და მისი შენარჩუნება საერთო-სახალხო საქმეა. ამიტომ შეუძლებელია იყოს ხალხი, რომელსაც არ სურდეს თავისუფლება, დემოკრატია, სამართალი. მაგრამ მისთვის ყოველდღიური ბრძოლა და მზრუნველობაა საჭირო, ოდნავე ყურადღების მოდუნებას კი გამოუსწორებულ შედეგამდე მივყავართ და ჩვენ ეს გამოვცადეთ. ამიტომ ცალკე აღებული პარტიის, თუ გნებავთ, მმართველი წრების (ხელისუფლების) მიერ პრიორიტეტის მითვისება სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლებისა და დემოკრატიის, სამართლის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ ესეც სახეზე გვაქვს.

საქართველოში არსებული სინამდვილის მსოფლიო დემოკრატიული პროცესების თავისუფლების ძირითად ფუძემდებლურ პრინციპებთან შეფარდებამ დაგვარჩნეუნა იმაში, რომ ის, რაც ჩვენში დემოკრატიად იწოდება, ძალზე შორს დგას დემოკრატიისა და თავისუფლებისგან. ის უფრო ოხლოკრატიაზე დაფუძნებული ტირანია<sup>1</sup>. ამიტომ, ალბათ, უფლებამოსილნი ვართ ეჭვქვეშ დავაყენოთ დებულება, რომ შევარდნაძეზე სროლით თითქოს თავისუფლებასა და დემოკრატიას ესროლეს, ვინაიდან არავინ ესვრის იმას, რაც არ არსებობს.

## ტრაგედია და ფარსი

9 თებერვალს თბილისში, გორგასლის ქუჩაზე, ტრაგედია დატრიალდა. პრეზიდენტ შევარდნაძეს თავს დაესხნენ. თხუთმეტწუთიანი შეტაკების შედეგად ბრძოლის ველზე დარჩა სამი დაღუბული, რამდენიმე დაჭრილი, განადგურებული სატრანსპორტო საშუალებები. ბრძოლის ველზე დარჩა სამხედრო ტექნიკის მთელი არსენალი. ტელევიზიონით გამოსული შევარდნაძე ამ მოვლენას მისცემს პირველ და ყველაზე „სწორ“ შეფასებას: „ეს არ იყო ტერორისტული აქტი, მისი კლასიკური გაგებით, ეს იყო მაღალ დონეზე მომზადებული და განხორციელებული სამხედრო ოპერაცია“.

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადარჩა... საქართველოსათვის ტრაგედიით დასრულდა კიდევ ერთი ცხრა რიცხვი, ცხრა თებერვალი. ათში კი ცხრა თებერვალს დატრიალებული ტრაგედია ფარსით შეიცვალა და მას ბიძგი მისცა ტრაგედიის მთავარმა გმირმა. „ალბათ ღმერთმა გადამარჩინა, – ამბობდა სიკვდილს გადარჩინილი ე. შევარდნაძე, – ქვეყნის და ხალხის ერთგულებისთვის“. ამ ყალბმა ნოტამ, ალბათ, მისი ის მცირე თაყვანისმცემლებიც კი გააოცა, ვინც თვალს ხუჭავდა ე. შევარდნაძის პოლიტიკაზე, ვისაც არ სურდა თვალი გაესწორებინა სიმართლისათვის და დაენახა ამ პოლი-

<sup>1</sup> დღევანდელ პირობებში მან წმინდა ოლიგარქიული სახე მიიღო, რომელიც, ვინმეს უნდა ეს თუ არა, აუცილებლად გადაიზრდება დემოკრატიის დეფოლტში.

ტიკის შედეგად ათასობით დაღუპული, ასევე ათასობით განადგურებული ოჯახი, დევნილ-ლტოლვილები, საცე საცუსალოები, ქვეყნიდან პოლიტიკური თვალსაზრისით თუ შიმშილით სიკვდილს გამოქცეული ასეულათასობით ადა-მიანი. საეჭვოა, ასეთი მოლვანწეობისთვის კაცმა ღვთის მადლი დაიმსახურო. ხალხმა ეს უფრო ღვთის რისხვად აღიქვა. მოვიგონოთ პოეტის სიტყვები: „შენ სიკვდილის რა ლირსი ხარ...“

აკაკის გენიალობა და მისი პოემის – „გამ-ზრდელის“ მარადიულობა იმაშია, რომ სიკ-ვდილზე უფრო დიდ სასჯელად „ცოცხლად სიკვდილის“ ცნება შემოიტანა. ულიორსსა და მოლალატეს სიკვდილის ნება წაართვა და ცოც-ხლად მკვდარი დატოვა. ესაა ღვთის რისხვა. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე გერგოს ადამიანური სიკვდი-ლი შენი ახლობლების, მით უმეტეს, შენი ხალხის ყურადღებითა და სიყ-ვარულით გარემოცულს. ალბათ, არ არსებობს იმაზე მეტი უბედურება, ვიდრე შენს საქმეთა გამო ხალხი, უცხო თუ შინაური, შურისძიებით აღვსილნი შენზე ნადირობდნენ, როგორც მონადირეთაგან დევნილ მხეცს, უშიშარი ადგილის ძებნა გიხ-დებოდეს, სიკვდილის აჩრდილი მუ-დამ თავზე დაგტრიალებდეს.

რა უნდა იყოს იმაზე მეტი უბე-დურება, შენ მიერ იმ ქვეყნად გას-ტუმრებულთა ბედი სანატრელი გაგიხდეს. სიკვდილის უფლებანართმეული იმგვარ შიშში იყო, რომელსაც საკუთარ თავსაც ვერ უმხელ-დე. ასეთია, ალბათ, არსი იმ სასჯელისა, რასაც სიკვდილის ლირსების წართმევა ჰქვია.

ამ პირველ ფარსს არ შეიძლება მეორე არ მოჰყოლოდა. ვინაიდან, როგორც წინა თვეში ვნახეთ, ცხოვრების ის წესი, რომელზეც აგე-ბულია დღევანდელი საქართველოს ყოფა, მისი რეალობა, ამას მოითხოვს. აქ ყველაფერი ფსევ-დოა და ფარსი, თვინიერ ტირანისა.

ძალაუნებურად კაცს ერთი გადმოცემა გახ-სენდება: ხალხის რისხვას გამოქცეული, ქალის ტანსაცმელში გადაცმული ნერონი მოახლო-ებული სიკვდილის წინ კითხულობს: „უჩემოდ როგორ იცხოვრებენ ისინი ამქვეყნად?!“ ღვთის ნებით გადარჩენილი ავტოკრატი ათ თებერვალს უკვე ნერონისეულ კითხვას, მაგრამ რიტორი-კულს სვამს: რა მოხდებოდა მაშინ, ჩანაფიქრი

რომ აღესრულებინათ? ე.ი როგორ იცხოვრებ-დით უჩემოდ ამქვეყნად?! და იქვე თვითონვე პასუხობს: ქვეყანას ქაოსი და განუკითხობა მოიცავდა, დაკარგავდით თავისუფლებას (რა დაგვრჩა დაუკარგავი?). სახელდახელოდ შეგ-როვილი პარლამენტი კი ერთსულოვნად კვერს უკრავდა: დიახ, უთქვენოდ ქვეყანას ვერ გავუძ-ლვებოდით, ჩვენ ყველას თავს დაგვაჭრიდნენ და აქ, პარლამენტში გააგორებდნენ, ქვეყნად უკუნი და ქაოსი დაისადგურებდა.

დაწყებული ფარსი გრძელდებოდა. საქმეს ვერც ოდნავ გონის მოსული უვანიას განცხადებამ უშველა: „ჩანაფიქრი რომ განეხორციელებინათ, ხალხი ერთ მუშტად შეიკვრებოდა, მოახლოე-ბულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას არავის დაანებებდა“. დღევანდელმა საკანონ-



მდებლო ორგანომ – პარლამენტმა, რომელსაც სახელმწიფოს ერთიან სხეულში გონის ფუნქცია უნდა ეკისროს, საქვეყნოდ მოიჭრა თავი, კიდევ ერთხელ წარმოჩინდა, რომ ის უფუნქციო, რუ-დიმენტული ორგანოა.

ათ თებერვალს ჯერ პარლამენტის და შემ-დეგ კი შევარდნაძის მიერ მოწყობილმა აქტივის კრებამ მსოფლიოს დაანახვა, რომ მთელი ეს პოლიტიკური ელიტა, პარლამენტი ჩირადაც არ ლირს. ყოველივე გამოაშკარავდა, წერტილი დაესვა დემოკრატიული მიმართ.

აქტივის კრებაზე შევარდნაძე, როგორც ეკადრება ავტოკრატს და იმ დღის გმირს, პირა-დად განაგებდა აღლუმს. მან სიტყვის თქმაც კი არ დაანება მისამძიმრებისა თუ მილოცვისთვის რიგში ჩამდგარ ელიტას. სამარისებურ სიჩუმეში დისონანსი შეიტანა ტრიბუნაზე თითქმის ძალად აჭრილმა პარლამენტარმა ფაცაციამ: „კონსტი-ტუციის განხორციელებისთვის პარლამენტია

პასუხისმგებელი, – ამბობდა ის, – პარლამენტი კი თავის სიმაღლეზე არ დგას, რუსეთი კი მოწოდების სიმაღლეზეა, მე დარწმუნებული ვარ, რომ აქტიური მონაწილენი წუხელ კონიაკს მიირთმევდნენ რუსების ბანაკში. პარლამენტს უნდა მიეცეს საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანის გადაწყვეტილების მიღების უფლება და მაშინ, მე მჯერა, ჩვენი პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, თუკი იქნება თქვენი დასტური. ისე მისი გადაწყვეტილების განმხორციელებელი არავინ იქნება<sup>2</sup>. აი, ასე, ფაცაციას მიერ უნებურად მოგლევილი ნიღაბი ნეოკომუნისტური დემოკრატიისა შევარდნაძის ფეხებთან დაეცა. „ნუ ურევთ ერთმანეთში პარლამენტსა და პრეზიდენტს“! – აუწია ხმას ავტოკრატმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ითქვა სიმართლე, რომ საქართველოში შევარდნაძის გარეშე არაფერი წყდება<sup>2</sup>. ყველასთვის ნათელი გახდა მისეული დემოკრატიის არსი. მაგრამ ეს იყო ათი თებერვლის აბსურდის თეატრის სპექტაკლის დასასრული. მანამდე კი მოვლენებს აანალიზებდა და აფასებდა თავდასხმის ობიექტი.

### თებერვლის მოვლენათა მიზაზები

19 თებერვლის აქციამ წინა პლანზე წამოსწია ნამდვილი მიზეზები, რომელთა მიჩუმათებას ხელისუფლება ასე თუ ისე ახერხებდა. ე. შევარდნაძეს ეგონა, რომ ის დამხობილ ხელისუფლებასთან ბრძოლაში გამარჯვებასთან ისე ახლოს იყო, როგორც არასდროს. მან თითქოს შეძლო ქვეყანაში პოლიტიკური აზრის მიმართულება საშინაო პრობლემიდან მთლიანად საგარეოზე გადაეტანა და ამ პრობლემების გადაწყვეტა მისთვის დაეკავშირებინა. საშინაო პრობლემებიდან ყველაზე აშკარა და ე. შევარდნაძისთვის ყველაზე საშიში იყო: 1) დევნილი ხელისუფლების მომხრე ძალებთან ურთიერთობა, რასაც უკავშირდებოდა ქვეყნის სტაბილურობის საკითხი და სათანადო – საშინაო და საგარეო-ეკონო-მიკურიც. 2) საქართველოს იურისდიქციიდან გამოსული ტერიტორიული პრობლემა, როგორც უნდებდნენ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. 3) დევნილთა და ლტოლვილთა

პრობლემა. ამ სამი საკითხის გადაწყვეტაზე, ასე თუ ისე, რაღაც ფორმით დამოკიდებული იყო სხვა პრობლემების მოგვარება. მაგრამ ე. შევარდნაძე ხედავდა რა, ამ საკითხების გადაწყვეტა ისე, რომ არ შელახულიყო 1992 წლის გადატრიალების მომწყობთა ინტერესები, შეუძლებელი იყო, მაშინ ის დაადგა პრობლემათა მიჩუმათების გზას.

სტაბილურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ როგორი ურთერთობები ჩამოყალიბდებოდა საზოგადოებრივ ფენებს შორის, იმ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც სამოქალაქო ომის პერიოდში ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგნენ. ყველაზე რეალური გზა უნდა ყოფილიყო მშვიდობიანი დიალიგის, მოლაპარაკების გზა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ფაქტობრივ და დევნილ ხელისუფლებათა შორის ურთიერთობის გარკვევას. ურთიერთობა უნდა გარკვეულიყო მათ ზურგს უკან მდგომ პოლიტიკურ ძალებს შორისაც. აქ პირველი სიტყვა ფაქტობრივ ხელისუფლებას ეკუთვნოდა. მას, როგორც „გამარჯვებულს“, უნდა გადაედგა ნაბიჯი შერიგებისკენ. ამისთვის აუცილებელი იყო შეფასების მიცემა და ალიარება იმისა, რომ 1991-1992 წლების მიჯნაზე მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, დამხობილ იქნა კანონიერად არჩეული ხელისუფლება (აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ მიუხედავად დევნილობისა, მას უფლებამოსილება არ მოუხსნა). ამის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა დიალიგი, რომელიც ურთიერთნდობამდე, გახლეჩილი და დაპირისპირებული საზოგადოების გამთლიანებამდე მიგვიყვანდა, აქედან კი პარიტეტულ საწყისებზე დანიშნული საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით ფაქტობრივი ორხელისუფლებიანობა შეიცვლებოდა ერთხელისუფლებიანობით.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები მოითხოვდა ასეთი ნაბიჯის დაუყოვნებლივ გადადგმას. პირობების მომწიფებულობის მაჩვენებელი იყო ის, რომ საკითხს აყენებდნენ არა მარტო დამხობილი ხელისუფლების მომხრე ძალები (ეს მათი მხრიდან დიდი დათმობა იყო), არამედ ამას მოითხოვდნენ როგორც საპარლამენტო, ასევე პარლამენტს გარეთ მყოფი ძალები. მხოლოდ

<sup>2</sup> ეს პროცესი პარლამენტის და, საერთოდ, ჩვენში პარლამენტარიზმის დეგრადაციისა უწყვეტად გრძელდება, დღეს მან პოვერის მიაღწია. ახლა ის იმართება არა პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, არამედ გარეშე პირისა და მის ირგვლივ თავმოყრილ ერთ „ბდება“ ბანკირთა მიერ.

ავტოკრატი და მისი ძირითადი დასაყრდენი, ვისაც მიმართავს ლომოური და კიდევ, აშკარად გამოხატული პუტჩისტური ძალები – ედპ-ს და სხვათა სახით იყვნენ წინააღმდეგნი. ე. შევარდნაძემ, ჩვენს მოთხოვნაზე (დევნილთა ყრილობის), რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის აუცილებელი იყო 1991–1992 წლების მოვლენათა პოლიტიკური შეფასება, რაც გზას გაუხსნიდა ეროვნულ შერიგებას, სანინდარი გახდებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, პირდაპირ, არაორაზროვნად გვიპასუხა: „სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს არ მოხდება“, რითაც გზა მოუქრაურთიერთლოიალობას, რაც ეგრერიგად აუცილებელია შერიგებისათვის.

ე. შევარდნაძემ და მისმა პარტიამ, გარემოცვამ ვერც მეორე მთავარი პრობლემის მიმართ შეძლო სწორი პოლიტიკის გატარება. აქაც ინიციატივა წამოვიდა ქვევიდან, რაც საკითხის მიმართ სწორი მიდგომის მაჩვენებელია. აფხაზეთ-სამართლოდან დევნილებმა დიდი ძალისხმევისა და რუდუნების შემდეგ შეძლეს ერთად დასხდომა, რაც მთავარია, პრინციპის გამომუშავება – რისი მიტევება და პატიება შეიძლება, – მიუუტევოთ ერთმანეთს, რისიც არა და – „დავაკონსერვოთ“ მათზე მსჯელობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, აფხაზეთში თუ სამართლოში დაბრუნებამდე. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პირველი ნაბიჯი ხელისუფლების და იმ ძალების მხრიდან გადმოიდგა, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობდნენ. მათ შეფასება მისცეს არა მარტო დეკემბერ-იანვრის მოვლენებს, როგორც სამხედრო გადატრიალებას, მოწყობილს გარეშე ძალებზე დაყრდნობით, არამედ მათ შეფასება მისცეს თავიანთ მონაწილეობას ამ საკითხში. ამ პროცესის აპოგეა იყო დევნილთა და ლტოლვილთა ყრილობა, რომელმაც დადგენილების პირველი მუხლით 1991–1992 წლების მოვლენების კვალიფიცირება მოახდინა და დაგმო. ხელისუფლებისთვის ეს თითქოსდა ბიძგი უნდა გამხდარიყო, რათა ამ ლოგიკურ მაგალითს გაგრძელება მისცემოდა, პრეცედენტად არ დარჩენილიყო, მასზე დაყრდნობით დასდგომოდა ეროვნული თანხმობის გზას. საუბედუროდ, ხელისუფლებამ ისევ უარი

თქვა ამ გონიერ ნაბიჯზე და გააგრძელა კურსი ძალადობისა. მან ზენოლა მოახდინა აფხაზეთის ხელისუფლებაზე, მის ირგვლივ მდგარ სახელისუფლო პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ძალებზე. ისინი დაუპირისპირა ყრილობის, ე.ი. საკუთარ გადაწყვეტილებებს. **თანხმობის პრეცედენტის განზოგადების ნაცვლად** მას სასტიკი კი ომი გამოუცხადა, სათანადო შედეგსაც მიაღწია, **ისევ შემოიტანა განხეთქილება დევნილებში.** ამდენად, ხელისუფლებამ ქვეყნისთვის ყველაზე საჭირობოროტო და გადამწყვეტი საკითხებისადმი აბსოლუტურად მიუღებელი პოლიტიკა აირჩია. ისევ ძველი, გამარჯვებულის პოზიციიდან დიქტატის ძალადობრივ გზას დაადგა. ხელისუფლებამ უარყო ქვევიდან წამოსული ინიციატივა, რასაც არ შეიძლებოდა სათანადო რეაქცია არ მოჰყოლოდა. ამიტომ თებერვლის მოვლენებისადმი პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ეს დადასტურდა ჯიხაშვარის აქციის პროცესში, როცა მსოფლიო საზოგადოებამ მძევალთა გამოხსნისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს დაკისრა. ამჯერად ხელისუფლებამ ვერ გაბედა მისი იგნორირება და იძულებული გახდა წამოსულიყო „გონივრულ დათმობაზე“, ელიარებინა დევნილი ხელისუფლების არსებობა, დაეწყო მასთან დიალოგი, რითაც დადასტურდა, რომ ეროვნული ერთიანობის აღდგენას ალტერნატივა არა აქვს, მის გარეშე სტაბილურობაზე ლაპარაკი აბსურდია. ძალადობის გზით მოსული და დამკვიდრებული ხელისუფლება ძალადობასვე უნდა აეძულებინა, გონივრულ გზას დასდგომოდა<sup>3</sup>.

## ხელისუფლება უპრუდება ვერაგობის ჩვეულ გზას

თუმცა ეჭვს არავისში არ იწვევდა ის, რომ ხელისუფლება ასე ადვილად არ დათმობდა თავის გეზს – მმართველობის სადავეების ძალად პყრობისას და მძევალთა განთავისუფლების შემდეგ ისევ ძველ პირველის დევნისა და რეპრესიისა დაუბრუნდებოდა, რომ ის უარს არ იტყოდა სახელმწიფო ტერორისა და ტირანიის ერთხელ აღებულ კურსზე. მართლაც, სულ მალე ხელისუფლებამ ფაქტობრივად უარი

<sup>3</sup> მას ეს გონივრულობა არ აღმოაჩნდა და განხორციელდა „ძალით იძულების“ პროცესი, უკანონო – მოძალადე ხელისუფლება დამხობილ იქნა სახალხო რევოლუციის გზით, რომლის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ის ხალხი, რომელმაც ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას.

განაცხადა დიალოგის პოლიტიკაზე და დაინ-ყო დევნილი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირების დაპატიმრება. დაპატიმრებულ იქნა ვიცე-პრემიერი გ. აბსანძე და გუშინდელი პარ-ტნიორი ე. შევარდნაძესთან მოლაპარაკებაში, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჭულაძე. მოსკოვში დაპატიმრებულ და დაკითხულ იქნენ სხვა პირებიც, რომლებიც იმავე დღეს გაათავისუფლეს. რაც შეეხება ბურჭულაძეს, მისი განთავისუფლება მოხდა მას შემდეგ, რაც მსოფლიომ დაგმო ე. შევარ-დნაძის ეს ვერაგული აქტი, როცა მან ორიოდე დღის წინ მიცემულ თავისივე სიტყვას, ბურ-ჭულაძისთვის ხელშეუხებლობის იმუნიტეტის მინიჭებისას, უგანა. მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა დაგმეს ეს აქტი, რამაც აიძულა ე. შევარდნაძე, ის გაეთავისუფლებინა. ნ. ბურ-ჭულაძის იძულებით განთავისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ **ჯიხაშვარმა შექმნა ძლიერი საზოგადოებრივი აზრი საქართველოში არსებული დაპირისპირებულობის შესახებ და ნიღაბი ახადა ე. შევარდნაძისეულ ფსევდოს-ტაბილიზაციას.** ყველა დარწმუნდა იმაში, რომ ამ პრობლემის მოუგვარებლად არავთარ დიდ გარიგებებზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამ აქტმა ისიც წარმოაჩინა, რომ დევნილი ხელისუფლება უფრო გონივრულ და მშვიდობიან პოლიტიკას ადგა, ვიდრე ფაქტობრივი. თუ ეს უკანასკნე-ლი დაპყვება კეთილ ნებას, ზურგს შეაქცევს რუსულ იმპერიულ პოლიტიკას დაყოფისა და დაპირისპირებისას, კავკასიაში გზა გაეხსნება მშვიდობიან თანაარსებობას. ახლა ძალზე ბევ-რია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოი-

ყონებენ ამ სიტუაციას ეროვნული, პოზიტიური ძალები. თუ ისინი შეძლებენ შეთანხმებით მოქ-მედებას, მაშინ შეძლებენ და არ მისცემენ ხელი-სუფლებას საშუალებას ფსევდო კომისიებით, ფსევდოშემორიგებებით მიაჩუმათონ საზოგა-დოებრივი აზრი და ძველებურად გააგრძელონ პოლიტიკური დევნა და ტერორი, მით უმეტეს, მას დაუდონ არაპოლიტიკური სარჩული.

## დამოკიდებულება თებერვლის მოვლენაგისადმი

თებერვლის მოვლენებისადმი დამოკიდებუ-ლება არაერთგვაროვანი იყო. ამ დამოკიდებუ-ლების ფორმირება ხდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით, ასევე საერთაშორისო აზრის შექმნით. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა გაეროს დამკვირვებელთა გატაცების შემდეგ. თუკი 9 თებერვლიდან 19 თებერვლამ-დე ხელისუფლებამ შეძლო საზოგადოებრივი აზრის უზურპირება, მორჩილი საინფორმაციო საშუალებების მეოხებით შეიქმნა ისეთი აზრი, რომ თებერვალი იყო ტიპური პოლიტიკური ტერაქტი, მიმართული სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ მისი საშინაო და საგარეო-ეკონო-მიკური კურსის შეცვლის მიზნით, ჯიხაშვარმა წარმოაჩინა მის განმახორციელებელთა მიზნე-ბი. ბრძოლა მიმდინარეობდა არა პოლიტიკის რაღაც ცალკე აღებული მიმართულების წინა-აღმდეგ, არამედ მთლიანი საშინაო და საგარეო კურსის ანტიეროვნულობის საწინააღმდეგოდ<sup>4</sup>.

<sup>4</sup> ეს პრობლემა ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის ანტიეროვნულობისა ისევ პრობლემატურია, მაგრამ არა ისე, როგორც მას წარმოაჩენენ მომრავლებული ფსევდოპატრიოტები და ფსევდო მოკატები, არ-ამედ წმინდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, როცა რევოლუციური სიხისტე და ზედმეტი გატაცება შინაგანი კურსის ლიბერალიზაციითა და საგარეო პროცესებში დასავლეთისადმი ზედმეტი „მოიმედეობის“ პოლიტიკა შეიცვალა ზედმინევნით კონტრრევოლუციური მიდგომებითა და სახელმწიფო მმართველობის რუსულ-კრიმინალურ კაპიტალთან სრული შერწყმით შიდა ასპარეზზე; საგარეო პოლიტიკაში კი ზედმინ-ევნით უკუმიბრუნება შევარდნაძის რუსულ-დასავლური ორმაგი თამაშის მცდელობისაკენ, რაც საბედის-ნერო შედეგის მომტანი იქნება ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისათვის. ამის უტყუარ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შევარდნაძის დროინდელი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის გახშირებული კომენტარები საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.



## როგორც პეტრიაშვილი

### სიყვარულში ნაწილობი მახვილი

„ღმერთო, რა დიდი ბრალია  
სიკვდილი კაი ყმისაო!“  
(ხალხური)



1998 წლის 31 მარტს მოკლეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის საველე მეთაური გოჩა ესებუა.

მოკლეს სამშობლოს სიყვარულის გამო!

პუტჩისტები დააბნია, შეაშფოთა და შეაშინა სამშობლოს უანგარო სიყვარულის ფაქტმა.

9 თებერვალსა და 19 თებერვალს კი არა, გაცილებით მეტს „შეუნდობდნენ“ და ცოცხლად დატოვებდნენ, მაგრამ ქვეყნის უანგარო სიყვარულს არავითარ შემთხვევაში არ აპატი-ებდნენ.

ჩემი ქვეყანა მიყვარს!

— უთხრა გოჩამ იმპერიული ძალების მიერ სამხედრო ძალით, ფინანსურად და ინფორმაციულად მხარდაჭერილ ანტიეროვნულ, ანტისახალხო და ანტიდემოკრატიულ ხელისუფლებას, როცა პუტჩის მოთავისა და ქვეყნის მთავარი გამყიდველის ფიზიკური განადგურებისათვის სამხედრო ოპერაცია გა-

ნახორციელა.

ჩემი ქვეყანა მიყვარს!

— შესძახა მთელ მსოფლიოს, როდესაც გაეროს სადამკვირვებლო მისის წარმომადგენლები მძევლებად აიყვანა.

ცნობილია, რომ ადამიანს მხოლოდ იმის დანახვა შეუძლია, რაც მასში უკვე არის, რის-თვისაც მზადაა მისი სულიერი გამოცდილება, რისთვისაც ნებისყოფის ქურაში უწვრთნია გული და ხორცი.

მხდალი ბუნების ადამიანი გმირულ მოქმედებას ვერ დაინახავს და არც უნდა; ვერ დაინახავს, იმიტომ რომ მასში არ არის იდეა გმირობისა, და არ უნდა, რადგანაც ის მას ახსენებს თავის სიმხდალეს და კომპლექსს უჩენს; საკუთარი „ლირსების“ გადასარჩენად იწყებს იმის მტკიცებას, რომ მავანის გმირული ქცევა ანგარებით ან სხვა ისეთი გარემოებით იყო განპირობებული, რომლის გამოც ქცევა გმი-

რულობას კარგავს... და საერთოდ, გმირობა, როგორც ასეთი, არც არსებობს; გამბედაობა არ ჰყოფნის, თორემ მზადაა, ფიზიკურად მოსპოს გმირი და თუ მიეცა ამის შანსი, ხელიდან არ გაუშენებს.

იგივე ითქმის სიყვარულის ფენომენზე, შეიძლება უფრო მეტიც, რადგან გმირობა დიდი, უანგარო სიყვარულის გარეშე არ არსებობს.

გოჩას ნათქეამი – „ჩემი ქვეყანა მიყვარს“  
ლიტონი სიტყვები არ იყო. განსაცდელში ჩა-  
ვარდნილი საქართველოს პედიო შეწუხებულმა  
იმდენჯერ გაუსწორა სიკვდილს თვალი, რომ  
მან მოიპოვა ამის თქმის მორალური უფლება....  
ყველამ, ვისაც ამ ამაღლებული და ყოვლის-  
მომცველი გრძნობისათვის გული ღია ჰქონდა  
და აქვს, ინამა გოჩას შეძახილი, აღიარა, აღივ-  
სო სიამაყით და სიტყვით თუ საქმით გამოხატა  
კიდევ თანაგრძნობა.

სრულიად საპირისპირო იყო თვალდაცებული მოძალადე ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერების პოზიცია.

მიუხედავად გოჩას არაერთგზის გაკე-  
თებული განცხადებისა, რომ მას მხოლოდ  
სამშობლოს სიყვარული ამოძრავებდა, რომ  
მიზანი ქვეყნის გადარჩენა, გამთლიანება იყო,  
რომლის მიღწევის ერთადერთ საშუალებად  
მხოლოდ ეროვნული თანხმობა მიაჩნდა, ფაქ-  
ტობრივი ხელისუფლება თავისი მორჩილი,  
უპრინციპო, სულგაყიდული მასმედიის მეშვე-  
ობით ყველაფერს კადრულობდა, რათა გოჩას  
და მისი თანამებრძოლების მოქმედების მოტი-  
ვი გაიყალებინა და დაკინინებინა.

ათასნაირ ქორ-მართალს ავრცელებდნენ: დღიდი ფულის სანაცვლოდ უცხო ქვეყნის შეკვეთით მოქმედებენ, მოლალატეები არიანო, — არავითარი ქვეყნის სიყვარული, მთავრობის სახლთან დაღუპული ძმის შურისმაძიებელია, სისხლის აღების ფიცი აქვს დადგებულიო; ისიც კი იკადრეს, ისე, სხვათა შორის, გადაკვრით ფსიქიკურ პრობლემებზეც ალაპარაკდნენ... ბოლოს, როდესაც იგრძნეს, რომ მათ კეთილდღეობას არაფერი ემუქრებოდა, გაზულუქებული ობივატელის ცინიკური ხითხითით იჯერეს გული.

გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ეს იყო პრიყვთა ზეიმი!

ვერ ხვდებოდნენ, რომ სამშობლოს სიყვა-  
რულით ნაშობი გოჩა ესებუას თანხმობის იდე-  
ის მარჯნი მათი დამარჯნებაკ იყო.

ამაზე რომ ჩერდებოდეს უსიყვარულო-  
ბის გამო უნიჭო ობივატელი, კიდევ აიტანდა  
კაცი. საქმე ისაა, რომ მასში იღვიძებს შური,  
რომელიც, თუ ძალა შესწევს, აგრესიაში გადა-  
იზრდება, ფიზიკურად მოსპობს თავის მოწინა-  
აღმდეგეს და შეეცდება, მის ხსოვნას იდეური  
საფუძველი გამოაკალოს.

ლოგიკურია, რომ შევარდნაძის მოზეიმე, „შერიგებისკენ“ მიმსწრაფმა „დემოკრატიულ-მა“ რეჟიმმა ვერ და არ დაინახა გორჩა ესებუას თავგანწირული მოქმედების შინაარსი და შეეცადა მის გაბიაბრუებას, გაყალბებას (სამწუხა-როდ, იგივე ითქმის საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე).

ეს ლოგიკურია, რადგანაც რეჟიმი და მისით  
აღფრთოვანებული საზოგადოების ნაწილი ამ  
დროს უკვე სხვა სოციალურ სივრცეში ცხოვ-  
რობს, სხვა ღირებულებებით, სხვა ფასეულო-  
ბებით იკვებება; აბსოლუტურად დაცლილია,  
დაშრეტილია უანგარო სიყვარულის გრძნობი-  
საგან; სიყვარული ზედმეტ ბარგად გადაქცეუ-  
ლა და ხელსაც კი უშლის ეგოცენტრულ, მომ-  
ხვეჭელ ცნობიერებას. რეჟიმი მთელი არსებით  
მიმართულია ანგარებისაკენ და ცხოვრების  
უმთავრეს საზრისად ქონების დატაცება-დაგ-  
როვება და ძალაუფლებისათვის პრძოლა გა-  
დაქცეულა.

განდევნილ სულიერ ინტერესებს უკანა

პლანზე გადაუნაცვლებიათ ან სულაც გამქრალან. დაპატარავებული, დაჩიავებული ადამიანები ვერც კი ამჩნევენ, როგორ დაკარგეს უმთავრესი – განსხვავების უნარი. ერთმანეთისგან ვედარ განურჩევიათ **თეთრი და შავი, სიკეთე და ბოროტება, გმირი და ლაჩარი, ღმერთი და სატანა...** აღარ შეუძლიათ არჩევანის გაკეთება, რის გამოც **თავისუფლება,** რომელიც სწორედ ამგვარი არჩევანის უნარი და შესაბამისი ცხოვრების წესია, არს კარგავს და ცხოველური ლტოლვებისა და მოთხოვნილებების გამოვლენისა და დაკმაყოფილების უფლებებს უტოლდება.

თვალსა და ხელს შუა გამქრალა ის საოცარი სულისკვეთება, ერს რომ დაეუფლა ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეობის დროს. ყოველი მეორე ადამიანი მოყვასის ნაცვლად მოქიშპედ და კონკურენტად გადაქცეულა; ერს მაჯლაჯუნასავით აწვება ხელისუფლების მიერ მაგალითმიცემული და წახალისებული დაუნდობლობა, გულგრილობა, სიძულვილი, ბოლმა და შური, სულს უხუთავს და ფიზიკური გაქრობით ემუქრება.

გოჩა ესებუას და მისი თანამოაზრების მიერ გადადგმული თავდადებული ნაბიჯი ამ

კატასტროფული ვითარებით იყო გამოწვეული, რომელიც ქვეყანას სრულ გადაგვარებასა და განადგურებას უქადდა.

ამ აქტში აშკარად იკვეთება შინაგანი კავშირი და მსგავსება ქართველი ხალხის დინების საპირისპიროდ ცურვასთან, რომელიც რაციონალური, პრაგმატული ცნობიერებისათვის, უკეთეს შემთხვევაში, უგუნურ კეთილშობილებად აღიქმება, მაგრამ მიუკერძოებელი მზერისათვის, სამშობლოს ბედით შენუხებული იმ ადამიანებისათვის, რომელთა გულშიც ლვივის ლირსების გრძნობა, კვლავაც მომხიბვლელია და ამაღლებული განცდით აღავსებს. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანია, რამეთუ ერი მანამდე ინარჩუნებს ცხოვრების ხალისს, ვიდრე ზნეობის ნორმად ქცეული სიცოცხლის ესთეტიკური გემოვნება ექნება.

„ვეფხვისა და მოყმის“ შემოქმედი ერი ჩუმი, ნალვლიანი ლიმილით ამოიცნობს საკუთარ თავს გოჩა ესებუას ვაჟკაცურ თავგანწირვაში და სიამაყით იხსენებს იმ დროს, როცა ყოვლის შთანმთქმელი სამშობლოს უანგარო სიყვარულით ძალმოსილი როგორ მიცურავდა დინების საპირისპიროდ, „წინ – საკუთარი საწყისები-საკენ“.



## მურმან ზაქარაია

# **ქველი კოლე-იპერული ტრადიციული სწავლა-აღზრდის კულტურის გარღაემნა ერისტიანული რწმენის საფუძველზე**

### **ა) ქრისტიანული სულიერების შელწევა ქართულ გენში**

წინა წერილების ლოგიკიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას, როგორც უაღრესად წიგნიერ რელიგიას, სასწავლო-სააღმზრდელო ტრადიციის ძალზე ნოუიერი ნიადაგი დახვდა კოლხ-იბერულ სამყაროში. ის მზად იყო, მიეღო ახალი მცნება ღვთის მიერ წარმოგზავნილისა, გამხდარიყო ვაზის ლერწი, რომელიც „ბევრ ნაყოფს გამოიღებს“: „მე ვაზი ვარ, თქვენ კი – ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე – მასში, იგი ბევრ ნაყოფს გამოიღებს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ“ (შეგონებანი იესო ქრისტესი და მონაფეთა მისთა, გვ. 9, სოხუმი, 1991 წ. რედ. მ. ხურცილავა).

ასეთმა ზომიერმა ბაზისმა, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ამ ახალი სარწმუნოების ამ ნოუიერ ნიადაგზე კულტივირებას, მის თითქმის უმტკიცნეულო შერწყმას ადამისდროინდელ უნივერსალურ ეთნოკულტურულ ტრადიციებთან და, პირიქით, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებიდან თუ ამოვალთ, ამ ახალმა რწმენამ ეთნოსის გენეტიკაში გაიდგა ფესვი. ილია წერდა: ქრისტეს რჯული ქართველებისთვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, ის ქვიტკირიც იყო მოდგმის გასაერთიანებლად და შესამკობლად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. არ არის ჩვენში არცერთი სახელგანთქმული კაცი ან მეფე, რომ ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისთვის. ამიტომ არაფერს ზოგავდნენ, ქრისტეს რჯული, შინაგანი ლირსებით განდიდებული, გარეთა ლირსებითაც განედიდებინათ, მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის საღიდებლად. ქართველისთვის ორი გზა იყო: ან ქრისტიანობა, ან არადა ვაჟკაცური სიკვდილი იმავე ქრისტიანობისთვის. ამიტო-

მაც იმათ ქრისტიანობაც და ქართველობაც ჩვენ შეურყვნელად გადმოგვცეს (წმინდა ილია მართალი ( ჭავჭავაძე), შეგონებანი, გვ. 11-12, თბ. 2003 წ). აი, ეს ქრისტიანობისა და ქართველობის ერთიანობა არის გამოხატულება ძველი და ახალი კულტურის გენეტიკაში შერწყმისა და ეროვნულ იდეად ფორმირებისა.

ყოველივე ეს, პირველ რიგში, მოითხოვდა სწავლა-აღზრდის ტრადიციის მეტამორფოზებას ამ წიგნიერი სარწმუნოების მოთხოვნათა დონეზე, რათა „შინაგან ლირსებათა განდიდების“ შესაფერისი „გარეთა ლირსების განდიდებულობა“ დამკვიდრებულიყო. ეს კი ნიშნავდა სწავლა-აღზრდის კულტურის ახლებურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. ამის პრაქტიკული განხორციელება ხდება „მონასტრებისა და ტაძრების ყველგან მოფენით“. ნათელია, „ყველგან მოფენა“ შემთხვევით არაა აქ ნახმარი; ის არ გულისხმობს ოდენ ქართველურ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეს, არამედ მთელ იმ სამყაროს, სადაც უძველესი კოლხ-იბერული ცივილიზაცია ჩაისახა და უწყვეტად ვითარდებოდა წინააზიურ-ეგვიპტურ პირველკულტურებთან კავშირში, სადაც ჩაისახა საკუთრივ ქრისტიანული რელიგია, სადაც მოხდა ღვთის ჩანაფიქრის განხორციელება ძეკაცის მოვლინებით. „განსხეულდა რა ქეყანაზე, ადამიანებს მათი უზენაესი დანიშნულებისკენ მოუწოდა, განწმინდა და განასულიერა ადამიანის ბუნება და მასში უკვდავების თესლი ჩადო“ (აღ. მენი, ძე კაცისა, გვ. 357, თბ. 2018 წ. თარგმანი პროფესორ კ. ქეცბაისი).

ამდენად, ქრისტიანული ცივილიზაციის დამკვიდრების პროცესში ამ წინარექტიანულმა ეთნოკულტურამ შეძლო საკუთარი არსობის გააზრება, როგორც მოდგმის შემოქმედმა და მარად განვითარებადმა სულიერმა რაობამ. ის კი არ გაშუალოვდა უძველეს კულტურულ ლირებულებებში, არამედ მან შეძლო

საკუთარი „უზენაესი დანიშნულების“ გააზრება ახალ რეალობაში, „განწმინდა და განისულიერა... ბუნება“. წარსულის შენახვითა და ტკბობით კი არ შემოიზღუდა, არამედ „წარსულის იმედის აღსრულება“ (მ. პორკპაიმერი, თ. ადორნო) ამ ახალ სარწმუნოებრივ და მისგან მომდინარე სულიერ და კულტურულ ღირებულებებში მოახდინა.

ქართველური მოდგმის ღვთით ბოძებული „გენური ნიჭი“ მზად აღმოჩნდა ამ „უკვდავების თესლის“ – მარადიული სიცოცხლის რწმენის მისაღებად, „მე ვარ პური სიცოცხლისაო“ (შეგ. 7), რომ ამცნო ქრისტემ სამყაროს, ე.ი. ის არ ჩარჩა ნახევარრწმენაში, როგორც ეს ნათქვა-მია სახარებაში: „მნამს! უშველე ჩემს ურწმუნდას“ (მარკ. 9, 24).

ქართულმა სულიერებამ სრულად მიიღო ქრისტიანული სწავლება: „ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძიებდეთ და იპოვით; დააკავუნეთ და გაგელებათ“ (შეგ. 3). მასში აღმოჩნდა ის მდოგვის მარცვლისოდენა რწმენის პოტენციალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მთის აქედან იქით გადაადგილება, როგორც ქრისტე ქადაგებდა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ მთას: აქედან იქით გადადი, იგი გადავა და არაფერი იქნება თქვენთვის შეუძლებელი“ (შეგ. 4).

რწმენის ასეთი პოტენციალის არსებობა კოლხ-იბერული მოდგმის „გენურ ნიჭში“ ნაზიარებია ადამისეული მეტაიდეის ინტუიციურ გააზრებებთან და მიუთითებს ადამიანური ბუნების ერთობაზე, როგორც ძველი და ახალი აღთქმის ღვთაებრივი კავშირითაა ეს გაცხადებული.

### **ბ) თავისუფლების ინტუიცია და ზნეობრივი პოტენციალი**

ე. ტრუბეცკოი წერს: პირველქმნილი ადამის არსში პოულობს თავის გამოხატულებას ორი ღრმა რელიგიური ინტუიცია: ინტუიცია – ადამიანური ბუნების ერთობისა და ინტუიცია – თავისუფლებისა, როგორც ცოდვის საწყისისა. აქედან გამომდინარე, მიზეზ-შედეგობრივი დასკვნით, ჩვენ, ადამიანები არ ვართ იზოლირებული ინდივიდები, არამედ გვარი, ე.ი. გარკვეული ორგანული მთელი, დაკავშირებული ერთმანეთთან ცხოვრებისეული ერთობით, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას, წინ-

ნაპრიდან – შთამომავლობას; ამიტომ ჩვენი საქმიანობა არის არა მარტო ცალკეული ინდივიდის თვითდადგენის შედეგი, არამედ ამასთან გამოხატულება საერთო ცხოვრებისა, რომელიც წარმოჩინდება ყოველ ადამიანში. ცხოვრების ეს ერთიანობა განპირობებულია მისი წყაროს იგივეობით, ერთი მამამთავრიდან მომდინარეობით. ეს საერთო წყაროდან მომდინარეობა არის ის, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას და ჩვენ შევიგრძნობთ ჩვენს საკუთარ ცოდვას, როგორც გაგრძელებას პირველცოდვისას. ყოველი ჩვენგანი იბადება ცოდვაში, მაგრამ რელიგიური გრძნობა არ ურიგდება ამას. ბუნებრივად მკვიდრდება აზრი იმაზე, რომ ღმერთი არის ცხოვრება, საწყისი ყოველგვარი საწყისებისა სამყაროში, საწყისი მშვიდობისა და თანხმობისა (შეად. ე. ტრუბეცკოი, სიცოცხლის აზრი, გვ. 207, მ. 2005 წ. რუს. ენაზე). ესაა ის მეტაფიზიკური, რაღაც განყენებული და სუბიექტური ცოდნა, მდოგვის მარცვლის ტოლი რწმენით, რომელიც აღმოჩნდა ქართველურ მოდგმას სულიერებაში და მთელი არსით შეისისხლხორცა ახალი რწმენა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კოლხურ ზნეობრივ ტრადიციებში თითქმის სრულყოფილი სახით არსებობდა ქრისტეს შეგონებათაგან ადამიანთა რეალური ცხოვრებისათვის, მით უმეტეს, აღმზრდელობითი კულტურისათვის აუცილებელი გამორჩეულად მყარი მცნებების – „პატივი ეცი მამასა და დედასა შენსა“ და „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“ (შეგ. გვ. 4) საწყისი. ამის დამადასტურებლად უყოფილობები ისევ დავიმონმოთ აპ. როდოსელის „არგონავტიკიდან“ წინა წერილში დამოწმებული ტექსტები, კონკრეტულად, ის მომენტები, როცა მედეა თავის დას ქალკიოპეს ეუბნება: „განთიადი არ გამითენდეს, თუ ჩემთვის შენზე და შენს შვილებზე საყვარელი იყოს ქვეყნად რამე“. მოცემულ შემთხვევაში, მოყვასისადმი უმაღლესი სიყვარულის გამოხატულების მაგალითთან გვაქეს საქმე; ან მეორე, მარტოდ დარჩენილი მედეას განცდა: „ეს რა ვიკისრე, როგორ იქნება მამის ზურგს უკან სტუმრის შველაო“ (აპ. როდოსელი, არგონავტიკა, გვ. 137). ამ შემთხვევაში აშკარად და გამოკვეთილად ჩანს ქრისტემდე ათასწლეულით ადრინდელი კოლხური ეთნოსის, როგორც „გარკვეული ორგანული მთელის“ (ტრუბეც-

კოი), ეთნოკულტურის ზნეობრივი ნორმა: პატივს სცემდე მამასა და დედასა შენსა.

მაშასადამე, რამდენადმე სულიერად, რაც მთავარია, ზნეობრივ ასპექტში, შემზადებული შეხვდა კოლხ-იბერული „გენური ნიჭი“ და „ორგანული მთელი“ ახალ სარწმუნოებას, რომელიც ძველ, წარმართულ ცივილიზაციებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ამკვიდრებდა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ აფორმირებდა ახალ კულტურულ ფენომენს, აგებულს მშვიდობის მაუწყებელ სიტყვაზე, რომელიც ღმერთმა მოავლინა ქრისტეს მეშვეობით და ითქვა: „ის არის ყოველთა უფალი“ (პეტრე), „შუამდგომელი მამის წინაშე – მართალი იესო ქრისტე“. ამ სიტყვის მეშვეობით ხდებოდა თავის დაცვა ძველი კერპებისაგან: „დაიცავით თავი კერპებისაგან“ (იოან.). რაც მთავარია, ახალი კულტურული ფენომენის დასამკვიდრებლად, მის დევიზად მიღებულ იქნა მოციქულთა სწავლებათვან გამორჩეული მცნება: „ნუ მიბაძავ ბოროტს, არამედ კეთილს. კეთილის მოქმედი ღვთისაგან არის, ბოროტების მოქმედს კი ღმერთი არ უხილავს“ (იოან. შეგ. 10-11, 12-13).

ეს სრულიად ახლებურად გაცხადებული ზნეობრივი მოთხოვნები უნდა მიეღო ადამის დროიდან მომდინარე კოლხ-იბერული (იაფეტური) მოდგმის ზნეობრივ ტრადიციების. მან ეს შეძლო თავისი შინაგანი თვისებებიდან – ნიჭიდან გამომდინარე, რაზედაც თავის ადგილას მიყუთითეთ ო. გოგებაშვილის მოსაზრებათა მიხედვით. მისი მტკიცებით, ქართველთა მოდგმისთვის გენეტიკური თვისება იყო მტრებისათვის ლმობიერი დამოკიდებულება. ის წერს: „მტრებისადმი არ იჩენდნენ სისასტიკეს, რითაც განირჩეოდნენ ყველა ძველი ხალხები“ (ი.გოგებაშვილი, ტ. II, გვ. 382). აქ ლაპარაკია ქრისტემდე 1000 წლის წინანდელ ამბებზეო, აღნიშნავს ის. მაშასადამე, ქრისტეს მცნებათაგან აღბათ ყველაზე ჰუმანური მცნება – გიყვარდეთ თქვენი მტერი – ამ მოდგმისთვის თვისობრივად ძალზე ახლობელი ყოფილა.

ამდენად, დამოწმებული ფაქტებიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ კოლხ-იბერულმა გენეტიკურმა ნიჭმა თავისი ადამისეული მგრძნობელობიდან გამომდინარე ტრადიციით შეძლო, გადაელახა ის უფსკრული, რომელიც არსებობდა და არსებობს რელიგიურ და საერო კულტურებს შორის. ე.ტრუბეცკოი კულტუ-

რებს შორის ამ შეუთავსებლობაზე წერს: ზოგიერთს სწამს საერო ცხოვრების პროგრესისა, როგორც თვითკმარი, უალტერნატივო ღირებულებებისა, და უარყოფს რელიგიას, როგორც პროგრესის მიერ დიდი ხნით ადრე გადალახულ და შეუთავსებელ საფეხურს ცნობიერებისას; მეორენი, პირიქით, ამოდიან რა რელიგიის უპირობო ღირებულებებიდან, მეტ-ნაკლები ხარისხით იხრებიან საერო კულტურის უარყოფისკენ. მათთვის პროგრესი, როგორც ასეთი, წარმოადგენს უარყოფითი ღირებულებების მატარებელ მოვლენას. თვით ბერდიაევის საბოლოო ფორმულირებით, კულტურა მუდამ იყო ცხოვრების დიდი ბედუკულმართობა, წარუმატებლობა (ევგ. ტრუბეცკოი, თ. VII, შენ. 2. გვ. 465). აი, ამ წინააღმდეგობების დაძლევა უხდებოდა ქართველური მოდგმის სწავლა-აღზრდის კულტურას იმ უკომპრომისო ბრძოლაში, რომელშიც ჩაება ახალი ქრისტიანული სარწმუნოება ძველ კულტურებთან.

კოლხ-იბერულმა ეთნოკულტურამ, აღბათ, უმეტესად ზემოთ დაფიქსირებული „გენეტიკური ნიჭის მომზადებულობის“ და ზომიერი კულტურულ-ჰუმანური ბაზისის კვალობაზე შეძლო ამ ძველ და ახალ დაპირისპირებულ კულტურულ და სარწმუნოებრივ ურთიერთობათა ნაკლები სულიერი თუ მატერიალური დანაკარგებით ჯერ დაახლოება და შერიგება, მერე კი შესისხლხორცება. შედეგიც შესაბამისი მივიღეთ; ახალი რელიგია განურჩევლად კი არ დევნიდა საერო კულტურას, არამედ ის იქცა ამ კულტურის საფუძველთა საფუძვლის – აღზრდისა და სწავლების ბაზისად არა მარტო სულიერი თვალსაზრისით, არამედ პრაგმატულადაც, მატერიალურად.

ჩვენს სინამდვილეში, განსაკუთრებით ადრეულ შუა საუკუნეებში, სადღაც X საუკუნემდეც კი, რელიგიურ და საერო კულტურებს შორის შეიმჩნევა დაპირისპირებულობა, მაგრამ ამასთან მას „ზომიერების“ ფარგლები თითქმის არ გადაულახავს, როგორც ეს ქართული აგიოგრაფიული მასალებით თუ ძველი საღვთისმეტყველო სალიტერატურო და საისტორიო წყაროებით დასტურდება. ამის მაგალითად თუნდაც გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ან კიდევ პროკოპი კესარიელისა და აგათია მირნელის ტექსტების დამოწმებაც იკმარებდა, რომლებშიც აშკარად ჩანს კოლხეთსა და იბერიაში ძველისა და ახ-

ლის ურთიერთმიმართების ზომიერი ბუნება იმპერიაში მიმდინარე სამკვდრო-სასიცოცხლო პროცესებთან შედარებით.

მაშასადამე, კოლხ-იბერული მოდგმის სტუ-მართმოყვარული ტრადიცია, რომელიც მომ-დინარეობდა უძველესი იაფეტური ფესვები-დან, როგორც იაკობ გოგებაშვილთან ვნახეთ, მუდამ აჩენდა თავის კაცთმოყვარულ ბუნებას. შესაბამისად, ამ „გენეტიკური ნიჭისთვის“ ძალზე ახლობელი აღმოჩენილა ჰუმანურობის გამოხატულების აპოგეად მიწნეული ქრისტეს მცნებანი და სახარებისეული სწავლებანი.

კოლხ-იბერული მოდგმის თვისებები ქრის-ტიანულ ზემთაგონებასა და მადლმომფენებ-ლობას ძალზე აახლოებდა და მისაღებს ხდიდა მოდგმის საერთო ცხოვრების წესის, მისი ეგ-ზისტენციისთვის, რაც შესაძლებლობას იძ-ლეოდა, ახალი რელიგიური მიმდინარეობა, საკუთრივ ამ ტერმინის – „რელიგია“ პირდაპი-რი მნიშვნელობის „შემაკავშირებელი“ სრული შესაბამისობით მიეღო მოდგმას (ერს). ამაზე, როგორც ზემოთაც დავიმოწმეთ, ილია ბრძანებდა: „დრო იყო ამის თანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელი არ იყო (გარდა ქრისტიანული რელიგიისა. – მ.ზ.), რომელიც თავისი შინაგანი ღირსების გარდა დუღაბობას გაუწევდა ერთობას“ ( ილია, შეგ. გვ.11.). ასე-თი ერთობა გენისა და რჯულისა (რწმენისა) პრაქტიკაში ხორციელდებოდა საერო და სალ-ვთისმეტყველო სწავლა-აღზრდას შორის გან-საკუთრებული კავშირებით და განსაზღვრავდა ქართველური მოდგმის განათლების კულტუ-რის სახეს.

#### გ) თვითიდენტობისთვის ბრძოლაში ფორმირებული „ქართული ქრისტიანობა“

ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც არა მარტო ძველ კულტურებთან ბრძოლაში იმ-კვიდრებდა ადგილს, როგორც მსოფლიური, არამედ ამკვიდრებდა ახალ ცივილიზაციონულ ფენომენს – ქრისტიანულ კულტურას. ის, რო-გორც რელიგია, კოლხ-იბერული მოდგმისათ-ვის იქცა იმ ცნობიერ ძალად, რომელიც მყარად აკავშირებდა ადამიანებს ერთმანეთთან რო-გორც ეროვნულად, ასევე სახელმწიფოებრი-ვად ერთიანი სადამწერლობო-სალიტერატუ-რო (საეკლესიო) ენის მეშვეობით.

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენს სინამდვილეში, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ სრულად შეასრულა თავისი რელიგიური მისია „შემაკავშირებლისა“. ქართველური მოდგმის-თვის ის გახდა „დუღაბი ერთიანობისა“, რომ-ლის ძალისცმევით ჩამოყალიბდა ერთიანი ქარ-თული კულტურა, რომელიც თავისი ზოგადევო-ლუციური პროგრესის კვალობაზე იქცა დიდი ევროპული რენესანსის წინსახედ წინააზიასა და კავკასიაში. მან შეძლო თვისობრივი ცვლი-ლებების შეტანა მოდგმის ფსიქოსააზროვნო სტილში. მასში აისახა ამ უძველესი მოდგმის (იაფეტური) მთელი კულტურულ-შემოქმედე-ბითი პოტენცია, წარმოაჩინა მისი დამოუკი-დებელი სახე. ის სრულად შეესისხლხორცა და თვითონაც შეითვისა კოლხ-იბერული მოდგმის ცხოვრების მეტასტორიული და ისტორიული ლირებულებები და შეძლო თავისი მაკონსო-ლიდებელი ენერგიით მისი ეროვნულ იდეად ტრანსფორმირება. ამ პროცესში საბო-ლოოდ მოხდა სასწავლო-აღზრდე-ლობითი კულტურის ფორმირება, მის მთელ ქრისტიანულ სივრცეში ამოქმედება და თავისი კუთვნილი ადგილის დაკავებისთვის დაუღა-ლავი ბრძოლის გაშლა. ამდენად, მან მიიღო ზოგადეროვნული კულტურის სახე და ჩამოყალიბდა „ქართულ ქრისტიანობად“ თა-ვისი აშკარად გამოკვეთილი სტილით.

ჩვენში მიმდინარე ამ პოზიტიური პროცე-სების საპირისპიროდ, ბევრ ძველი კულტურის სამეფოსა და განსაკუთრებით იმპერიებში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თავისი ამ წმინ-და რელიგიური მისიის – შემაკავშირებლისა – განხორციელება მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეძლო. იქცა რა სახელმწიფო რელიგიად, გან-საკუთრებით რომის იმპერიაში, მას დაეკისრა იმპერიული იდეოლოგიის ფუნქცია და ვერ შე-ასრულა სრულად თავისი პირდაპირი დანიშნუ-ლება, – ყოფილიყო ხალხთა შემაკავშირებელი სულიერი დუღაბი, ვინაიდან ეს ხელოვნურად შექმნილი მისია სახელმწიფოებრივი იდეო-ლოგიისა მისთვის ბუნებრივად უცხო იყო. რა ხეირი უნდა ყოფილიყო იმისგან, რომ ამით ეს იმპერია თუ იმპერიები მთელ ქვეყნიერებას შეიძენდნენ, მაგრამ სულსა და ზნეობას და-კარგავდნენ. მარკოზი რომ იტყვის, „რა ხეი-რია ადამიანისთვის, თუ მთელ ქვეყნიერებას შეიძენს, თავის სულს კი ავნებს?“ ან „რისი მი-

ცემა შეუძლია ადამიანს თავისი სულის სანაცვლოდ?“ (მარკ.8, 36-37).

ამ ურთულეს პროცესზე ქრისტიანული რელიგიისთვის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ხელოვნური ფუნქციის მინიჭების შედეგების შესახებ ზედმიწევნით ღოგიურად მსჯელობს ე.ტრუბეცკოი თავის ზემოთ დასახელებულ შრომაში. მისი გააზრებით, ყველა საზოგადოებრივი კავშირი უნდა ეფუძნებოდეს რელიგიურ ურთიერთობებს. ამიტომ, როცა ისინი დასუსტდებიან (მათთვის უცხო იმპერიული იდეოლოგიის ფუნქციის დაკისრების შედეგად. – მ.ზ.). ადამიანი ადამიანის მტერი ხდება და ინგრევა მთელი საზოგადოებრივი შენობა (ავტორს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს საკუთრივ რუსეთის იმპერია). რელიგიის დასუსტებით ადამიანთმოძულება პრინციპად იქცევა, ეს კი არის უარყოფა ქრისტიანული თანაცხოვრების ძირითადი საზრისისა, უფრო მტერი, თვით რელიგიის არსისა: როცა ის ვერ ახერხებს თავისი ამ ფუნქციის შესრულებას, მაშინ ადამიანები ხდებიან ერთმანეთის მოწინააღმდეგები და მტრები ან შემთხვევითი მოკავშირები სხვა ხალხთა ექსპლუატაციისა თუ გაძარცვის მიზნით.

როცა არ არსებობს რელიგიური კავშირები ადამიანთა შრის, მათი ურთიერთობა განისაზღვრება არაფრით შეზღუდული ბიოლოგიური პრინციპით: **ბრძოლა არსებობისთვის.** ასეთ ვითარებას თითქმის ყველგან და ყველთვის ჰქონდა ადგილი ისტორიის შავბრნელ ეპოქებში.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რელიგიური სისუსტის გამო ასეთ შინაგან წინააღმდეგობებს ვლებულობდით ქრისტიანულ სამყაროშიც და ირლვეოდა ქრისტიანობის უმთავრესი საზრისი, რომლითაც მორწმუნისათვის ღმერთი ყველგან და ყველაფერში უნდა იყოს, მას უნდა დამორჩილდეს ცხოვრების ყველა სფერო, რომელი წესიდანაც გამონაკლისს წარმოადგენს სახელმწიფო. სახელმწიფო კი, ე.ნ მაკიაველიზმის პრინციპით, სხვა სახელმწიფოებთან თავის ურთიერთობაში არ ემორჩილება ზნებრივ კანონებს: ღვთიურს თუ ადამიანურს. ამით მას შემოაქვს ღრმა გაორება ადამიანურობის წმიდათანმიდა საზრისში – სინდისში. პირად ცხოვრებაში ადამიანი აღიარებს, რომ ის ვალდებულია, მიიღოს მცნება ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა, მაგრამ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ქადაგებს სრულ

ულმერთობას და ადამიანთმოძულებას. ერთი და იგივე ადამიანი, როგორც ქრისტიანი, თავს ვალდებულად თვლის, დადოს თავი მოყვასისთვის და ამასთან, როგორც მოქალაქეს, მიაჩინა, რომ ყოველგვარი სისაძაგლის ჩადენა დასაშვებია, უფრო მეტიც, აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს მისი ხალხი და მისი სახელმწიფო.

ამიტომ საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობა (ასეთი ტიპის, თორემ ჩვენ ვიცით ქრისტიანობის სხვა, არაგაორებული ფორმაც. – მ. ზ.) თანაარსებობდა საერთაშორისო კაციჭამიობასთან. ადამიანები არ ამჩნევდნენ ამ საშინელ წინააღმდეგობებს, ის კი არა, არც კი უფიქრდებოდნენ მას. ასეთ პირობებში დაინგრა ხელოვნური ბარიერი პირად და სახელმწიფოებრივ ეთიკას შორის. მთელი ცხოვრება გახდა ულმერთო: პირადიც და სახელმწიფოებრივიც. ყველგან ბატონობს ერთი ზნებრივი კოდექსი თანამიმდევრული და დაუნდობელი კანიბალიზმისა (ე.ტრუბეცკოი, დასახ. ნაშრ. გვ.260-261).

აი, რისი გათვალისწინებაა აუცილებელი, როცა ჩვენ ვმსჯელობთ, ვხელმძღვანელობთ ილიასეული (ზოგადად, ყველა დიდ საეკლესიო თუ საზოგადო მოღვაწეთა) ნააზრევით ქრისტიანობის როლის შესახებ ჩვენს სინამდვილეში და იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ეროვნული თვითდამკიდრების პროცესში კოლხ-იბერულ მოდგმას მხსნელად სწორედ ქრისტიანული რელიგია მოევლინა.

ე.ტრუბეცკოისა ამ მსჯელობაზე, თუ როგორ აუკულმართებენ ამ ზეიდეოლოგიურ, ჰუმანურ სარწმუნოებას მასზე იმპერიული იდეოლოგიის ფუნქციის დაკისრებით (რაც დღემდე გრძელდება რიგ ქვეყნებში), იმიტომ ვამახვილებთ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ „ქართულმა ქრისტიანობამ“ მთელი თავისი არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით ბიზანტიური ეპოქის შუახანებიდან მოყოლებული და რუსული თვითმცყრობელობის ვერაგობით დამთავრებული, დიდი ენერგია შეაღია ამ ქრისტიანულად შეფერილ გაუკულმართებულ იდეოლოგიასთან ბრძოლას შეურყვნელი ქრისტიანული სულიერების და მისი მეშვეობით ფორმირებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისთავადობის შესანარჩუნებლად. ამის შესწენების აუცილებლობა იმიტომ დადგა, რომ დღეს საბჭოური (რუსული) ათეიზმიდან უდი-

დესი განსაცდელების გამოვლით ფეხზე წამოდგარ ქართულ ქრისტიანულ კულტურას, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, თვით ეკლესიის მესვეურებიც კი, არაფერი რომ არ ვთქვათ პოლიტიკურ-კოლაბორაციონალურ ფრთაზე, უკან ექაჩებიან – ტრუბეცკოის მიერ ზედმინევნით დახასიათებულ ამ გაორებულ „რუსულ ქრისტიანულ“ სამოთხეში, რაც თვით ამ მცდელობით, მასზე **მსჯელობის პროცესშიც** კი, ანადგურებს ჩვენს „გაუორებელ“, „ეროვნული ქრისტიანობის“ კულტურულ-ზნეობრივ სახეს, პირველ რიგში, სწავლა-აღზრდის საქმეს. ყველაზე უფრო საშიშია ის გარემოება, რომ არ ითვალისწინებენ ამ გაორების პროცესში იდეოლოგიად ქცეული „რუსული ქრისტიანობის“ მიერ შეძენილ დიდმცყობელურ-შოვინისტურ ბუნებას.

#### **(დ) „გაუორებელი“ სინდისით გაძლიერებული**

ქრისტიანობის ჰუმანურმა არსმა განაპირობა კოლხ-იბერულ ცნობიერებაში რწმენისა და ეროვნულობის გაიგვება ისე, რომ არ მომხდარა **სინდისის გაორება**. „სარწმუნოებისთვის დევნილნი... ჩვენში პირულობდნენ მშვიდობის-მყოფელ სავანეს და სინდისის თავისუფლებას“ (ილია). აქ არ გახსნია გზა „გაორებიდან“ მომდინარე კანიპალიზმს. პირიქით, ქრისტიანობამ ჩვენში მიიღო სულ სხვანაირი ფუნქციონალური დატვირთვა. როგორც ილია იტყოდა, „ქრისტიანობამ ქვითკირივით შეგვერა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობამ გაგვაღვიძა მამულისა და ეროვნულობის შერჩენისა და ხსნისთვის. ღვანწლი იგი გვიორეკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება“ (შეგ.). „ქართულ ქრისტიანობას“, რაც ირწმუნა იესო ქრისტე, **გლობალური თვალსაზრისით**, არასდროს უღალატია ამ რწმენისთვის და, როგორც ქრისტიანი, თავს ვალდებულად თვლიდა, მისთვის თავი გაეწირა, რაც სამშობლოსთვის თავგანწირვაც იყო. ამიტომაც ქრისტიანობის დამკვიდრების პირველი ხანებიდანვე გაიგვდა ის ეროვნულობასთან. ამაზე ამბობდა გიორგი მთამინდელი (XI საუკ.) ანტიოქიის პატრიარქთან კამათში: „და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარ-გვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი; და ყოველთა უვარის-მყოფელთა და მწვალებელთა

შევაჩვენებთ და დავსწყევით“ (ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, გვ. 310, თბ. 1968 წ.). მაშასადამე, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ქართველურმა მოდგმამ რაც ქრისტიანობა მიიღო მოციქულთაგან, ამ მართალი სარწმუნოებისთვის არ უღალატიათ და ერთგულად იცავდნენ მას. განსაცდელის უამს იმედგანყვეტილები, სასოებადაკარგულები კი არ იყვნენ, არამედ იმდენად უფრო ძლიერ წინააღმდეგობას სწევდნენ, რაც უფრო საშიში იყო კარს მომდგარი განსაცდელი.

ამდენად, თუ ერთმანეთთან შევადარებთ ტრუბეცკოის მიერ აღწერილ რუსულ (ზოგადადაც) იმპერიულად იდეოლოგიზებულ და ზნეობრივად დამახინჯებულ სახეს ქრისტიანული რელიგიისას, მის მოციქულთაგან მომდინარე და მიღებულ არსს, რომლითაც ქართველებს „ერთი ღმერთი გვიცნობიეს“ და ვხელმძღვანელობდით „ეროვნულობის შერჩენისა და ხსნისთვის“ (ილია), მაშინ აშკარად დავინახავთ, თუ რამდენად განსხვავებული მისია შეასრულა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ქართველური მოდგმის ეგზისტენციაში, მის სულიერ თუ მატერიალურ-კულტურულ ყოფაში.

მაშასადამე, ნათელი ხდება, თუ რატომ აძლევდნენ ასეთ ყოვლისმომცველ დანიშნულებას ჩვენი დიდი წინაპრები ქრისტიანობას არა მარტო **პიროვნულობის** თვალსაზრისით, როგორც ეს ზოგადადაც იყო „შინაგანი ღირსებით განდიდებული“ (ილია), არამედ **ზოგადეროვნული და სახელმწიფოებრივი** თვალთახედვითაც.

ჩვენს სინამდვილეში, **გლობალური არსით** თითქმის არასდროს მომხდარა ის **გაორება სინდისისა**, რომელზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ქრისტიანობა აქ მუდამ ასრულებდა თავის გამაერთიანებელ მისიას, „დუღაბობას ერისას“, სადამწერლობო-სალიტერატურო (საეკლესიო) ენასთან ერთად და მისი მეშვეობით. **თავისი ამ საყოველთაო მისიის შესრულებას** ქრისტიანობა, როგორც მწიგნობრული რელიგია, აღწევდა, უპირველეს ყოვლისა, სწავლა-აღზრდის საკმაოდ მყარი ბაზისის არსებობით და მისი განვითარებისათვის მუდმივი **ზრუნვის მეოხებით**. იმ ხანმოკლე მშვიდობიანობის უამსაც კი, როგორც ილია ბრძანებდა, არაფერს ზოგავდნენ, რათა მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ, როგორც ქვეწის შიგნით, ისე მის გარეთ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად. **ისინი იქცნენ**

ქრისტიანული კულტურის განვითარების საფუძველთა საფუძვლის – სწავლა-აღზრდის უმთავრეს კერძად. ამიტომ ქართული ქრისტიანული სწავლა-განათლება უწყვეტადაა დაკავშირებული საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწეობასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც.

ჩვენი აზრით, ამ პროცესში ის უმთავრესი შტრიხია გამოსაყოფი, რომ ქრისტიანული სწავლა-აღზრდის კულტურის ფორმირება მიმდინარეობდა იმ ვრცელ სტრატეგიულ არეალში, სადაც კოლხ-იბერული ნინარექრისტიანული კულტურა საკაცობრიო ცივილიზაციასთან ერთად უწყვეტად ვითარდებოდა. ამიტომ ქრისტიანობის პირველ ეტაპზე მისი კავშირი ბერძნულ-რომაულ კულტურასთან განპირობებული იყო არა მარტო პოლიტიკური პროცესებით, რაც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაში აისახა, არამედ მისი კულტურული ურთიერთობით, რომლის საფუძველიც, როგორც ვნახეთ, ძველ ანტიკურ ცივილიზაციაშია საძებარი და მათ შორის – სწავლა-განათლების სფეროში, რაც სრულყოფილად აისახა რომის იმპერიის მთელ სივრცეში, ნარმართული კულტურიდან ქრისტიანულში გადასვლის ხანგრძლივ პერიოდში, რომელშიც სრულფასოვან მონაწილეობას იღებდნენ კოლხეთისა და იბერიის სამეფოები.

\*\*\*

ამ მსჯელობების ლოგიკიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ჩვენს სინამდვილეში ქრისტიანულ სარწმუნოებას, როგორც ერის სულიერების მაფორმირებელ ძალას, არასდროს დაურღვევია ზომიერების ფარგლები და არ დაჰპირისპირებია საერო კულტურული პროცესების განვითარებას; პირიქით, ის, როგორც ეკლესიური კულტურის რელიგია, სწავლა-აღზრდის საქმის ორგანიზატორად გამოდიოდა და ნარმოადგენდა მის უმთავრეს კერას არა მარტო სახელმწიფო საზღვრებში, არამედ მთელ იმ სივრცეში, სადაც ადრეულ ხანაში ფესვები ჰქონდა გადგმული უძველეს კოლხ-იბერულ (იაფეტურ) ცივილიზაციას და ახლა მსოფლიურ სახეს იღებდა ქრისტიანობა; ის თანაზომიერად ამ კვიდრებდა ზოგად-საეროვნებო ქართულ კულტურას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილი და მიღებულია შეხედულება, რომ ქრისტიანობის საქართველოში უძველესი წარმართული, მაღალგანვითარებული კულტურული საფუძველი დახვდა. მიუხედავად მნიშვნელოვანი დანარგებისა, ქრისტიანულმა კულტურამ ბევრი რამ შეითვისა მისგან, ამიტომ მან სრულიად ორიგინალური ეროვნული სახე მიიღო.

მაშასადამე, ქრისტიანობის დამკვიდრებამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. მან ხელი შეუწყო ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ერთიანობის ფორმირებას, ერთიანი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას; გამოკვეთა ქვეყნის საერთაშორისო ორიენტაციის მიმართულება, ის დაუკავშირა ქრისტიანულ სამყაროს. „ქრისტიანობის დამკვიდრებით ახალი პერიოდი იწყება ქართული კულტურის ისტორიაში. საფუძველი ეყრდნობა მნიგნობრიობის, ლიტერატურის, მეცნიერების რიგი დარგების არნახულ აღმავლობას; ვითარდება ხუროთმოძღვრება, ფერწერა (ფრესკული მხატვრობა, მინიატიურა), ხატწერა, რელიეფური ქანდაკება, ხელსაყრელი პირობები იქმნება კულტურულ მონაპოვართა გაცვლისთვის ახლო თუ შორეულ ქრისტიან მეზობლებთან“ (გ. ლორთქითანიძე, ნ. ჩიქოვანი, ქართული კულტურის ისტორია. გვ.99, თბ. 1997 წ.).

ასეთი მყარი კავშირების დამყარებით როგორც ქართული სამყაროს შიგნით, ისე მის გარეთ, მით უმეტეს, როცა არსებობდა ამ სამყაროსთან უძველესი კულტურული კავშირ-ურთიერთობები, გზა ეხსნებოდა სწავლა-აღზრდის კულტურის ევოლუციას, მის ახლებურად სისტემურ ორგანიზებას და წარმართავდა მას არა მარტო სასულიერო-ეკლესიური დოგმატიკის თვალსაზრისით, არამედ და უმთავრესადაც, საერო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ჩვენი შეხედულებით, ასეთი დამოკიდებულების აშკარა ასახვასთან უნდა გვქონდეს საქმე ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიულ პროცესში. მისი სახელდების მონაცვლეობის მიმდინარეობა, რომელიც, რა თქმა უნდა, სადამწერლობო კულტურის ევოლუციის პროცესის შედეგად ხდებოდა, შინაარსობრივ ცვალებადობას ფორმის (სახელდების) არსში ასახავდა. წინარე ქრისტიანულიდან მომდინარე და გარდამავალ ეპოქაში „მართლად მომსახურე“ ასომთავრულ-მრგლოვანმა, რომელიც სრულად შეესაბამება ამ თვითსახელს, ქრისტიანული კულტურის გავლენით ევოლუციირების შედეგად იდეალური სიზუს-

ტე დაამყარა წერასა და გამოთქმას შორის. მას **ნუსხა-ხუცური უწოდეს** და ამით მიუთითეს მის შემოქმედ წყაროზე – ქრისტიანული კულტურის როლზე. მაგრამ, როგორც ითქვა, ქართული მართლმადიდებლობა არასდროს ჩაკეტილა საკუთარ თავში – დოგმატიკაში და იმდენად, რამდენადაც ის სრულად შეესისხლხორცა ეთნოგენეტიკას და იქცა ეროვნული სულიერების მარადშემოქმედი ენერგიის მთავარ წყაროდ, თანაზომიერად ემსახურებოდა როგორც ერის სულიერებას, ასევე მის საეროვნებო-სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს. ერის სახელმწიფოებრივად ფორმირების პროცესში ახალ მოთხოვნათა დონეზე მეტამორფოზებული ქართული დამწერლობა იღებს ამ მოთხოვნილებათა შესაბამის სახელს – **მხედრულს (საერო)**. ამ წმინდა სუბიექტური ასპექტიდანაც კარგად ჩანს ქართული „ეროვნული ქრისტიანობის“ კულტურული არსი, რომ „სწორედ ქრისტიანული მოძრაობის შედეგად დაიწყო საქართველოში ეროვნული აღმავლობა, სრულიად-სახელმწიფო ქართული ენისა და მწიგნობრობის აღორძინება“ (კულტ. ისტორია, გვ. 111). ივ. ჯავახიშვილის შეხედულებიდან მოდინარე ეს წყალგაუვალი დასკვნა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, გულისხმობს სწავლა-განათლების ახლებურად ფორმირებას, რის გარეშე ვერ მოხდებოდა ვერც დამწერლობის (ენის) და ვერც მწიგნობრობის აღორძინება.

ამდენად, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კვალობაზე მიმდინარებდა სწავლა-აღზრდის პროცესის ერთიანი სადამწერლობო-სალიტერატურო (სასწავლო) ენის მეშვეობით გადაწყობა ამ ახალი სარწმუნოებისა და ეროვნული ტრადიციების (ფსიქოლოგიური წყობის) ურთიერთშერწყმის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც განპირობებული იყო საკუთრივ ქრისტიანული სარწმუნოების ბუნებით, იმ პრინციპით, რომელიც მომდინარებდა თვით იესო ქრისტედან, სულინმიდიდან და მოციქულთა სწავლებიდან.

„კულტურის ისტორიის“ ავტორები აღნიშნავენ, რომ აღმოსავლური ქრისტიანობის პრინციპი – ქრისტეს რჯულის ქადაგება მშობლიურ ენაზე, აისახა პავლე მოციქულის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (I კორ. 14): „რამეთუ სჯულსა წერილ არს, ვითარმედ უცხოითა ენითა და ბაგეთა უცხოითა ვეტყოდე ერსა ამას და არცალა ესრეთ ისმინონ ჩემი,

იტყვის უფალი“. მეორეგან განმარტავს: „თუ უცხო ენაზე ვლოცულობ, მართალია, სული ჩემი ილოცავს, მაგრამ ჩემი გონება რჩება უნაყოფოდ“. ამიტომ ქრისტიანობა ზრუნავდა ამა თუ იმ ხალხის მშობლიურ ენაზე მწიგნობრობის შესაქმნელად თუ ასაღორძინებლად. როგორც პავლეს განმარტებიდან ჩანს, ეს სიტყვები ეკუთვნის უფალს: „იტყვის უფალი“. ცხოვრებაში მისი აღსრულება ხდება სულინმიდით: „და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულინმიდისგან შესწავლილით. სულიერს სულიერით განვმარტავთ“ (I კორ. 2, 13). მისი მოვლინება ხდება ქრისტეს ამაღლებიდან ორმოცდამეათე დღეს, როცა ერთად მყოფ მოციქულთ ესმათ ხმაური ზეციდან, აღივსო მთელი სახლი და ეჩვენათ გაყოფილი ენები და სათითაოდ მოეფინა თითოეულ მათგანს. სულინმიდით ყველას ესმა საკუთარ ენაზე, რომელშიც იშვნენ და მათ შორის იყვნენ იაფეტიდელნი – მკვიდრნი „კაპა-დუკისანი და პონტოისი“ და უსმენდნენ მათ, თუ როგორ ლაპარაკობდნენ თავ-თავისი ენებით ღვთის დიად საქმეებზე (საქმეები 2, 2-12).

მაშასადამე, ქრისტიანული სარწმუნოების მიდგომა ქრისტეს დიად საქმეთა მშობლიურ ენაზე ქადაგებისადმი საკუთრივ უფლისგან მომდინარეობს და ხორციელდება სულინმიდით. ამასთან, მართალია, ავტორები აღნიშნავენ, რომ აღმოსავლური ქრისტიანობის პრინციპი იყო ქრისტეს რჯულის ქადაგება მშობლიურ ენაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობისთვის, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმპერიული იდეოლოგიის ფუნქციის აკიდების შედეგად ეს პრინციპი ირღვევა (ამ პროცესის ათვლა აღბათ იუსტინიანე დიდის (VI ს.) რეფორმებიდან უნდა დავიწყოთ), ქრისტიანულ სამყაროს თავს ახვევენ ე.წ. ტრილინგვისტურ – „სამი წმინდა ენის“ თეორიას, რომლის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე აიტაცა ის სადამწერლობო ენების თვალსაზრისით სუსტად წარმოდგენილმა დასავლეთმა და რომის ეკლესიამ საუკუნეობით დაამკვიდრა იქ ლათინური, როგორც ერთადერთი საღვთისმეტყველო-საეკლესიო ენა, შესაბამისად, სალიტერატუროც. აღმოსავლეთშიც არ ყოფილა საქმე მშვიდობიანად, პრინციპის დონეზე გადაწყვეტილი, როგორადაც ავტორებმა ეს დაგვიხასიათეს. აქ (აღმოსავლეთში), სადაც ფეხი აიდგა ამ იმპერიულმა თეორიამ, მას დი-

დი წინააღმდეგობა შეხვდა მაღალგანვითარებული სადამწერლობო ენების მხრიდან, რომლებსაც მონაწილეობა მიეღოთ ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ჯერ კიდევ მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და უკვე ჰქონდათ საკუთარი ორიგინალური თუ ნათარგმნი ლიტერატურა და მშობლიურ ენაზე აღავლენდნენ წირვა-ლოცვას, კერძოდ, სირიული, კოპტური, სომხური, ქართული და ა.შ. ენების მხრიდან. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც უზარმაზარმა სლავურმა მოდგმამ შექმნა საკუთარი ანბანი – „კირილიცა“ და სლავური ენა იქცა სადამწერლობო, სალვატორების მეტყველო-საეკლესიო ენად.

„ქართული ქრისტიანობა“ სწორედ ამ უკომპრომისო ბრძოლაში იმკვიდრებდა თავს და აყალიბებდა შესაბამის საგანმანათლებლო-აღმზრდელობით კულტურას. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტია ქართული განათლებისა და აღმზრდელობითი კულტურის იდეური საფუძვლის ახლებურად ფორმირების საკითხში გარკვევისთვის.

ქრისტიანული რელიგიის ქადაგებისა და გავრცობის ფუძემდებლური ფორმულა, მოცემული პავლეს განმარტებაში, რომ უცხო ენაზე ლოცვისას სული ლოცულობს, მაგრამ გონება უნაყოფოდ რჩება, ან უცხოთა ენათა

და ბაგეთა ვეტყოდე ერს და ჩემი არ ისმინონ, მთელი თავისი არსებით წარმართავდა ქართული სადამწერლობო-სალვატორების ენის ბუნებას. ამ ნიშნით განისაზღვრებოდა არა მარტო ქრისტიანული ეკლესიის წინამძღვრობისა და სისტემური ფუნქციონირების საკითხი, არამედ მასზე იყო აგებული ქართული სწავლა-აღზრდის (განათლების) კულტურა და მისგან მომდინარე ეროვნული იდეოლოგია და სახელმწიფო იდეა, ვიდრე მას სასიკვდილოდ არ დაემუქრა ტლანქი რუსული კოლონიალური სისტემა და არ მოინდომა განათლების პროცესიდან მშობლიური ენის განდევნა, რაც საუკუნის შემდეგ კიდევ ერთხელ მოინდომა XX საუკუნის 70-იან წლებში უკვე საბჭოთა იმპერიამ.

ამდენად, თითქმის მთელი ორი ათასი წლის მანძილზე ქრისტიანული იდეისა და ზნეობის საფუძველზე ხდებოდა ქართული სწავლა-განათლების კულტურის სისტემური განვითარება. ამ პერმანენტული პროცესის საწყისი აშკარად იკვეთება წინარექრისტიანულიდან ქრისტიანულში გარდამავალ ეპოქაში, რომლის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ფაზისის რიტორიკული სკოლა – ე.წ. ფაზისის აკადემია, რომლის შესახებ ცნობებს იძლევა IV საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი და რიტორი, სახელმწიფო მოღვაწე თემისტიოსი.



## ლაშა გვასალია

### კავაბია

ძველით ახალი წლიდან წყალკურთხევამდე ბაბუა შიმშილობდა. სულ ხუთი დღე, აქედან ოთხ დღეს ხმელი პურითა და წყლით გასტანდა, მეხუთე დღეს არც წყალს გაეკარებოდა, არც პურს. არსად დადიოდა ის დღეები, არაფერს აკეთებდა და დამუნჯებული იყო, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, კრინტს ვერ დააძრევინებდით. ვიცოდით შვილიშვილებმა და ის ხუთი დღე არ ვეკარებოდით. ზალაში, ტახტზე იძინებდა. დუმდა და ფიქრობდა, ქრისტესავით სევდიანი იყო. განწმენდის დღეები ჰქონდა ბაბუს, ოხვამექარიდან კაკაბია, ანუ წმინდა წყალი უნდა მოეტანა ოჯახისთვის 19 იანვარს, წყალკურთხევის ბრწყინვალე დღეს. საამისოდ საგანგებოდ მომზადებულიც იყო, თავსაცობიანი, ჯვარამოხატული თიხის ხუთლიტრიანი დოქი ჰქონდა, ბამბაჩაფენილი ბრეზენტის ზურგჩანთა და საგანგებოდ იმ დღისთვის გამოთლილი თხილის სახრე, რომლის შიშითაც არც ეშმაკეული და არც სხვა ვინმე ძეხორციელი ვერ უნდა გაგეარებოდა. შიგთავსიდან გამომდინარე, ამ ჭურჭელს კაკაბიას კოკას ვეძახოდით. 19-ში, უთენია, მამალს რომ კრინტი არ ჰქონდა დაცდენილი, ისეთ დროს გავიდოდა სახლიდან და დაახლოებით სამ საათში უკანვე მობრუნდებოდა მთელი წლის საკმარი კაკაბიათი, პირველად თავად დალევდა ასევე კაკაბიასთვის განკუთვნილი თიხის ჯამიდან, როგორც ოჯახის უფროსი და მერე ჩვეულებრივად, ანუ დანიშნულებისამებრ მოზომილად იყენებდნენ წმინდა წყალს. ბაბუა ხატებს ქვემოთ წითელ-ხავერდგადაკრულ სამფეხა ჯორკოზე სიფრთხილით შემოდგამდა წმინდაწყლიან დოქს და მომდევნო წყალკურთხევამდე იშვიათად თუ მოიკითხავდა, დანარჩენი ბებიას საქმე იყო, მთელი სოფლის შემლოცველი ეგ იყო და კაკაბიას მოსხურების გარეშე არანაირი შემლოცვაც არ ჭრიდა, მოკლედ, ამ საოცარ წყალს დიდი მოთხოვნა და გასავალი ჰქონდა.

იშვიათად, მაგრამ შვილიშვილებთან ერთად კაკაბიასაც იფიცებდა ბაბუა, „კაკაბიას გეფიცებით, ასეაო“, რომ იტყოდა, მორჩა, სიტყვას ვერავინ შეუბრუნებდა, ეს უფლის

დაფიცების ტოლფასი იყო! მამა, ბაბუას ერთადერთი ვაჟი, ავტოკატასტროფაში ადრეულ, სიყმანვილის ასაკში დაიღუპა, სამი მცირენლოვანი შვილი – ერთი ბიჭი და ორი გოგო, ახალგაზრდა ქვრივთან ერთად ბაბუას და ბებიას მისახედად დავრჩით. მამაჩემის გარდაცვალებიდან ორი წლის მერე დედაჩემისთვის უთქვამს ბაბუას, შვილივით მიყვარხარხარ, ვერ გელევი, მაგრამ ახალგაზრდა ქალი ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, ცოდვა ხარ, არ დაიტანჯო თავი, გათხოვდი, ბედს ეწიე, ამ ბავშვებს ჩვენ გავზრდით, მოაკითხე, როცა გინდა და შენეული მზრუნველობა არც შენ მოაკლოო. გაგიულებულა დედაჩემი, ჩემთვის ქმარ-კაცობა დასრულებულია, ბაბა ბატონო, სიკვდილის გარდა ჩემი თანამეცხედრე ანი არავინ იქნებაო და ასე მოვედით დღემდე, წვალებით, შრომით და ბაბუას მტკიცე ორანით, რომელიც ტრადიციის ფოლადით იყო გამოკვერილი.

ავად გახდა იმ წელს, 14 წელი მისრულდებოდა 17 იანვარს, ბაბუა ჩემს ყოველ დაბადების დღეს გამორჩეულად და სიხარულით აღნიშნავდა, გვარისა და ფუძის გამგრძელებელია და განსაკუთრებულად უნდა მოვეპყრათო. ამ მხრივ დებზე მეტად განებივრებული გახლდით, მისი სიტყვა კანონი იყო და ვინ გაბედავდა ან დარღვევას, ან წესისამებრ არშესრულებას. ჩემს დებს მიუალერსებდა, თვალებს დაუკოცნიდა და ეტყოდა, მართლა თქვენზე მეტად კი არ მიყვარს ბიჭი, მეცოდება, რადგან ყველაფერი მის ზურგზე უნდა გადავიდეს – ყველა საქმითა და საძეხორციელო საქართვის, დიდი ტვირთი უნდა იტვირთოს და მებრალებაო!..

ბებია იტყოდა: აქ, ჩვენთან არ იღებს ხმას, თორემ თვალმიფარებულზე სულ ჩვენს უხანე შვილზე მოთქვამს და ტირისო. ცოტას რომ შეთვრებოდა, მაშინ თუ წამოსცდებოდა რამე თავის უსაზღვრო ტრაგედიაზე. შვილი არ უნდა წაართვაო კაცს, ბაბა, ცხოვრების აზრი და ხალისი არ უნდა დაუკარგო, არ უნდა დასაჯოო ასე. ამასაც ჩემთან იტყოდა, საკაცო ტკივილი გაითავისო უნდაო, იმიტომ.

– მეცოდები, ბაბუ, ჩემო ლამაზო ბიჭო, ჩემო იმედო და სიყვარულო, მაგრამ მოვიდა შენი უფროსეაცობის დრო, შენ უნდა გაუძლვე ოჯახს!

– რას ამბობ, ბაბუა, შენი ჭირიმე, ნუ მეუბნები ასეთ რამეს, – შევტირე ჩემს გამზრდელ, სიცოცხლეშემოხარჯულ ბერიკაცს.

– რა გატირებს, შე კაცო, დიდი კაცი მგონიხარ, ოჯახს, მომავალს, სინდის-ნამუსს და ყველაფერს შენ გაბარებ და რასაა ქალივით რომ მოსთქვამ? უნდა მოსულიყო ეს დრო, შვილო, დღეს თუ ხვალ, ჩვენ-ჩვენი ადგილი უნდა დაგვეკავა ყველას და ა, დადგა უამი, კი მინდოდა შენს გაბედნიერებას და ქორწილს შევსწრებოდი, მარა ოხერია მიქელ-გაბრიელი, რას გამოაპარებ, დაინახა, რომ დავილალე, გამოვიფიტე და მივყავარ ჩემს ვაუკაცთან. თქვენი ჯავრი მიმყვება თვარა, მე რას მომაკლებს ჩემი ბიჭი? – ახლა თვთონაც აუკიაფდა ცრემლი მოხუცს.

– ნუ გეშინია, ბაბუ, ძალიან კარგად გამოიყურები, სად უნდა წახვიდე, უშენოდ რა გვეშველება? – კინალამ დამახრჩო ცრემლის ბურთმა.

– შენშია გადმოსული მთელი ჩემი ძალა და ლირსება, შეძლება და პატიოსნება, წესიერად რომ იცხოვრებ, შვილო, არაფერი გაგიჭირდება, მე და მამაშენი იქიდან მოგხედავთ, სულ შენს გვერდით ვიქნებით, არაფრის შეგეშინდეს, – მაგრად მიიკრა გულზე ჩემი ხელები, – ბებიას მიხედე, თქვენთვის უდგას სული და არ აწყენიო, დედას გაუფრთხილდი, განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს, შვილებს შემოგწირათ ცალულლად ახალგაზრდობა და ცოდვაა რომ არ დაუფასოთ. გოგოები გაათხოვე, ბაბუ, ყველაფერი შემოსავალი და გასავალი ჭკვიანურად გაანაწილე და სირცხვილი არ ჭამო. ცოლი, სკოლას დაამთავრებ თუ არა, მაშინათვე შეირთე, ნაადრევი ყველაფერი კარგია სიკვდილის გარდა. შვილებს მამაშენისა და ჩემი სახელი არ დაარქვა, უბედონი გამოვდექით და ჩვენი ტვირთი არ აკიდო!..

– ბაბუ, გთხოვ არ დაგვტოვო, – აკზლუ-ქუნდი ხმამალლა.

– გეყოფა, კაცო, რა ამბავში ხარ, კაცი უნდა წავიდეს, აბა, როგორ გინდა შენ? ჰო, დაფნა ორად გაყავი, ჭალის მხარე ერთ წელინადს მოჭერი, ტყისპირისა – მომდევნო წელს,

ხარკამეჩები გაყიდეთ, მეშინია, არ მოგპარონ, ის რქენია მეყანე ჭრელაც მოიშორე. ჩემი დასამარხი და მთლიანად სახარჯო ფული ბებიაშენს აქვს და მოგცემს. ჰო, ურემიც გაყიდე, შეგიკლავს ოხერი, ოთხთვალა და ცხენები დაიტოვე. ათივე ცხენი დადალულია, შენი სახელის პირველი ასო აქვთ ამოდამღული უკანა ფეხზე, კამეჩებიც ასე მაქვს მონიშნული. ნახევარი საუენი შეშა გურამის გვმართებს, შემოდგომის პირზე გაისტუმრე. კაი, ახლა დავილალე და დამტოვე, დავისვენო მინდა. წადი, ნუ გეშინია, წყალკურთხევამდე არ მოკვდები, შენი მოტანილი კაკაბია დავლიო უნდა!

კუჩხას, ბედობას და ანგელოზობას ლოგინად დახვდა. მე დამეკისრა მეკვლეობა, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც ბაბუას გაუხარდებოდა. მერე შიმშილობა დავიწყე, ანუ განწმენდა წყალკურთხობისთვის. ბებიამ მითხრა: რომ უფთხარი, შიმშილობს და ინმინდება წესისამებრ-მეთქი, გაიხარა და უფალს მადლობა გადაუხადა, ასეთი შვილიშვილის ჩუქებისთვისო. ისევ მომერია ცრემლი, ვერაფერი ვუთხარი ბებიას, არ მქონდა უფლება, მომიტანა პური, წყალი და გავიდა ოთახიდან. ასე მშიერი და უქეიფოდ შევხვდი დაბადების დღეს. ფრთხილად, ფეხაკრეფით შევდიოდი ბაბუას საძინებელში და ცრემლიანი თვალებით ვეთხოვებოდი მოხუცს, რომელსაც ცვილისფერი დასდებოდა და დაუხამხამებლად მიშტერებოდა ერთ წერტილს, მამაჩემს დაუძახებდა ხოლმე და რაღაცას ჩურჩულებდა.

დადგა ოხვამეკარში გამგზავრების დღე. მოვიკიდე ზურგჩანთა და გავეშურე ოხვამეკარისკენ, წკვარამი ლამე იყო, სათოვლოდ მოქუფრულიყო ცა. ჩვენს მეზობელს წამოვენიე, შევხედეთ ერთმანეთს და გაკრინტულმა გავუსწარი, უფრო ავუჩქარე ნაბიჯს. გული ცუდს მიგრძნობდა, იქნებ ვერ მივუსწრომეთქი და სირბილით ავუყევი აღმართს. გული ამოვარდნას მქონდა, სუნთქვა მეკვროდა, ნელ-ნელა თოვლიც გაიმეტა ცამ. გზაში მხვდებოდნენ ვიღაცები, ჭურჭელ და დოქმოკიდებულნი, მაგრამ არც შემიხედავს არავისთვის.

ოხვამეკარის წყაროსთან მისულმა, დარიგებისამებრ, ხელ-პირი დავიბანე, ლოცვა წარმოვთქი, კოკა ავავსე, მოვიკიდე ზურგზე და წამოვედი. მოუმატა თოვას, მამლებმაც მოუხშირეს ყივილს, ძალლებიც გაბმულად ყეფ-

დნენ. უკვე თავდაუზოგავად ბარდნიდა, ირგვლივ არაფერი ჩანდა. თოვლი ყრუა, ახშობს ხმასა და ჩქამს. ეზოში შესულს ტირილის ხმა შემომესმა. დამერლვა მთელი სხეული, ძალა წამერთვა, ძლივს ავიკიპე ოდის საფეხურები, კარი მძიმედ შევალე, უმცროსმა დამ, ბაბუა მოკვდაო, შემომტირა, ჩავისუტე აცრემლებული პატარა. მერე ფრთხილად მოვიხსენი კაკაბია, იქვე კუთხეში დავდე და დავემხე ქვითინით ჩემს გამზრდელსა და იმედს, ჩემს უშურველ ბაბუას. ცოტა ხნის მერე, ბებიამ და დედამ ამაყენეს, მომწყვიტეს ბაბუას მკერდიდან, მაშინ ვიგრძენი მისი შემაურულებლად გამყინავი სიცივე. – სიკვდილის წინ გონზე მოვიდა და გვითხრა, ბიჭს ცხელი წყალი და-ახვედრეთ, ფეხები დაადგმევინეთ, შესცივდე-ბოდაო. თან, ნაშიმშილევია და უცებ ბევრი

არ ჭამოსო, – ეს უთქვამს და გადავანებულა მარადისობაში.

უცებ მისი ხმა ჩამესმა: მოხვედი, ბაბუ, ხო არ შეგცივდა? რას გაშეშებულხარ, შე კაცო, მომიტანე, დამალევინე კაკაბია, ჯერ მე ვარ ოჯახის უფროსიო. გამოვცოცხლდი, გავიქეცი, მოვარბენინე ფიალა თიხის, გადმოვასხი კაკაბია და მივუტანე ჩემს უსულო იმედს. მერე ოდნავ გაღებულ ტუჩებში ჩავუწვეთე, თვალები და პირ-სახე მოვპანე... ეჲ... ახლა ალბათ სხედან იმქვეყნად მონატრებული მამა-შვილი და უყვება მოხუცი: მოგესწრო შვილი, ბაბა, წელს მაგან მოიტანა კაკაბია... ვგრძელდებით, ვგრძელდებით, ბაბაია!..

მე კიდევ მთელი ცხოვრება მედო წინ წვალებით, განსაცდელებითა და ცოტაოდენი გახარებებით სავსე!..



## ჩასაფრებული მოლოდინი...

ბატონი ელგუჯა თავბერიძე ფუტკარივით მშრომელი, მაღალგემოვნებიანი ბრწყინვალე შემოქმედია, მისი დოკუმენტური რომანების სერია ახალი ეპოქის წარმოჩენაა ჩვენს მხარეში, რიკოთს აქეთ „ქვეყანაში“.

დღევანდელ საქართველოს ორი დიდი მწერალ-დოკუმენტალისტი ჰყავს – ბატონი როსტომ ჩხეიძე და ბატონი ელგუჯა თავბერიძე. იმას, რასაც როსტომ ჩხეიძე აკეთებს, „ჩუმი ნატვრითაც ვერ ინატრებდა ქართველი“, ამ საოცარმა, ღვთივმალადმა კალმოსანმა შექმნა ახალი სამყარო – მხატვრულ-დოკუმენტური სახე ეპოქალური უსასრულობისა, საიდანაც ამოხაპა დაკარგვისთვის და მარადიული მივიწყებისთვის განწირული უმნიშვნელოვანესი ფაქტები და სახეები.

ეს ორი ადამიანი შეფიცულია-მეთქი, ვთქვი ერთ ლიტერატურულ საღამოზე ამას წინათ, ის კი არა, როსტომ ჩხეიძემ მგონი, რომ შეიფიცა და კალაპოტი გაუჭრა, გეზი განუსაზღვრა ელგუჯა თავბერიძეს ამ უდიდესი საქმის საკეთებლად (ეს ღვანება ლიტერატურულ უანრს გასცდა და საქმე გახდა, გარდაუვლად საკეთებლი საქმე). განა სხვები არ გვყვანდნენ ქართველებს მსგავს უანრში

მომუშავენი, მაგრამ ისინი შემოდგომის მოსავლით ერთჯერადად ხარობდნენ მხოლოდ და მერმის, ბედსა და ილბალს მინდობილი, უხვ, დოვლათიან შემოდგომადე არ გამოჩედებოდნენ. ეს დალოცვილები კი თავად ხნავენ, თესავენ, მარგლავენ, რწყავენ და ალალად, მარჯვე გლეხებივით ლუკმამადლი-ანად შემოდგომბენ, მათი ჩალისფერი ზვინ-ანნალებიც გასაოცარია და ტყემლისფრად მოთეთრებული გაზაფხულებიც. ბარაქალა თქვენს ფიქრს, გონსა და შეძლებას, დიდო კალმოსნებო.

თავს რომ ვიწონებდი, თითქოსდა იმდენი რამე ვიცი-მეთქი, თურმე სადა ხარ, სად ბანაობ, ახლად გადამეშალა გაღუდლუდებული ველი ჩვენი ლირსეული მოღვაწეებისა, ადამიანებისა, რომლებმაც დაუდეს საფანელი ქართულ სახელმწიფოებრიობას, განამტკიცეს ენა ქართული და დიდი საბა ორბელიანის კვალისად, გაჭრეს გზა ევროპისკენ, ახალი „წიგნის“ შემოსატანად, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების დონის ასამაღლებლად. მათ ქართულ იდეას ჩაუყარეს საფუძველი, ზოგადქართული ცნობიერების ამაღლებითა და ილიასეული გზის ნათელიანობით (დიდი

ილიას გზა ჯერ კიდევ ილიას დაბადებამდე არსებობდა ყველა ნამდვილქართველის გულ-სა და გონიში).

ულრმეს მადლობას გწირავთ, ღირსეულო მამული მადლის გვილებო, ჩვენი სვენალვლიანი სამ-შობლოს მეგულსიტყველობო..

რაც შეხება ბატონი ელგუჯას დიდებულ რომანს – „ვით უდაბნოში გზააბნეულები“, ახალი კვალია ჩვენს მწირ და ყამირ ლიტე-რატურულ-დოკუმენტირებულ სივრცეში. სამსონ თოფურიას სახელი, როგორც პირვე-ლი სამკურნალო დაწესებულების დამფუძნე-ბელისა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი მხარის ტენტრში – ქუთაისში, როგორ არ გამეგონა, მაგრამ ასე ღრმად, დეტალების ასე მაღალოსტატურად გადმოცემითა და ბიოგ-რაფიული წიაღსვლებით უდიდესი ინფორმა-ცია მივიღე და გავწათლდი.

მოდით, მივადევნოთ თვალი წიგნის ამ ეპიზოდს, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე სამსონ თოფურიას დასაფლავებაზე სიტყვით გამოსვლისას ბრძანებს: „მიცვალებული გან-გებ არ მოეკიდა ოჯახს, ვერ გაიმეტა თავისი სიყვარულის განაწილება ოჯახსა და საზოგა-დო საქმეს შორის“. მსგავს მოფერებასა და მართალი სიტყვით მოფინფვლას ბევრი ვინმე არ ღირსებია. „სამსონ თოფურია უპირადო ცხოვრების კაცი იყო“ . – ესეც ეპისკოპოსის სიტყვებია. ხოლო რაც კოლეგებმა და გამორ-ჩეულმა ქართველებმა ჩააყოლეს სიყვარულის დასტურად სამარეში, ცალკე საუბრის თემაა და დიდებულად აქვს მწერალს გადმოცემუ-ლი.

სამსონ თოფურია გახლდათ სახე პროფე-სიონალიზმით ამზეკაბანებული პატრიოტი მამული შვილისა. წარმოშობით სენაკელმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ ჯერ ოდესისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში, შემდეგ კი და-სავლეთ ევროპაში: გერმანიაში, იტალიასა და შვეიცარიაში განათლებამიღებულმა მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა თავის ქვე-

ყანასა და ხალხს შესწირა, როგორც ექიმმა, მენეჯერმა და უანგარო ქველმოქმედმა.

ერთი ინტერვიუ ამომიტივტივდა ცნობიე-რებიდან, ასევე ცნობილ და სახელმოხვეჭილ დასტაქართან, ანგანსვენებულ ბატონ ფრი-დონ თოდუასთან, რომელიც ბრძანებდა, ჩემი მისაბაძი ადამიანი და კოლეგა დიდი სამსონ თოფურია არისო, ადამიანი, რომელიც გახ-ლდათ არა მარტო დიდი დასტაქარი, არამედ უნიჭიერესი მენეჯერი და საქმის წინამდლო-ლიო. და მე, ფრიდონ თოდუას, მისი საქმის გამგრძელებლად მიმაჩნია ჩემი თავიო. ნე-ტავ ბატონი ფრიდონი მოსწრებოდა ამ დიდ ფაქტს, ამ დიდებული წიგნის გამოცემას, უსაზღვროდ გაიხარებდა და თავის წვლილ-საც შეიტანდა მისი პოპულარიზაციის საშუალების შემები. ნიშნავ იმისა, რომ კეთილ კვალს დაკარგვა არ უწერია, უთუოდ გამოჩნდებიან ღირსეული ადამიანები, რომლებიც გააგრძე-ლებენ ამ გზას და, რაც მთავარია, ნათელს მოჰყენენ მათ საღვთო ღვანებასა და სანაქე-ბო საქმეებს.

ბატონმა ელგუჯამ, ცამალალმა მწერალმა და მოღვაწემ, შესძლო უკვდავი ძეგლი აღე-მართა დიდი დასტაქარის, ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის სამსონ თოფურიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკვდავი საქ-მისთვის. ე.ი. ამ უჭივიანესმა შემოქმედმა უწინარესად მამული შვილური საქმე დააყენა, „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“ – მიდევნე-ბით და არათუ „მშრალი“ პორტრეტი, არამედ ღვაწება აქცია სახედ ნამდვილქართველობისა და ესაა სწორედ განსაკუთრებულად დასაფა-სებელი მის შემოქმედებასა და მწერლობაში.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ჩვენო დი-დო, სამედო და საყვარელო მეგობარო, უი, მეგობრებო, ბატონი როსტომის ასეთ დროს არხსენება ღალატის ტოლფასია. მრავალუ-მიერ!

ჩასაფრებული მოლოდინით

**ლაშა გვასალია**



## იდლეგრძელეთ, პატონო გურამ!

დაბადების 80 წლისთავს ვულოცავთ ჩვენს საამაყო მეგობარს, ეროვნული ინტელიგენციის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს, სამშობლოს გულანთებულ პატრიოტს, სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონში სამართლიანობისა და კანონი-ერების აღდგენისათვის თავდადებულ მებრძოლს, ნიჭიერ შემოქმედს გურამ მოლაშვილს.

ბატონმა გურამმა უმწიკვლოდ, პატიოსნად გამოიარა ცხოვრების გრძელი და არც ისე იოლი გზა, ყველგან, ყოველთვის, სადაც კი მუშაობდა, იგი გამოირჩეოდა სანიმუშო ადამიანური თვისებებით, რომლებიც მას ოჯახიდან, მშობლებიდან გამოჰყვა. საუკეთესო კოლხური ტრადიციების ერთგულება თვალნათლივ ეტყობა მის სამაგალითო კარ-მიდამოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, სადაც ნებისმიერ მომსვლელს გულუხვად დახვდება სტუმართმოყვარეობის, ქართული მწერლობის, საერთოდ, ქართული კულტურის სიყვარულის ნათელი.

უფროსი ძმის იუბილეს ასევე ვულოცავთ ყველა ჩვენგანისთვის სასახელო პიროვნებას, ჩვენს მეგობარს, ცნობილ პოეტსა და გამომცემელს ზაურ მოლაშვილს. დაე, კვლავაც დიდხანს ეაროთ მათ მხარდამხარ, განუყრელად შემოქმედების დიდ გზაზე!


იხარეთ და იდლეგრძელეთ, ბატონო გურამ! ვიცით, წლები ვერას დაგაკლებენ, ისე მხნედ და შემართულად გამოიყურებით. წარმატებები და სიხარული ნუ მოჰკლებოდეს თქვენს დიდ და ლამაზოჯახს, კვლავაც დაგენეროთ მრავალი ლექსი, გამოგეცეთ ბევრი წიგნი და გენახოთ ერთიანი და ძლიერი, წარმატებული და გალალებული სამშობლო – საქართველო!



გურამ აპსანძე, ნეომ გურამშვილი, როპერტ პატრიარქი ვალენტინი, ნოდარ ჯალაღონია, მურმან ზაქარაია, დილარ ივანდავა, ირინე ტალიავალი, გიორგი სიზინავა, ჯეგალ გონია, ლაშა გვასალია, გია ხუგუა, ამრიდონ ჩეგიანი, თეონე ზაქარაია, ლუარა გამყრელიძე, განეული ხუგუა, თორნიკე ქავშიანი, კახა ქეცხაძე, დავით ზაქარაია, გია ჯიშონია

## მურმან ზაქარაია

### ტკივილით დაცერილი ლექსეპი



გურამ მოლაშვილი – მრავალ ჭირ-ვარამგა-მოვლილი, უაღრესად ზნეკეთილი პიროვნება, ბოროტების დათრგუნვისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის მზრუნველი პოეტი; მშობლიური სამეგრელოს საზოგადოების ერთ-ერთი რჩეული წარმომადგენელი; ქვეყნის გულალალი პატრიოტი, რომელიც თავის თანამოაზრებთან ერთად დაუცხრომლად იღვნოდა და იბრძოდა პუტჩისტთა ბაკეანალისა და უკანონო ხელისუფლების ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ, – დღეს, თავისი 80 წლის იუბილეს ახალი წიგნით – „რჩეულით“ ხვდება. წიგნის შემდგენელი მისი შემოქმედების ყველაზე უფრო პირუთვნელი შემფასებელი და კრიტიკოსია, მისი უსაყვარლესი უმცროსი ძმა, ცნობილი ქართველი პოეტი და ეროვნული მოღვაწე ზაურ მოლაშვილი.

გურამ მოლაშვილი კანონიერი ხელისუფლების დამხმბის შემდეგ შედგენილი ზუგდიდის „მრგვალი მაგიდის“ წევრი იყო. მე, როგორც ამ პროცესის მონაწილე და კურატორი, მუდმივ კონტაქტში ვიყავი ბატონ გურამთან, მაგრამ

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი თანადგომა პუტჩისტური ხელისუფლების მიერ აკრძალული გაზეთ „აღდგომის“ ჯერ ხელნაბეჭდი სახით გავრცელების და შემდეგ თბილისში მისი გამოცემის საქმეში. აქედან მოყოლებული მისი ლექსები რეგულარულად იბეჭდებოდა ამ გაზეთის „პოეზიის გვერდის“ და არა მარტო იქ, არამედ სხვა ოპოზიციურ უურნალ-გაზეთებშიც. ამიტომ ჩემთვის ძალზე ახლოა მისი პოეტური შემოქმედების თუ საზოგადოებრივი საქმიანობის ბუნება.

ამის წინა პოეტური კრებულის სათაური „ტკივილით დანერილი ლექსები“ ზედმინევნით ასახავს ჩვენი იუბილარის მოღვაწეობის მთელ სურათ-ხატს. მას არ ძალუძს, უტკივილოდ, ლრმა განცდის გარეშე მიუდგეს არა მარტო შემოქმედებით ან საქვეყნო საქმეს, არამედ ჩვეულებრივ ყოველდღიურობასაც კი, თუნდაც სამეურნეო-ყოფით შრომა-გარჯას, რომელშიც აღამებს და ათენებს და რომლისგანაც არა მარტო დიდ სიამოვნებას იღებს, არამედ მასში ხედავს

მომავლის ნათელს. ამიტომ იმავე სათაურით ვთავაზობთ მკითხველს ჩვენ ამ მოკრძალებულ წერილს მის საიუბილეო „რჩეულზე“.

მარკ ტვენს უთქვამს, სინდისი მთელი ცხოვრება უნდა წვრთნაო, ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრება იმდენ გამოცდას უწყობს ადამიანს, იმდენ საცდუნებელს სთავაზობს, რომ ყოველ-დღიურად ნაწრთობი სინდისისა და სულიერების გარეშე არა მარტო ვერ მიუახლოვდები ღმერთს, არამედ ვერც ადამიანებთან გადებ ხიდს, და მაშინ ჯოჯოხეთს ქვესკნელიდან ზე ამოიყვან და დატ-რიალდება ცოდვის კალო. საუბედუროდ, ყველას როდი ძალუძალის, როდი შესწევს უნარი, მუდამ მო-უხმოს სინდისს და წვრთნას იგი თავის თუ სხვის საკეთილდღეოდ, ამის გამოცაა სავსე ჩვენი საზო-გადო ცხოვრება პირმოთნეობით, ორგულობით, ღალატით.

ამიტომ გურამის ლექსები ერთი დიდი შე-მოძახილია ადამიანური კეთილმყოფობის დიდე-ბულებით ამღერებული, სინდისდაუხურდავებე-ლი კაცური კაცისა. აი, თუნდაც ისე, როგორც ეს გვაქვს მის მშობლიური სოფლისადმი მიძღვნილ ლექსში, სადაც დიდი სიყვარულითა და გულ-წრფელობითა დახატული არა მარტო ცხოვ-რებისეული – შემეცნებით-ეთიკური სახე მისი სოფლისა, არამედ ის წარმოდგენილია, როგორც სამყაროს აღუზია:

„ყველა სიკეთე აქ არის,  
რაც გაჩენილა ამქვეყნად;  
თვალუწვდენელი სამყარო  
ჩემთვის ინყება აქედან“.

ის, როგორც ავტორი, იმყოფება მის მიერ შექმნილი სამყაროს მიჯნასთან, რათა თავი-სუფლად შეაღწიოს მკითხველმა მასში და აღიქ-ვას მისი მრავალგვარობა და ტრანსცენდენ-ტული სახება ისე, რომ მკითხველმა ავტორის გარეშე შეძლოს, – სრულად ჩაწვდეს და შეი-მეცნოს ამ ახალი რეალობის ესთეტიკა. წმინდა ლიტერატურული თვალთახედვით, სიტყვიერი შემოქმედების მხატვრულ ფორმაში ადამიანის ირგვლივ ხდება სამყაროს შემჭიდროება და იქმნება ისეთი ესთეტიკური რეალობა, რომე-ლიც ერთმანეთთან აკავშირებს უსასრულოსა და სასრულს, მთელსა და ნაწილს. უმთავრესი ისაა, რომ მხატვრულ-შემოქმედებითი ენერგიით დამუხტულ ნაწილში აისახება მთელი – მთელი მისი სიდიადით. ეს კი ინტუიტიურად, ხალასი შემოქმედებითი ნიჭით თუ მიიღწევა, როგორც ეს ამ ლექსში გვაქვს.

პოეზია – ყოველგვარი შემოქმედების დაფ-ნის გვირგვინი, ამღერებული კეთილი სული! – მხოლოდ მას ძალუძალის სრულყოფილად ასახოს ჩვენი ცხოვრების ორსახეობა, ბოროტისა და კეთილის, სიყვარულისა და სიძულვილის მარა-დიული ჭიდილი. ამ რანგისაა ჩვენი იუბილარის პოეტური შემოქმედება – ტკივილით დაწერილი ლექსები.

ისე მეჩვენება, რომ ეს ლექსები იმისთვის დაინტერა, რომ მკითხველმა შეიგრძნოს ათასა-ირ ფერებად ამწვანებული მშობლიური მიდამოს სურნელება, მისი მშვენიერება:

„ხმაურით სკდება კვირტები  
და ილვიძებენ ყლორტები“.

მისი ფიქრები ერთვის კოლხი კაცის ბუნე-ბაში განსხვაულებულ სულიერებას:

„ირგვლივ ყველაფერს შევხარი,  
შევხარი და ვეფერები“.

მისი იდეალი – შეძლოს სიხარული, შეძლოს მოფერება იმისა, რაც მშვენიერია, რაც სიკეთით სუნთქავს, მაგრამ ის ამდენადვე დაუნდობელია მათ მიმართ, ვისაც ჯოჯოხეთი ამოჰყავს ქვეს-კნელიდან და ამქვეყნად ამკვიდრებს, მათ „მო-დალატე მტერს“ უწოდებს. დიახ, სამშობლოს, მეგობრის მოღალატე ყველა მტერზე უფრო დიდი მტერია, მის მიმართ დანდობა არ იქნება:

„მე ამ სატანას  
მოვკლავ, მოვსპობ,  
და...  
ვესვრი ტყვიას  
მაშინ,  
როდესაც ქათამიც კი  
არ დამიკლია...“

აი გულიდან ამოხეთქილი ძახილი ბოროტე-ბას დაჯახებული პატიოსნებისა, სინდისის მარა-დიული მწვრთნელი კაცური კაცისა. რამ მიიყვანა სიყვარულისა და მოფერების მარად მაძიებელი კაცი ასეთ უკიდურესობამდე? ეს მისივე სტრიქო-ნებიდან ჩანს:

„მოვკვდი,  
გავთავდი  
ბოროტების ცქერით“

და აღმტოთდა სული... სული სინდისით ნა-საზრდოები. ის გულისწუხილით ისმენს მოღალა-ტურად მოკლული გოჩა ესებუას დედის მოთქმას: „ვაი, შვილო, მე ვიცი, სამშობლოს სიყვარული ვერ გაპატიეს ამ ჯალათებმა“.

„კოლხი დედის მანდილი  
არ გაისვრება ღალატით,

ყველა გმირია ნამდვილი,  
დედის ცრემლია ალალი!“

პოეტი საუკუნის სირცხვილს უწოდებს რუ-  
სეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი, მარიონე-  
ტი არაკაცების მიერ კანონიერი ხელისუფლების  
დამხობას. გულდათუთქული მოთქვამს: ვაი ჩვენს  
თავს, ჩემო ერო! საუკუნის სირცხვილო, და „უფ-  
სკრულისკენ მიგვაქანებს ეშმა ფლიდი, ცბიერი“.  
ამ ეშმის აღზევების ჟამს, როცა სიკეთე დაბინდა  
ბოროტებამ, ის, პირველ რიგში, თავისი მშობლე-  
ბის წმინდა სახებას მოუხმობს და მიმართავს: „ამ  
უკულმართ ცხოვრებას უშენოდ ვებრძვი“.

დიახ, გურამ მოლაპხია იბრძვის ბოროტების  
წინააღმდეგ, სიკეთისა და სიყვარულის დასამკვიდ-  
რებლად. აქ ყველაფერი ნათელი და გასაგებია.  
ვერსად შეხვდებით ცრუ პათეტიკას. გულზე მჯი-  
ლის ცემისგან თავისუფალია მისი შემოქმედება. მას  
პატიოსანი, მშრომელი კაცის სიყვარულით უყვარს  
სამშობლო თვისი და დედამიწა.

პოეტი ასე ახდენს სივრცობრივ-დროით  
და აზრობრივ ორიენტირებას ზოგადსაკაცობ-  
რიო ღირებულებებზე და შემეცნებითად ასახავს  
რეალობას.

## გურამ მოლაპხეია

### გული არ გვიპერდება

I

ზამთარივით მომეპარა  
ეს ოხერი სიბერე,  
ცოტა – კარგი, ცოტა – ტკბილი,  
ბევრი – მწარე ვიგემე.

ეს ცხოვრება ისე გადის,  
ვერც მოვასწარ გაგება...  
ისე წავა, როგორც თოვლი  
გაზაფხულზე გაქრება.

II

გული ტირის,  
გული ხარობს,  
აბა, გულს რა ედრება...  
დრო-ჟამისგან  
ჩვენ ვძერდებით,  
გული არ გვიპერდება!

2015

### გული დარღით მავსეა

#### ჯოხი

ჯოხი ეჭირა ბოლოს გოეთეს –  
სიბერით ოდნავ მოხრილს;  
აინშტაინიც ბოლოს – ყოველდღე  
დასეირნობდა ჯოხით.  
*იორამ ქემერტელიძე*

ჯოხზე ამხედრებული  
სულ დავრბოდით აღმა-დაღმა...  
სანატრელი ის ბავშვობა  
მოგონებად შემრჩა ახლა!

მაგონდება: ჯოხის ცხენით  
ვქროდით ჭენებ-ჭენებით, –  
გზაზე ვინ ვის გაასწრებდა  
„მარდი“ ჯოხის ცხენებით!

ეს... გაფრინდა ის წლები და  
– ახლა დავალ ზოგჯერ ოხვრით...  
სიბერისგან წელმოხრილი  
მოვჩანჩალებ ხელში ჯოხით!

2017

გული დარღით მევსება,  
ეს ცხოვრება ფლიდია,  
ერთ დროს თანატოლები  
ვირჯებოდით, ვმდეროდით;  
ჩემი ძველი მეგობრები  
მიდიან და მიდიან...  
კაცი ზნეს რომ შეიცვლიდა –  
განა ამას ველოდი?  
ისე სწრაფად იცვლება  
ზოგის ქცევა, მიმოხრა,  
ვეღარა ვცნობ ნიღბოსნებს,  
ეჭვის ზღვაში დავცურავ!  
მშვიდი სახით გვიყურებენ,  
გვიღიმიან თითქოსდა, –  
ზოგი დღეის ყვარყვარეა,  
ზოგი კაცი – კაცუნა!  
და დრო-ჟამის მიხედვით  
ხასიათსაც იცვლიან,  
სულ დაკარგეს ნამუსი, –  
არნაქონი სინდისი!  
პირფერობენ, გეხვევიან,  
ლაქუცობაც იციან,  
თუმცა გული სავსე აქვთ  
შავი გვეღის სისინით!  
...გული დარღით მევსება,  
ეს ცხოვრება ფლიდია...  
ჩემი ძველი მეგობრები  
მიდიან და მიდიან!

2017

### შუონდილი

მუხა მღელვარედ  
გაჰყურებს სივრცეს  
და ელის ახალ ზვიადს და მერაბს...  
გარდასულ დრო-ჟამს  
იგონებს ისევ,  
ცნობს მიუმცდარად ერთგულს და ვერაგს.

უამთა ტრიალში  
ტოტდალენილი,  
გაუძლებს იგი მტრობასაც, შურსაც...  
ხვალის იმედით  
და ბრძოლის უინით,  
მუმლს – შემოსეულს კვლავაც შემუსრავს.

ვერას დააკლებს  
სუსზი და ყინვა, -  
კვლავ აკვირტდება ლორთქო ყლორტებით;  
ჩვენ გამარჯვების  
მოვისმენთ გრგვინვას  
და არასოდეს აღარ მოვკვდებით.

დრო გავა და ფრთებს  
გაშლის ოცნება,  
მართალი შარა, მჯერა, შორს მიდის...  
ქვეყანა ისევ  
გამოცოცხლდება  
და იშრიალებს მძლავრი ჭყონდიდი.

1997



## ამილაძე ჩეგიანი

### გამოტირება

გამოიტირა კაცმა სინდისი,  
ნაშუსახდილი დაქრის ცხოვრება,  
უფერულია მაის-ივნისი,  
ფულმა გვაქცია ლამის ღორებად.

რაც სიბრალულის გრძნობა გაყინა  
ამპარტავანმა მომხვეჭელობამ,  
თავისუფლებაც მტერზე გაყიდა,  
ხალხი აქცია გამწევ ჯორებად!

დაპირებების კორიანტელში  
უმუშევარი, შიშველ-ტიტველი,  
თავში ჩამქრალი აზრის ნათელით  
ებლაუჭება მწვერვალს დიდების!

ოლიგარქიის ყაჩალ კოპორტას  
ქარგასლის შიგნით უდგას აუდი,  
წყალი ჩამომდის, ჭერი მენგრევა,  
შინ მისტუმრებენ ტაიმ-აუტით.

### თვალი

თვალო, იქნებ მომატყუო,  
ვერ ვხედავდე, რასაც ვხედავ,  
მართლა გჯერა, რომ უჭკუომ  
მტრის დარეცით გვასახელა?

თვალო, თვალო, ქვეყნის თვალო,  
გეაჯები, არ გამთვალო,  
წინამძღოლო ერის, თავო,  
საქართველო გავამთელოთ!

შურის, ღვარძლის ტყვეობაში  
არ ამოხდეს სანთელს სული,  
მზის და მთვარის ბედთან კავშირს  
ცნობდეს ბრძენთან თავგასულიც!

არ ატაროს ჰარიჰარად  
მშობელ დედის მინაძლვენი,  
კარზე ნალის გაკვრა კმარა,  
გველს ფლოქვებით დათქვერს ცხენი.

თვალო, იქნებ მომატყუო,  
ვერ ვხედავდე, რასაც ვხედავ,  
მართლა გჯერა? – შხამით გველმა  
ჯიშ-ჯილაგი ასახელა?

### მცველვალი

თქვენ გვინიათ, რომ მწვერვალებს  
სამუდამო ძილით სძინავთ,  
ხმას არ სცემენ უცნობ მგზავრებს,  
რადგან მათი ეშინიათ?

– არ გეგონოთ! – ფესვებიდან  
თქვენი ფეხის ხმა არ ესმით  
და ლხენით არ ივსებიან,  
ქარს არ ხმობენ ჭუაშეშლილს!

მდუმარე რომ გეჩვენება,  
მაშინ ბერტყავს ნიჭის კალთას  
და არ იცის შესვენება,  
ლექსმა თავის გულში ჩამკლას.

ვით ზვარაკი ოცნებების,  
ლურჯ ცის ვარდად თან რომ დამყვეს,  
ვატარებდე მოედანზე  
ცისარტყელას ფერად სარტყელს!

შეასკდება მწვერვალს ქარი,  
მათქმევინებს ლექსად სათქმელს,  
გვართან ენაც არის მკვდარი,  
დასათმობი თუ არ დათმე!

მწვერვალს ასდის სიტყვა ალად  
და ლურჯი ცის ტახტზე ჯდება:  
ოცნებებით თავს გასული  
სიკედილი ან გამარჯვება!

## ლეირთი

თავი მგონია შენსავით, ღმერთო,  
ვიცი, ამაში რომ მწარედ ვცდები,  
შენს ირგვლივ დავქრი დღეს მუზის ეტლით,  
ერთმანეთს შევხვდეთ, ვით ტყუპი ძმები.

არ მითაკილებ, მე მჯერა შენი,  
რადგან ერთი გვაქვს რწმენა და გული,  
რაც თავი მახსოვს, ერთმანეთს ვშველით,  
აღარ დავკარგოთ არსობის პური!

როგორ მოვთავსდით ერთ სულში, მიკვირს,  
კაცი და ღმერთი, ღმერთი და კაცი,  
ამიტომ აღარ ვუნდივარ სიკვდილს  
და ჩვენ გვიწოდებს სამყაროს ნაწილს.

– ერთ ლოგინში რომ არსად არ წვება  
თეთრი და შავი, შავი და თეთრი,  
რასაც ირწმუნებ, ის მოგვეცემა, –  
ამასვე ბრძანებს ჩემი ძმა ღმერთი!

## სიმართლე

ვიცი, რომ არ ხარ, მაინც დაგეძებ,  
იქნებაც სადმე მალულად გძინავს  
და თავი გიდევს სადლაც ჩემს ბედზე,  
რომ ვერ გადაგწვას გონების ბრწყინვამ.

დღეს თუ არა, ხვალ უცილოდ გნახავ,  
დააღწევ მახინჯ დროების ალყას,  
რომ აღარ გერქვას ანი ღვთის გლახა,  
მავანის ენას მოწმედ რომ მოჰყავს.

მეტი სიცოცხლე, ვიხარო, გმართებს,  
რომ შენ მოუსხდე ცხოვრების საჭეს,  
მშვიდობა გერქვას სიცოცხლის მმართველს  
და მოსამართლე – ამ ლექსის დამწერს!

გზად შემეყრები, იმედს არ ვკარგავ,  
და დამეგები, სიმართლევ, ხიდად,  
რადგან ბოროტი ჯიშად არ ვარგა  
და არც იმასთან შეხვედრა მინდა.

ვიცი, ვერ მოჰკვეთ მტაცებელს კლანჭებს,  
ვერ გადააქცევ მტრედად შავ ყორანს,  
მაგრამ მწამს, მოჰფენ უკუნეთს ნათელს,  
ის დროც უთქვენოდ, თავისით მოვა.

## ვიდრე

ვიდრე წარსულის მოახლოებას  
ვასამარებ და ტკეპნის მერეხი,  
დაპირებებით სავსე ცხოვრება,  
მსურს, რომ მივახრჩო შიშველ ხელებით!

გიუს მიწოდებენ ფულის მარშლები,  
თუ მოიცლიან, ყური დამიგდონ:  
თქვენც დახეული გეცვათ შარვლები,  
ვიდრე მთავრობამ მკვლელი დაგინდოთ!

ვიდრე შეცვალა ღმერთი სატანამ  
და ვარდოსანი ჯართად აქცია,  
თქვენ მოასწარით ოქროს გატანა,  
მქონე მათხოვრად გადააქციეთ!

ვიდრე კანონი, კონსტიტუცია  
აღარ მოარგეთ პროსტიტუციას  
და არ მოირგეთ ძალაუფლებად  
ჯალალედინის მართვის სისტემა.

თქვენც მათხოვარი, უმუშევარი  
გერქვათ შინაც და საზღვარს გარეთაც,  
ვიდრე ეთერში კატამ სიამის  
თქვენს სერენგეტში ვირად შეგრეცათ!

ვიდრე ქვეყანა – ერთა კავშირი  
ლოთმა თეთრ ვეშაპს დაუნაკუნა  
და არ მიჰყიდა, როგორც ნახშირი,  
ომების მეფეს გმირი ქაქუცა!

ვიდრე დაუგმეთ ბულბულს გალობა,  
ხელში მიეცით ყორანს კალამი,  
ქალს დაავინევთ დედა-ქალობა,  
მშობელს აღარ თვლის მშობლად არავინ.

ვიდრე მკვლელსა და მძარცველს ამ ქვეყნის  
აღარ მოარგეთ მეფის მანტია,  
კაცის ღირსება, ღვთისგან ნაქები,  
აღარ შეცვალეთ ჯიბის პარტიად

და მიაყენეთ ხალხის ცხოვრება  
უფსკრულის პირას გადასაჩეხად  
და არ უწიოთ გამათხოვრება  
ერს, მამაჩემის იყოს ცხონება!

სამარცხვინოა თქვენთან არსობა,  
უმეცრების და ფარსის სატანავ,  
რა ქართველი ხარ, მითხრას ნაცნობმა,  
თუ ქრისტეს ჯვარცმის არ გსურს ატანა?!

**მოსუცი**

საით მიდიხარ, ტკბილო მოხუცო,  
იქნებ შენი გზა სხვაში გეშლება  
ან გსურს შენს წარსულს ცრემლი მოხოცო,  
გლოვობ ვაჟკაცის ყოფილ შეძლებას!

მიდიხარ, ტოვებ გზაზე წატერთალს,  
რომ მოდგმით მოდგმამ აღარ დაკარგოს  
და ადარებდეს თავის წატვრისთვალს  
შენი მნახველი, სოფლის ავ-კარგო!

ეს არის ჩემი მტიცე ანდერძი  
და სულიერი ბალის ნაყოფი,  
კაცად არ ვარგა გვარში არცერთი,  
ძმებს შორის იდგეს, ვით წყალგამყოფი.

ჩემი გვარ-ჯიშის ჯვარით დავდივარ  
გზაზე ღირსეულ კაცის სახელით,  
სანთლად იწვოდეს, ვინც გამითია  
ღამე მეგზურით, თანამზრახველით.

**ზამთარი**

მომიახლოვდა უკვე ზამთარი,  
არ ვეცილები ზამთარს არავის,  
რადგან ჩემსავით ყველა მზად არის,  
გემს დაელოდოს ბედის გავანში.

მიახლოვდება, ვუახლოვდები  
ბედის დასაცლელ, სავსე ფიალას,  
დაღლილი კაცის მწარე ცხოვრებით,  
მოუშუშებელ გულის იარით.

მაგრამ რაც ბედმა წილად მაკმარა,  
უფლის სახელით საგზლად ვიკმარე,  
რაც მთავარია, წყარო ანკარა  
ციდან ჩამოყრილ მტვერს არ იკარებს!

ვიცი, ზამთარი მიახლოვდება,  
ვგრძნობ ახლობელის გულის სიცივეს,  
ეს თანამგზავრად ახლავს ცხოვრებას,  
არ გაგიკვირდეს, გულო, იცინე!..

**როგორც შენია, ისე ჩემია**

როგორც ჩემია, ისე შენია  
ამ ლამაზ ქვეყნის არსის განგება,  
გიყივი, მაგრამ შენ გეშინია  
თქვა, – გავსწორდებით, ის დროც დადგება!

საშინელია თავის ღალატი,  
გზაზე მზე გენთოს, წყვდიადს ეფარო,  
გამოსაცვლელად, როგორც ხალათი,  
გქონდეს სამშობლო, – გითხრა უბრალოდ...

როგორც ჩემია, ისე შენია,  
ღმერთს არ უქნია ჩვენთვის საცილო,  
მე გავყივი და შენ გეშინია,  
მეც შვილი ვარო, – აღარ მაცინო!

**მინდა, ეს ლექსი...**

მინდა, ეს ლექსი თეთრ უშბას ჰგავდეს,  
იყოს მაღალი, მტკიცე, უვალი,  
რომ თაყვანს სცემდეს გაზრდილი გამ-  
ზრდელს,  
სწამდეს, როგორც დღე გარდაუვალი.

მინდა, ეს ლექსი ჩემს ენგურს ჰგავდეს  
სიძლიერით და სულის ფეთებით  
და არ არცხვენდეს მთას, მკერდით გამ-  
ზრდელს,  
დაპირებების ცრუ იმედებით.

მინდა, ეს ლექსი წინაპარს ჰგავდეს,  
სვანობდეს ომში ადათის კერპად,  
უძველეს შუმერს, ამაყ სვან ქართველს  
ნისლში ვერ ხვევდეს მავანის ქება.

მტერს მახვილივით გულზე რომ მოხვდეს,  
ისეთი ლექსის დაწერა მინდა,  
ჩვენს რწმენის ბექთარს ტყვია ვერ ხევდეს  
და ვედრებოდე იმ ნანატრ წმინდანს.

ისეთი ლექსის დაწერა მინდა,  
რომ ვერ ჩაუჯდეს კალთაში ვინმე  
და მამსგავსებდეს ოდესმე წმინდანს  
ჩემი გამზრდელი, მშობელი ლილე.

## ირინა სარიშვილი



**არ მომკვდარა!..**

(ექსპრომტად – ზვიადის ძმებს!)

ჩვენი ქვეყნის კარიბჭესთან,  
ძმებო, რა არ მომხდარა...  
პრეზიდენტი იღუპება,  
მაგრამ ის არ მომკვდარა!

სანამ თქვენ ხართ ყოფიერად,  
სანამ სულით ძმები ხართ,  
სანამ ზვიადს მოიგონებთ,  
„ჩემო კარგოს“ მღერისართ...

შობის წმინდა, ბრწყინვალე დღეს,  
სიყვარულმა მოგიხმოთ,  
თქვენი გზა და დიდი რწმენა  
ჩვენს შვილებსაც მოვუთხროთ!..

გამახსენდა მიტინგები,  
არჩევნები ნამდვილი,  
არვის, არვის არ ეგონოს  
დღემდე მოსვლა ადვილი!

ქარტეხილებს გაუძელით,  
ომებს, ციხეს, გაქცევას,  
უფლის რწმენით დღეს ერთად ხართ,  
მტერმა ველარ გაგტეხათ!

თქვენში სახლობს ზვიადისა  
და მერაბის იდეა,  
ერის, ქვეყნის დასაცავად  
კვლავაც ბენჭის ხიდეა!

დე, იხარეთ, იდლეგრძელეთ,  
გლოცავთ მუზის ფიალით,  
არ მომკვდარა, ჩვენთან არის  
პრეზიდენტი ზვიადი!

### რედაქციის მინაწერი:

ქ-ნი ირინა სარიშვილის ეს ლექსი-ექსპრომტი სრულიად მოულოდნელი და ძალზე სასიამოვნო საჩუქარი იყო ეროვნული მოძრაობის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებიც შობის დღეს, 7 იანვარს მეტების ხიდთან შეიკრიბნენ, რათა 1992 წლის 6 იანვარს ამ ხიდზე პუტჩისტების მიერ დახვრეტილ მამულიშვილთა სულებისთვის მიეგოთ პატივი. შემდეგ მათ დილომში, რესტორან „თაღლაურაში“ გადაინაცვლეს, რათა მამაპაპური წესით მოეგონებინათ სამშობლოსთვის შენირულები.

აი, ამ რესტორანში გაგვეცნო იქ მომუშავე ქალბატონი, რომელმაც მორიდებით გადმოგვცა ჩვენი იქ ყოფნისას დაწერილი ეს ლექსი, რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ეროვნული სულიკვეთება სულაც არ ჩამცხრალა, არ მოდუნებულა, ცოცხალია, იბრძვის და ინახავს ყოველივე იმ წმინდას, რაც ასულდგმულებს სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის მებრძოლ ერს, რომელსაც უამრავი გულანთებული, უშიშარი და გაუტეხელი ჯარისკაცი ჰყავს, ისეთი, როგორიც ამ ლექსის ავტორი ქ-ნი ირინა სარიშვილი გახლავთ.

დიდი მადლობა, ჩვენო სულიერო დაო, ასეთი თანადგომისა და მოფერებისათვის! დაე, მალე გვენახოს ისეთი საქართველო, რანაირის აშენებას ფიქრობდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ეროვნული ხელისუფლება, რაზედაც დღემდე ოცნებობს ყველა ჭეშმარიტი ქართველი!

თქვენთან ერთად ჩვენც გვჯერა, რომ სამშობლოს მოღალატეები, ეროვნული იდეის მტრები სამუდამოდ გადაშენდებიან და ივერია გაბრწყინდება!

**ვალერიან ვეკუა****ზოადი  
(აკროსტიქი)**

ზედაზენიდან დარეკავს ზარი,  
ვალმოხდილს გლოცავს მეფე თამარი...  
იბრძვი ცხებული, რომ ხარ ნეტარი,  
ამბოხებული, ერის მხედარი...  
დევებს შეები მხნედ, უშიშარი,  
იტვირთე, დაგაქვს მამულის ჯვარი...  
გელათს შემოკრბა დავითის ჯარი,  
ალავერდს უკრავს მაცხოვრის ქნარი...  
მესიას ელის წმინდა ლაშარი,  
სამების ძალი ერთარსი არი...  
ალარ ჩამქრალა ჯერაც ლამპარი,  
ხანძთა და ბანა, დიდი კლდეკარი...  
უტეხი, ვითარც გიორგის ფარი,  
რიონს გასძახის მცხეთიდან მტკვარი...  
დარუბანდს მივა ქრისტეს ლაშქარი,  
ისმის ოსანა, შემოკრათ ზარი...  
აჰა, განიხვნა ცაზე ზეკარი.

ნიკოფისიაზე დავდოთ საზღვარი!..

**აღსრულდეს უცდა უცილოდ**

ინდოეთს სასოწარკვეთა, გოდება, გლოვის ზარია,  
მგლოვიარეა ქვეყანა, ქალი თუ მისი ქმარია,  
ხსნაც არსაიდან არა ჩანს, ცრემლების მოდის ღვარია,  
სოფელი სოფელს ალარ ჰეგავს, არც კარი, არც საზღვარია...

ტარიელს არაბეთიდან ურიცხვი მოჰყავს ჯარია,  
თან ახლავს ნესტან-დარეჯან, მოქრის ვითარცა ქარია,  
მეფე რამაზი რას იტყვის, ავი აქვს მას ნაქმნარია,  
სიავეს ვეღარ უშველის ვერც ჯაჭვი, ვერც აბჯარია...

აღსრულდეს უნდა უცილოდ, რაც შოთას დაუწერია,  
განაცხადებსო დივნოსი, დაფარულ არაფერია,  
დამარხულ არსო ენაი, ზოსიმეც წერდა, ბერია,  
რომ მკვდრეთით აღსდგეს ლაზარე, გაბრწყინდეს კვლავ იბერია.

გამოკეტილმა კრწანისში, შემოგვისია სვავია,  
ის თეთრი მელა კი არა, უფრორე თეთრი ყვავია,  
სულ ნანილ-ნანილ გვყიდიან, ბილწთა ზრახვანი ავია,  
შეიმუსრება ურჩხული და იქორწინებს კრავია...

## შეგონება

ჭიანჭველა ფრთებს რომ ისხამს,  
ილუპება მაშინ.  
ყვავზე ბულბულს ვეღარ იტყვი,  
ხომ ეტყობა ხმაში...  
ვირს თუ ანდობ ისტატობას,  
გავირდება ბავშვი...  
ლორს აძლიო მარგალიტი,  
ჩაგეყრება წყალში...  
გლეხს უხდება თოხი, ბარი  
და ფუსფუსი ზვარში...  
ვერ გახდება კვიცი რაში,  
თუ არ მოსდგამს გვარში...

## სძლიერი სიხარულის

წუთისოფელში როცა ხარ მდგმური,  
სძლიერ სიხარბეს, დასძლიერ შური...  
ფუჭია ოქრო და საგანძურო,  
ღვთისგან იქმარე არსობის პური...  
ბრძენთაგან ნათქვამს დაუგდე ყური,  
უფლის სახე ხარ, ვის რას ემდური?!.  
კეთდება თუ რამ სადმე კაცური,  
შენც შეანიერ ერთი აგური...

## კაცი ყველა ვერ იძნება

კაცი ყველა ვერ იქნება,  
თუ უფალმა არარა ქნა...  
ფლიდი ყველგან ფლიდი არის,  
გადასეროს თუნდაც ცხრა მთა...

ზოგს სინდისი არ სჭირდება,  
არც გრამი და არც გირვანქა,  
ხვალე უკვე ავიწყდება,  
უსინდისომ გუშინ რა თქვა...

ზოგი იმდენ ლიტონს იტყვის,  
არ ეკვრება არც კი სუნთქვა,  
კუბოშიაც კი ჩაწვება,  
ოღონდ იყოს კუბო მუქთა...

ზოგი არის ცოცხალმკვდარი,  
„აბა, რა ვქნა?“ – პირზე აკრავს,  
სამარცხვინო ბოძზე იმათ,  
მე თუ არა, ვინ გააკრავს?!

არაკაცი მრავლად არი,  
დაგანიონ რომ უკან ქვა,  
კაცობაზე უარის მთქმელს  
სხვა სახელი რა დავარქვა?!

## კუზზე ფიქრით

წუთისოფელში არაფერი  
თუ არ გადარდებს,  
ვერც კი მიხვდები,  
ბორკილები როდის დაგადეს...

კაცს კუჭზე ფიქრით ირგვლივ რამე  
თუ არ გაწუხებს,  
რაღას გაიგებ  
წუთისოფლის ხუნდებს, მარწუხებს...

სიხარბით მხოლოდ, უბადრუკო,  
გვამს თუ ალალებ,  
სულს მონობაში  
ვერასოდეს ვერ გაალალებ...

ორაგულივით თუ არ მიაპობ  
მდინარის ტალღებს,  
არვინ მოგართმევს  
ბორკილების ოქროს გასალებს.



## რაისა მუზიჩენცო

### პოლარულობა

ლამის ზღვა დელვით ნაპირებს შლიდა,  
შიშის მომგვრელად ქუხდნენ ტალღები.  
თოლიები კი დაფრენდნენ მშვიდად,  
თავისუფლებით მხნე და ლალები.

კვლავ ეხლებოდნენ ზვირთები ტინებს,  
იფარებოდა ყურე ქაფებით.  
ქარი არბევდა ღრუბელთა ზვინებს  
და ზღვა შფოთავდა კვლავ გამძაფრებით.

სად ვარ? ნუთუ ვარ მე რეალურად?  
ნაცნობ-უცნობი აქ და, შორს არი...  
მე და შენ – ვფიქრობთ კვლავ პოლარულად,  
ვინ ვარ? – პეტელა, ხე თუ ფრთოსანი?

თარგმნა ზაურ მოლაშხიამ

ჩემი ეზო და პატარა სახლი  
(მოგონებათა ოქროს ფურცელი)...  
წლებთან ჭიდილში თითქოსდა დალლილ,  
იერი შერჩა მაინც უცვლელი.

მას ახსოვს მაღლა, ცად აფრენილი,  
ჩემი ბავშვობის ფიქრები წმინდა...  
დღეს კი შემკრთალა და მოწყენილი  
მოუხმობს შვილებს შორეულ გზიდან.

მომედალება როდესაც სევდა,  
სიცარიელეს ოცნებით ვივსებ...  
შორსა ვარ, მაგრამ სიზმარში ვხედავ  
და ვუბრუნდები ბავშვობას ისევ.

თარგმნა გიორგი სიჭინავამ

### სახლი თეთრი კლდის პალთაზე

ჩემი მეურნეობა, არცთუ ისე დიდი,  
ბავშვობის მოგონებებს შერჩენილი ისევ.  
ბილიკი ბალს მავალი, თეთრ კლდეების მრიდი  
და ტყე ჩემი, ბებერი, ჰორიზონტზე მინდვრის.

ფერად-ფერად მოჩითული ცა არის  
თუ მინდორია,  
ბალახს მწვანე თვალებიანს რა საოცრად  
მინდობია.  
სასაფლაოც ისეთია, ფიქრს მშობლიურს  
მოგაგონებს,  
თითქმის ისე, როგორც ყველგან,  
დარდს მსუბუქად მოგაგონებს.

და მე ასე მეჩვენება, ცა აქ უფრო მაღალია,  
რომ უფალმა ჩენთვის მორთო ვარსკვლავებით  
ზეცის თაღი.  
მაგრამ გული მეყინება, ალარა ვარ ისე ლალი,  
რადგან უკვე დიდი ხნის წინ მიატოვეს  
ჩემი ბალი.

თარგმნა ნინო არსენაშვილმა

### ყველაფერი

ყველაფერი:  
შეცბუნებული წვიმაც  
და განუწყვეტელი სტვენაც  
ყოველნაირ ქართა  
უწონადო მდინარეთა ხაბოებზე...  
ყველაფერი:  
რაც შეშფოთებით მღერის,  
რასაც უეჭველად მოაქვს სიყვარული,  
რათა გვაჩუქოს სიკეთე  
და სიმყუდროვე, -  
ყველაფერი  
თვალის დახამხამებაში დამავიწყდება,  
ყველაფერს გავცვლი ერთ დღეზე,  
რათა იმ დღეს შენთან ერთად დავუტკბო  
შრიალი შოთხვებს.  
ყველაფერი:  
ერთი გაყუჩებული ფიქრისათვის,

ნისლების გაწუნული ზოლებისათვის,  
შენს დავიწყებულ სარკმელში  
რომ იხედებიან...  
მე მოვალ უნილბოდ, ხიბლისა და  
ჯადოს გარეშე  
იქ, სადაც საღამოს ცვარში  
იბადებიან ყორლანები,  
სადაც ყვავიან აბზინდები...  
და თითის ოდნავი შეხებაც მიმახვედრებს,  
რომ იქ შენა ხარ  
და გავიგონებ იდუმალ შრიალს...

### თარგმნა ჯემალ შონიამ

\*\*\*

იტრიალებს და იშრიალებს,  
მერე მთელი წლით  
გვემშვიდობება ფოთოლცვენა  
და ტოვებს სევდას,  
მაგრამ ნისლიდან სიყვარულისა  
სამხრეთის ცაში  
გული ვარსკვლავთა ლამპადებს ხედავს.

და მეოცნებე სტრიქონები  
თანდათანობით  
ლექსად იქცევა, შემოდგომას  
მიჰყვება ნატვრა...  
მე მოგიტევებ და გაგიგებ,  
მაგრამ მკურნალად  
ვერ გამოვდგები იმ დარდის, გულს  
რომელიც დაჰყვა.

მოვლენ წვიმები, გადაივლის  
მრავალჯერ მთვარე  
ტრამალებს, მერე შემოდგომა  
ახალი მოვა  
და შემორჩება ხსოვნას მხოლოდ  
წკრიალა ზარი, -  
ზარი ნოემბრის და სილურჯის  
ზღაპრული თოვა.

### თარგმნა ჯემალ შონიამ

### ძელი საუკუნის შვილები

იისფერ, სოსან ყვავილთა მინდვრებს  
მძინარე მთები უცვლიან სახეს,  
გზას იმ ვარსკვლავის ციაგი მისდევს,  
პირველად რაიც მოგვებმა ნახეს.

შვილებო ძნელი საუკუნისა,  
აქ ბედისწერა გვიქადის რაღას?  
ან ვეღირსებით როდისლა ისევ  
ადამიანთა უნილბოდ ნახვას?

ვერ გვიპოვია ვერაფრით ფონი,  
გზას ისევ გვიბნევს ქაოსის ბნელი,  
ღვთიური სიტყვის აზრი და გონი  
ბევრისთვის გახდა სასმენლად ძნელი.

და ეს ბილიკი, ისედაც ვიწრო,  
თითქოს სულ უფრო შორდება მზესა,  
ამიტომ ის მზე არ დავივიწყოთ,  
არ დავანებოთ სიბნელეს ზეცა!

უვარსკვლავებო თვალები დიდი  
ქალაქებისა გვიმზერენ ცივად,  
სამართლის გზაზე თუ ჩატყდა ხიდი,  
სასუფევლამდე როგორლა მივალთ?

თვალით ხილული სამყაროს მიღმა  
სხვა ქალაქები გველიან იქნებ,  
სხივით სავსეა სადაც ცის სიღრმე  
და ღვთის ნათელი ამშვენებს ფიქრებს.

ვიპოვოთ ის გზა გონების თვალით,  
სადაც უფალი იესო გველის  
და ვიხსნათ ჩვენი მიწა და წყალი  
ნიაღვრისაგან ცოდვილი ცრემლის...

### თარგმნა ჯემალ შონიამ

ერთი ჩემი მეგობარი იპარავდა ცხენებს,  
რა ვქნა, უნდა ვალიარო, მართალს  
მოგახსენებთ.

ჰქონდა სახლად, საცხოვრისად  
თვალუწვდენი სტეპი,  
არ დარდობდა, რომ ასეთი იყო მისი ბედი.

### თეთრი რაშის იმადად

სიყრმიდანვე იმ ველ-მინდორს აღარ  
თმობდა ძვირად,  
მაგრამ ბოლოს ჩვენს აულში  
მოსვლას მოუხშირა.

შავთვალება გოგოს მზერა, გამოხედვა ამო...  
ნუთუ დათმობს თავისუფალ ნაკარდს  
გოგოს გამო?

აი, ასე მოვიპარე ის მპარავი ცხენის,  
შევიყვარე იმგვარად, რომ შვებას  
მგვრიდა ცრემლიც.

ერთად ყოფნა გვიხაროდა ველად მომთაბარეთ,  
რამე ეჭვი თუ ტკივილი გულს არ გავაკარეთ.

ვიპარავდით ფრთამალ ცხენებს, წაბლას,  
შავრას ერთად,  
სიხარულით ვათენებდით გრძელ  
ღამეებს თეთრად.

ეჱ, სადაა ის ლამენი, მლელვარება, ლტოლვა!..  
კარგა ხანი არის უკვე, ჩემს სოფელში რომ ვარ.

სადაა ის ჩემი სატრფო, ალარავინ იცის,  
ნუთუ ვინმეს უწილადებს სითბოსა და სიცილს?

წევს მინდორში, ალბათ თავქვეშ  
უნაგირი უდევს,  
მე კი თეთრი ცხენი შემრჩა, ისლა მითბობს  
ბუდეს.

აღარ მინდა, თეთრი რაშის იმედად რომ დავრჩე,  
სულ ავდარი მენატრება, აღარ ვფიქრობ დარზე,

ველარა ვძლებ უიმისოდ, ვლოცავ  
სატრფოს თვალებს,  
თეთრი ცხენი ვერ მიშველის,  
დარდი გამათავებს.

თარგმნა ჯემალ შონიამ

\*\*\*

საკრალურ რიცხვებთან შეყრა, უპირველესად,  
მიზეზი გახდა, საიდუმლო წეს-ჩვეულება  
ვიწრო წრეში შემართებით აღსრულებულიყო.

ნახევრად მბუტავი ნათურის  
არამკვეთრი სინათლე  
მოფერფლისფრო ბურუსად სტუმრებს და  
დამძიმებულ მწვანე პორტრეტებს ეფინებოდა.

სწორედ თავგანწირვისთვის ემზადებოდა  
ფრიალოზე გადმოკიდებულთა ქალაქი,  
ისე, რომ ბოლომდე არც შეეცნო ყველა  
თავისი იდუმალება.

ახალგაზრდობის უამიც წასვლია, მეფისგან  
V საუკუნეში აგებულს.

საწამლავებით და ურიცხვი ურდოებით შთენილი  
გული ნაეკლი აზრების  
ტრიალის პირზე გახდა უსაზღვროდ  
დაუდგრომელი,  
როგორ შეიძლება „ათასი“ ფათერაკით კაცთა  
მოდგმა გადარჩეს  
ან ეშველოს, თავი იხსნას ავქმედითი  
დაგა-კამათისგან.

მეც მსურდა, დედაქალაქი ჯვარივით  
გულზე მომეკრა,  
სადღაც იქ, შორეთში გადამეტანა,  
მნიშვნელობა არ აქვს – ლამეა და  
სახლში მიმეჩქარება...  
.....

ყოვლისმპურობელმა, დაბადებიდან,  
ვითარცა სხვისი ოქროვანი, ქალაქ-ზღაპარი  
მარგუნა –  
მიზეზი სიხარულის, ცრემლიანი კაეშანისა.  
ის კი მე მტკიცე ტაშისცემით დამატარებდა.

თარგმნა თორნიკე ქავშბაიამ



## თორნიკე ქავშჩაია

### **სახელმიწოდებულების შიში**

ცხოვრება გრძელდება შიშით.  
 სახელმწიფოს დანაწევრების შიშით.  
 დროში, ამ სენით აღძრული,  
 თვითონ ხდება სეპარატისტული  
 ფალსიფიკაციებით დახუნძლული.  
 როგორც გადიდებული ფორმით ჩენილი.  
 ქვენარმავალი ტრიტონი,  
 ისე გაწოლილა სასარბიელო მინდორი.  
 ო, ფრიად პატივცემულო არქიელო,  
 რაც არის თქვენგან საკვირველი,  
 ეს გახლავთ, თქვენი მისწრაფებებით წახალისებული,  
 სადაც საკითხები!  
 (უსაჭირო საკითხები!)  
 არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდეს,  
 ეგროსის სახლში  
 თქვენი სიტყვაშეუვალი ნავარდი,  
 როცა ისევ ინდო-ირანულად როკავს და დარდიმანდობს,  
 ჭეშმარიტად,  
 ქართველურ ტომთა სულიერი მტევანი:  
 აღმოსავლეთი იბერიის სანაპირო პენატი.  
 არა! რა თქმა უნდა, არა!  
 გადარჩენილი კავკასიური კოლხეთი  
 ვერ გახდება თარგამოსული მორევი.  
 ის არც იავანია და არც თურანი.  
 კოლხეთი, ეს არის თუბალი.  
 ვიღაც-ვიღაცებმა (ვერ დავაკონკრეტებ)  
 ადამიანებს მოანატრეს წითელი კოშმარი:  
 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.  
 მე კი თქვენ განდგომილების მსგავს ნოსტალგიად მიქციეთ  
 ქვეყანა ლაზიკა.  
 ქვეყანა, მზის ქე, ჰელიოს-ზანისა.  
 ქვეყანა, ჰელიოსის ქე, აიეტისა  
 (მხრებზე, დღემუდამ აუფრენელი,  
 საორიენტაციო გზაჯვარედინის ფრთოსნები  
 მასხედან).  
 მითხარით, არქიელო,  
 უსამართლო ხალხების გამარჯვების შემხედვარე,  
 შეიძლება თუ არა, მეც სასარგებლოდ მიჩნეული  
 უმართლობა დავახეთქო,  
 უკადრებელი ვიკადრო და  
 საკუთარ სულთან ერთად  
 მშობლიური ქვეყანა დავაზიანო?!.  
 ან ეს მითხარით,

მათრობელა სითხედ დაყუნებული –  
„ოპონენტის მიმართ,  
ყოველნაირი საშუალების გამოყენება“,  
ათი მცნებიდან, რომელ მცნებაში თავსდება?!..  
მანიპულაციური წერა-მტკიცების ხელოვნება,  
ახალი მსოფლიო წესრიგის  
ხედგადაქცეული  
ვარდის დაეკლებას  
შავფრთებით მოედო  
და ეტყობა, ღვთისმოსავებიც კი  
დამოყვრებით არ დაინდო.  
თქვენ ხომ მოგეხსენებათ,  
სიცრუის ბოროტებამ  
შეიძლება წარმოშვას  
შრემრავალი უბოროტესობა –  
თვითმპურობელი უბოროტესობა!  
გვჭირდება ჩვენ ცეცხლისმფრქვეველი,  
სახეშემლახველი დემონი?!..

საინტერესოა, რას გვიზარებს დნმ-ი.  
ამ ბოლო ვარიანტზე შევჩერდეთ იქნება.

2017

### ცდურება, როგორც სასიცათო განსაცდელი

ყმაწვილო, თუკი შენ ვერლიბრის მწერლად ყოფნა მოისურვე,  
მაშინ კარლ სენდბერგი, ჯონ ეშბერი და ლია სტურუა  
შენს აფუტკრებულ ცნობიერების სამოსახლოში შემოისახლე.  
შენი თვალმზერის შორეული წერტილი  
ისე აწერტილე,  
როგორც ეპიკური პოემის ბოლოს კალმით დასმული წერტილი.  
ისე ცხადისიზმარფაკერნახულად წერე,  
როგორც მე ვწერე  
ჩემი დიადი, ბედუკულმართი ლექსები!  
ჩემი ტრაფარეტული შესაძლებლობის უქონელი ლექსები!  
ჩემი გუნდრუკარნაკმევი ლექსები!  
ჩემი გონტრანსცენდენტულ მიზანმიმართების ჰეგემონი ლექსები!  
რომელთა გამო მსტოვრული თვალთვალი დავიმსახურე,  
რომელთა გამო ჰელიკონურ არგამოჩენილობით დამასრულეს.  
მაგრამ მე, ბავშვივით კაცი,  
ძვირფასმა უფალმა არ მიმატოვა –  
დროის დიდი სივრცე და სილრმეთა მწვდომი  
თეთრი ღრუბლიანობა დამიტოვა.  
სასრულნახულმა ტაროსებმა  
მოულოდნელად ისურვეს,  
პირქარცი ბალახების ქვითინს გაჰყოლოდნენ.  
აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი

სრულად მოიცვა  
 სულხორციელის რადიკალურმა სისულელემ,  
 „თავკერპობა და სიტყვასექსი!“ –  
 აი ახალი ანტისტაგნაციური წესი.  
 ინტელექტუალური ხის თვალმიუწვდომელ ნაყოფზე  
 გონიმოპოტინე ყმაწვილო, ბუნების განელებას და  
 ტბორვითი ხასიათით ანტიბუნების შემოცურებას  
 ზედმინევნით იმეცნებ.  
 მაგრამ მაინც აწონ-დაწონე ყოველივე  
 და ნუ გაცდუნებენ  
 ცის უარყოფით წერაგაღმერთებული,  
 წერითი ხელოვნებით თავშექცეული ხალხები.  
 ნუ გაცდუნებენ თვალთახედვის ბზინვარე ზედაპირზე ალბეჭდილი  
 და გადალურჯებულ ნაკადებზე არეკლილი,  
 მწვანე ელვარების ერთდღლიანი პეპლები.  
 ნუ გაცდუნებენ კარაქნასმული პურის მოყვარე  
 მოქალაქე პატიმრები.  
 ნახე, სადმე თუ ირწევიან  
 მაღალხარისხოვნად ნაქსოვი გუშინწინდელი ჰამაკები.  
 ნახე, თავის სივრცოვან სხივ-პირით როგორ აძრნუნებს იუპიტერი  
 მიწიერ ჭალებს...  
 ყმაწვილო, ჰე, ყმაწვილო!  
 საშიშროების მოძლიერება სწორედ ის არის,  
 როცა არნახულად გამოსროლილი  
 მიზნობრივი ისარი მერმისის გზაზე უსაჭიროდ მიმავალ ბრმობილობას  
 ბოლოს არ მოუღებს.  
 განსაკუთრებულ შემთხვევაში,  
 ხელნაკეთი საგნით აღსრულებული  
 მკაცრი სამართალი  
 იგივეა, რაც ცოდვა-უკანონობის გამო  
 სამართალში მიცემულის  
 სამართლებლივი სასჯელი.

2017

### **სტრიქონეარიობა. სტრიქონეარიობის დანაშაულის გამო, რაც მე ყმაწვილკაცს შევაგონე**

როცა მან (ბებერმა პოეტმა) ჩემი სტრიქონი:  
 „ციდან ვარდი ვარდება“  
 თავაშვებულ კადრებით მოიპარა, მაშინ, XX დაუკუნის მიწაზე დავარდნილი  
 ეს ვარდი  
 მატერიალურ და ფსიქოსულიერ ნეშომპალად იყო გარდაქცეული...  
 იმ დროს მისი საამქვეყნო მზერისთვის  
 არაფერი ზეგაცხადებული არ ვარდებოდა ციდან.  
 ზოგჯერ ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობაც კი  
 არ იძლევა იმის საშუალებას,  
 რომ სულიერი თვისებებით აღვსილმა  
 გაიცნობიერო და გაითავისო

ციური არსებობის მანიშნებელი  
მოვლენა-ვარაუდი.  
რა უნდა ექნა? ადგა და თავის სიცოცხლეში, მხოლოდ ერთხელ,  
მასთან იქურდა, ვინც ნაკლებცნობილობის გამო  
მეხივით არ ქუხდა  
(არა, ამ გამონაკლის შემთხვევაზე არ ითქმის:  
„მოიპარა და მოპარულით გაეჯიბრა“).  
არსებობს გამოჩენილობით გამოწვეული პარვა-აქაფვა,  
რაზეც თვალს ხუჭავს ყველა „სხვასთან“, არამეგობრულად განწყობილი,  
ერთობლიან მინრიელთა სახეშერცხვენილი ჰელიკონი.  
შენ ამბობ: „უნინ ყველა პოზიციაძლიერი ღამეპოეტი  
და ყველა მათი საპატრონებელი ლიფსიტი  
ჩემგან თუ იწერდა, რატომ არ ღირდეს  
წვრილფეხოსნად და მსხვილფეხოსნად მიჩნეულ  
ბოროტების ხელყოფისთვის  
შენი პოეტური ზესიმძიმეები?  
გაუცხადებლად წაუღებელია ზესიმძიმეები,  
რადგან ზომა-წონით ძლევამოსილ გონისიბრძნეებს ედრებიან...“  
მე ერთი პოეტურად დამეგობრებული  
ყმაწვილკაცი შევაგონე:  
ჩემო შვილო, თუ დაგჭირდა  
ჩემი გამოთქმული თვალთახედვები,  
ჩემი ათვისებული ლექსიკა,  
მიუთითე ჩემი გვარ-სახელი და ისე გამოიყენე.  
ჩემო შვილო, თუ გინდა, ედემის ნის აშრიალებულ  
კენწეროსავით გაიცისფერო  
და არ გახდე  
ნაქურდალის შემნახველი საყინულე,  
სტრიქონპარია ბებრების ხელმრუდობანი დაივიწყე,  
ახლავე დაივიწყე!  
წინააღმდეგ შემთხვევაში, მალე, ძალიან მალე,  
იმავე ცოდვით გამოიცდები,  
რადგან განახლებადია ყოველი ხსოვნა,  
სულ-ინსტინქტის ფსკერამდე დასული  
ყოველი მოვლენა .  
შვილო ჩემო, წინათაობები (გაბრწყინდნენ?)... დაკნინდნენ!  
დღევანდელსაც ხედავ, რა მოსდის.  
უთქვამთ (სხვა რაზე), ამაზე უთქვამთ:  
„მდინარი მიდის და ემოსვის ბინდიო...“

2017

### ოქროსფერი ვარსკვლავების წრე

წითელი ვარსკვლავი ჩაესვენა და საქვეყნოდ ამოწვეროვდა  
ოქროსფერი ვარსკვლავების წრე,  
რაც ზმორებაშეპარულ მტკვრის აუზს შემოენთო.  
თუმცა ჩვენ რა ურუანტელიც გვივლიდა,  
ისევ ის ურუანტელი გვივლის.

ო, იბერიის თავკომბალა არქიქალაქში დამკვიდრებულო ამბოკარებო,  
 თქვენი სულმოუთქმელობა  
 და ჩვენი სანათესავო სახვლიკეთის საგრილებელი,  
 როგორც ცა და მიწა, ისე სხვაობენ.  
 მე იმაში დავრწმუნდი,  
 რომ შინაგანდაურლვეველი  
 უფორმო უამინდობანი  
 მოელვარე  
 სამხილსიტყვაშეპარვითაც კი არის უძლეველი.  
 გასააზრებელი ხვანჯ-ხლართები,  
 განსაჭვრეტელი შებმა  
 გონლერწმა გადაფარა.  
 მრავალთა გახათაბალებული სული  
 ზეუმფარველო საგნად გადაიქცა,  
 გარმიანელ არსებად ალსდგა  
 და თვითნებობამ მოიცვა.  
 მე დიდი ხნით, საიდუმლო პოლიციის  
 ტოტალხელებით შებოჭილი  
 და კედელზე მიმწყვდეული,  
 რეალუმფოთველობის იქით  
 გასულიერებულად ვწვეთავ  
 და მგონია, ნოეპის\* ხსოვნის წინაშე  
 ტალღა-ულმობო ზლვას შევადგენ.  
 „ბედისწერა-წყევლა –  
 კედელზე მიმწყვდევა!“ –  
 ეს ფატალისტმა დაწერა.  
 ჰაერის გამპობი ეთეროვანი ხოფით  
 სულიერი ფარფარი – უკიდეგანო არე-ცის მოსინჯვა  
 ნიშან-თვისებაა ხეშეფოთლილ გამარჯვებისა.  
 ო, ღმერთმა უკეთური სოციალური ყოფა  
 განსაცდელად დაუშვა  
 და ჩემს არასაწუთისოფლო  
 ნებელობის გამოვლინებას დაეხმარა.

2017

\*ნოეპი (ებრ.) – ნოე

### მაშველ შვეულმფრანად მოაზრობული ყმანვილი (ბალახმჭამელი რკინა)

ის გახდა უფრო ეფექტური არსებობისთვის შეწირული.  
 ჩვენ დევნას, იწროობას,  
 სახელგატეხილობას ნაჩვევები.  
 უნდა დავიჯეროთ,  
 რომ ყოვლისმპყრობელ უფალს  
 მაღლა ცაში  
 ხსოვნა აქვს ჩვენი...  
 ამ სვლაგავარსკვლავებულ მნიშვნელობის ყმანვილზე

პოლიტრელიგიური ფუნდამენტალისტები ამბობენ:  
„რადგან ცოდვა დროის ხაზებით არასდროს არ წყვეტს მდინარებას,  
მან მემკვიდრეობით მიიღო ქვებუდანობა“.  
ყმანვილზე, რომელმაც განვლო ცხოვრების სულ მცირე მონაკვეთი,  
მოულოდნელი სიახლეებით შეძრულები ამბობენ:  
„ის მალე გახდება თეატრალური სცენის ობობაზე მეტად აპლოდირებული“.  
მან სატელევიზიო სტუდიის ტაშის პარტყუნი დაიმსახურა მხოლოდ.  
მაგრამ ის არის უკიდურესად ვნებამშიერ საზოგადოების  
მაშველი შვეულმფრენი.  
ძუძუმწოვარი ცხოველების ბალახებს ჭამს  
გამომვერილი რკინებით  
(იქვე მკვდრები გაცოცხლებულ ირონიას ეთეროვან  
ბუჩქებად აწერტილებენ).  
ამ უჩვეულო თავისებურებების მუშაკ რკინას  
რა ელოდება,  
თუ არა ღრმად განსულიერებული  
სამყარო და ჟანგი?!.  
ის ახლა ექსტრემალურად განაპერწკლებული,  
მისი გამახურებელი ცეცხლი  
თავის თავს დაბუგავს  
და იქნება ავლად აცვენილი  
და ავლად დაყრილ-დამცრობილი.

2017

**ჯერ იყო პირველი არარიცხული მყუდრო და  
სუთიავაზოვინის ნაზადებული ყივილი, მარე  
კაცობრივი გარდაცდომის მიზანით მოძგა  
„დროშფოთი“**

დრო – ეკონომიკის კანონებით აკანთებული სამზეო.  
დროში შინაგანობს უკიდეგანო აზლვავება:  
კონსერვატორული ტლაპო-ზიანი  
და სწავლულ-ნოვატორთა საჩითირო ნააზრევი.  
ო, ჩვენი აბსურდგაუკიდურესებული სამყოფელი,  
სანამ გახდებოდეს ვალალდაყრილი,  
მანამდე ცაში სასვენი ნიშნების გამომსახველი  
შავ-ყვავებიანი არს-კანკალი  
და უხილავ მატერიანარევი ბაგე-სიო  
ჩვენ ცალ-ცალკე გაგვიცხადებს:  
„დრო უფეხოა.  
დრო – ცხადანარეკლიანი მთლიანობა.  
დრო – ნაარგონავტალი დინება-ნაკადების  
დასაწრეტი ლივლივი“.  
ჩვენ გვეხსნება საღერღელი:  
დრო, ნეფელიმივით ნარევი.  
დრო – ქარიშხალთა და აბორგებული შტოების  
ასიმეტრიული შფოთი.  
დრო, თავიდან აშრიალებული ცარბათუ\*.

დრო, დროგამოშვებით კეთილსალოცავიანი ცაბაურთი\*.  
 დრო, სამყაროს ხახაში განინაკებული.  
 დრო, ცოცხალორგანიზმიან სამყაროს გამანიალებელი.  
 დრო, აბსოლუტური სულისთვის არაფერი.  
 დრო, ძვირფას ღმერთამდე ყველაფერი.  
 დრო, თვითონ არაფეხი.  
 დრო, ჩვენ რაცა ვართ, ის ფეხი.  
 დრო, არასიჩუმე-უშფოთველობის, არამედ უნიავო,  
 უსიცოცხლო სიცარიელის ნაზი წინააღმდეგომი.  
 „დრო, ეს არის რეალძილი!“ –  
 ასე ფიქრობდა გონდატბორილი უცნაური  
 და არა ვიღაც შეოლური პერსონაჟებით გარემოცული.  
 დროს არ ხელენიფება ჩვენი მფარველი ანგელოზის  
 მწუხრივით გადაღრუბლება,  
 დროს ხელენიფება ჩვენთვის ფერაქაფებული სიკვდილის მოცემა.  
 სიკვდილს ვერ წაართმევ დროს,  
 დროს ლექსებს წაართმევ, პოეტო!  
 დრო კაცთა ისტორიას შიგნიდან და გარედან დაეკერა.  
 დროს არ ითავსებს არც სამოთხე, არც გარესკნელი.  
 დრო, სადაც ჩვენ წავალთ, იმ აფერადებულ მყობადის  
 სახე-წინასწარობა...

2017

---

\*ცარბათუ(ბაბილონ.) – ალვის ხე

\*ცაბაურთი-ფშავში მთავარანგელოზის სალოცავი



## გოგი შონია

# ჭავარი ... ლილი საქართველო!

წიკ-წიკ, წიკ-წიკ, წამზე წამი,  
ტიკ-ტაკ, ტუკ-ტაკ, წუთზე წუთი,  
მისხალ-მისხალ, დრამზე დრამი,  
მიზოზინებს დრო და უამი.

ნელა მიდის, მაინც ჩქარობს,  
დროს არასდროს არ სცალია,  
იგი ვისთვის დედაა და  
ვისთვის დედინაცვალია.

დრო სამყაროს მაჯისცემა  
და ცხოვრების სასწორია,  
მისგან დანატოვარ კვალზე  
იკინძება ისტორია.

კვალზე ვინ ჩანს ჰეროსტრატედ,  
ვინ კი – ალმაშენებელად.  
ვინ კი მოჩანს ზვიად მხსნელად,  
ვინ – ტურად და ვინ კი – მელად.

დროთი მიდის, დროთი მოდის,  
დროის ჭრილში გადის ყველა,  
ვინც ამ ქვეყნის სტუმარია,  
მოხუცი თუ პირშიშველა.

დრო – მკვლელი და დრო – მკურნალი,  
დრო – გადამწვარ-გადახნული,  
დრო – გმირობით აღსავსე და  
დრო – სირცხვილით დადალული!

საქართველოს არსებობის  
ყველა დროს და დღეის დღესაც  
არ ჰქონებია მწუხარება,  
სისხლი, ცრემლი, გლოვა, კვნესა...

მხოლოდ დრომ და ერთადერთმა  
დრომ შეუწყო იმას ხელი,  
სტუმარი რომ გამასპინძლდა  
და გასტუმრდა მასპინძელი...

თუმცა დროა წამომწყები,  
რომ ვისვრით და ერთურთს ვხოცავთ,  
მაგრამ ამ ჩვენს სისხლიან ხელს  
მარტო დროს ნუ შევახოცავთ.

დავივიწყეთ წარსული და  
ვერ გავთვალეთ მომავალი,  
წინაპართა ნაამაგარს  
მივაყარეთ ნაღვერდალი.

ჯერ ვწირავთ და მერე ვხედავთ,  
გაგვწყრომია თურმე ღმერთი...  
ჯერ ვკარგავთ და მერე ვამჩნევთ,  
ვით გვჭირდება ერთმანეთი.

ამ მიწაზე არ შობილა  
ჯერ ისეთი კაციშვილი,  
რაც ებოძა, იმით იყოს  
სიკუდილამდე კმაყოფილი.

სწორე უთქვამს ბედკრულ ტატოს:  
კაცი ისე ვინ დაბერდა,  
„რაც მიეცა ერთხელ ნატვრით,  
იქმარა და მას დასჯერდა“.

გინდ გემებით ზღვებს ვსერავდეთ,  
გინდ ცას ვკვეთდეთ თვითმფრინავით,  
მაინც აღარ მოგვეშლება  
მიწიერი საზრუნავი.

გინდა ვიყოთ მათუსალა,  
გინდ სოლომონ ვიყოთ, ბრძენი,  
ბოლოს მაინც მოგვბეზრდება  
და გახდება მოსაწყენი.

სულ ეს არის, რომ ამქვეყნად  
ვიწყებთ ხშირად აყალმაყალს,  
ძველს ვანგრევთ და მერე ვხედავთ,  
ძველი სჯობდა თურმე ახალს.

ამ წაფილოსოფოსების  
მიზანს აღბათ მიმიხვდებით:  
თუმცა კარგია მეტის ქონა,  
მეტისმეტს კი გადავყვებით...

ამ უამურ მოგონებით  
სად მაქვს ლექსი წასახდენი,  
ახლა ტკბილი ზღაპარი ვთქვათ,  
ხვალინდელი ასახდენი.

ეს ამბავი გეამებათ,  
ჭორია თუ მართალია,  
შაშვის სტვენაც ატკბობს სმენას,  
ვიდრე მოვა მაშალია.

უცებ ბადეს ხელი სტაცა,  
მთელი ტანით აღიმართა,  
მოიქნია იგი მძლავრად,  
ზედ ზღვის ზვირთებს მიაშვართა!..

\*\*\*

შემოდგომის ცივი დროა,  
ცას ლრუბელი ბურავს, შავი,  
უაფრო და უიალქნო  
შუა ზღვისკენ მიქრის ნავი.

რომ მოქაჩა თვისკენ ბადე,  
კაცი შეხტა სიხარულით,  
მის ბადეში ფართხალებდა  
ოქროს თევზი, გასკვანჩული!..

ნავზე ერთი მოხუცია  
ჩიბუხით და მხარზე ბადით,  
აქეთკენ რომ მოისწრაფის,  
ხდება ათი წელიწადი.

„ტყვე“ სიმშვიდეს ინარჩუნებს,  
არც აპირებს თავის დაცვას,  
კაცმა ბადე თევზიანად  
ნავის კიჩოს ჩამოაცვა!

სალამომდე იჭერს თევზებს  
და აბრუნებს ისევ წყალში,  
თევზის სურით გაუღენთილი,  
ცარიელი მიდის სახლში.

„– დაგიჭირე, ოქროს თევზო!  
გაანძრიე, ჩქარა, ხელი!  
თუ სამ სურვილს არ ამიხდენ,  
გელოდება ტაფა ცხელი,“ –

არვინ იცის, გიუია თუ  
რაღა უდევს გუნებაში...  
მხოლოდ ერთადერთ თევზს ეძებს  
ამ უკიდეგანო წყალში.

თქვა მოხუცმა, ასანთს გაჰკრა,  
დააკვესა ბრაზით თვალი,  
ტაფაშედგმულ გაზქურაზე  
აბრიალდა ცეცხლის ალი.

იმ თევზს „ოქროს თევზი“ ჰქევია  
და ძალა აქვს ნატვრისთვალის,  
მოხუცს ან სურს გამდიდრება,  
ან აწუხებს დიდი ვალი...

თევზი გაშრა შიშისაგან,  
აებურძგლა ოქროს ქერცლი,  
მოხუცს თითქოს შეებრალა,  
დაუყვირა თევზს ხმაშეცვლით:

ჯეელივით უსვამს ნიჩბებს,  
არად აგდებს ქარს და წვიმას,  
ყოველ დილა ზღვაზე ასწრებს  
ცისკრის ვარსკვლავს, შუქციმციმას.

„– რა ხანია, რომ დაგეძებ,  
დღეს ჩაგიდექ მხოლოდ კვალში,  
თუ ჭკვიანად მოიქცევი,  
არ დაგრჩები არც მე ვალში“. –

დღეს ვარსკვლავი არ ჩანს ცაზე,  
დაუფარავს ლრუბლის აფრებს,  
თუმც ეს რაა, ზღვის ტალღებზე  
ვარსკვლავივით რომ კიაფობს?!

„– გაგიმართლა, მებადურო!  
ფორტუნამ ქნა შენკენ პირი.  
ვატყობ, შენგან თავის დახსნა  
დამიჯდება მეტად ძვირი.

მოხუცს გული შეუქანდა,  
ცას ახედა ჯერ ვედრებით,  
მერე ისევ მნათობ წერტილს  
მიაშტერდა გაშმაგებით:

თუმცა მე ვარ ყოვლისშემძლე,  
მაგრამ ტყვე თუ გავხდი სხვისა,  
უსასყიდლოდ თავს ვერ ვიხსნი,  
ასეთია ნება ღვთისა.

ნებისმიერ სამ სურვილზე  
პასუხს ვაგებ ჩემი თავით,  
სხვაფრივ საქმეს ვერ გადავწყვეტთ,  
ვერც მე, ვერც სხვა, ვერსად დავით.

ერთხელ რუსმა დამიჭირა,  
მეგონა, ბევრს გამომთხოვდა:  
სამი ნატვრა აღვუთქვი და...  
სამივეჯერ არაყს მთხოვდა.

მესამე რომ გადახუხა,  
„ზაკუსკაო“, წამეტანა,  
მაგრამ ტალღამ გვერდი გაჰკრა  
და მორევში ჩაიტანა...

პირობა რომ დაარღვია,  
მისი საქმე მიტომ წახდა,  
ჩემი შეჭმა მოინდომა  
და „ზაკუსკა“ თვითონ გახდა...

კაცთ ბუნებას კარგად ვიცნობ,  
ერთი არის ყველას ნდომა:  
სიმდიდრე და მბრძანებლობა,  
მაღალ სკამზე დიდხანს ჯდომა.

თანაც ვიცი: ადამთ მოდგმა  
ხარბი ხართ და დიდი მადის,  
არ იკმარებთ, ოქროდ იქცეს,  
რაც მდინარე ზღვებში ჩადის:

სოლოლაკზე მომთხოვ ალბათ  
ბინას თორმეტოთახიანს;  
საზღვარგარეთ კიდევ – ვილებს,  
თქვენში „ქოხს“ რომ ეძახიან,

ათასობით ჯორკიდებულ  
ოქროს, ალმას-ბრილიანტებს,  
ყველაზე დიდი სკამზე ჯდომას  
და დოლარის მილიარდებს“...

„– გააჩერე, ხამსავ, ენა,  
თორემ მტრისას, შენ რომ გიყო!  
მაგ ბრჭყვიალა ნივთებით გსურს,  
გამაცრუო, გამაბრიყვო?!

დატრიალდი, შე კონსერვო,  
დრო არა მაქვს შენთან დავის.  
ან ხარ დიდი წუნურაქი,  
ან არ იცი ფასი თავის!

თორემ ხედავ მაგ ტაფაზე  
ვით თუხთუხებს ცხელი ზეთი?!  
აბა, ჩქარა დამიბრუნე,  
ჩემი ტურფა აფხაზეთი!

გამიმრთელე საქართველო  
თორემ სული ყელზე მაზის.  
თამარ მეფის საზღვრებით მსურს,  
არც სერგოს და შევარდნაძის!

და ქართველმა არასოდეს  
ქართველს ტყვია არ ესროლოს,  
ესეც – ორი და მესამეს  
ჩემთვის ვიტყვი, მერე ბოლოს“.

„– ნატვრის შნოც კი არ გქონია,  
აბდალო და ჭკუაცეტო!  
ერთი ნატვრა დაგრჩა შენთვის,  
ამით მე რა გაგიკეთო?!”

„– შენ ნუ დარდობ, ოქროს თევზო,  
მე არა მაქვს ნატვრა მეტი!  
შენ ეს ორი შემისრულე,  
მერე მთხლიშე თავში კეტი!

ქართველების ყველა ჭირი  
მოფხიკე და გამატანე,  
და სამშობლოს მთლიანობის  
საძირკველში ჩამატანე“...

„– რა ხალხი ხართ ეს კოლხები?!

ურუანტელმა დამიარა!  
ეს სამშობლო ასე ძალუე  
რა ჯანდაბამ შეგაყვარათ?!

არა! შენ ვერ გაგიმეტებ!  
ვერც ჯოხს გკრავ და ვერცა უროს!  
შენ აქ დარჩი, რომ ქვეყანას  
კვლავაც ასე ემსახურო!

შენს მაგივრად მე ჩავწები!  
დამიგდია მლაშე ზღვები!  
ოქრო ვარ და მეტხანს გავძლებ,  
ვიდრე შენი თეთრი ძვლები!“ –

თქვა ესა და ოქროს თევზმა  
მოიქნია ოქროს კუდი  
და ქვეყანა შემოსალტა  
თვალშეუდგამ ოქროს ზღუდით!

აგუგუნდა მთა და ბარი,  
გზებს გაეკვრნენ ქარავნები,  
ქართველების ჩაბრძანებას  
ტაშით ხვდება აფხაზეთი.

მიეგებნენ, მიეფერნენ,  
და გაუღეს ფართოდ კარი,  
მილოცვაზე მილოცვა თქვეს,  
სამძიმარზე – სამძიმარი.

რაც ეწყევლათ ერთმანეთი,  
ახლა ასჯერ მეტი ლოცეს,  
მერე მიდგნენ და ერთურთი,  
ჯვარედინად გადაკოცნეს.

სუფრა სუფრას გადაება,  
ქორწილებს კი – ქორწილები,  
თამადობენ ხანდაზმულნი,  
თეთრი წვერით მოსილები.

დრო უკულმა ნაბრუნალი  
შეტრიალდა ისევ წალმა,  
ნაზვრევს ვაზმა იყვავილა,  
ნაპალნარში – ისევ ბალმა.

დაბა ქალაქს დაემსგავსა,  
სოფელი კი ხდება დაბა,  
სადმე თოფი თუ გავარდა,  
ჩანს, რომ ბიჭი დაიბადა.

მეაკვნეებს ხვითქი გასდით,  
მეკუბოვეთ სძინავთ ჩრდილში,  
ყველგან ლხინის სუფრებია,  
არსად ისმის ვაი-ვიში!

„ლილეოს“ ხმა მოაქვს ენგურს,  
ეხეთქება „ოდოიას“,  
„ოდოია“ – „აფხიარცას“,  
„აფხიარცა“ – მტკვარს და ლიახვს...

და ამღერდა მთა და ბარი  
იმიერ და ამიერი,  
ბოლოს ერთხმად რომ დაჰქუხეს  
დიდი მრავალუამიერი:

მტერიც მოლბა, მოითაფლა,  
არც მელობს და აღარც გველობს,  
ამბობს: „რა დიდი ყოფილა  
ეს პატარა საქართველო!..

\*\*\*

წუთი-წუთზე, წამზე-წამი,  
ახლოვდება დრო და უამი,  
სამუდამოდ გაბრწყინდება  
საქართველოს მომავალი.

საქართველო  
გადიდდება!  
საქართველო  
გამდიდრდება!  
საქართველოს  
ვერხელყოფა  
სამუდამოდ  
დადგინდება  
და მით მამულს  
შენირულთა  
სულსაც შვება  
დაადგება!!!

\*\*\*

ეს ამბავი გეამებათ,  
ჭორია თუ მართალია,  
შაშვის სტვენაც ატებობს სმენას,  
ვიდრე მოვა მაფშალია!





„პირველი სტრიქონები“ – ესაა ახალი რუბ-რიკა, რომლითაც ჩვენი ჟურნალი თავის გვერ-დებს დაუთმობს ჩვენს მომავალს – ბავშვებს, მოზარდებს, რომლებიც კალამს ცდიან და ლი-ტერატურისადმი, მწერლობისადმი ლტოლვასა და სიყვარულს თავიანთი ნაწერებით ავლენენ. ბუნებრივია, ეს ნაწერები არ იქნება სათანადო მხატვრული დონისა, მაგრამ დიდი მდინარეებიც ხომ პანაწინა წყაროებიდან იღებენ სათავეს.

„პირველი სტრიქონების“ პირველი სტუმარია თბილისის 145-ე სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე ანანო ჯობავა. ანანოს მშობლები აფხაზეთიდან, ქ. ოჩამჩირიდან დევნილები არიან.

გთავაზობთ ანანო ჯობავას საახალწლო ჩანახატს.

## ანანო ჯობავა

### თოვლის პაპუა არსებობს!

დადგა 31 დეკემბერი. არემარე თოვლით იყო გადაპენტილი. მარიამი ემზადებოდა ახალი წლის შესახვედრად: მან დაურეკა ნანასა და მაიკოს, რომ მოსულიყვნენ და ერთად დასწრებოდნენ ახალი წლის შემოსვლას.

მარიამმა გაშალა სუფრა და ლოდინმაც დიდხანს არ მოუწია, გაისმა კარზე ზარის ხმა და მეგობრები ოთახში შემოვიდნენ. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ, შემდეგ კი დაუწერეს თოვლის ბაბუას სურვილები, შემდეგ უფროსებს სთხოვეს, რომ ეს სურვილები თოვლის ბაბუისთვის გაეგზავნათ. როცა მათ მოსწყინდათ, დაიწყეს თამაში, სიმღერა და ცეკვა, ამასობაში ჩამოკრა თორმეტმა საათმა; მეგობრები დასხდნენ მაგიდასთან და მიუჭახუნეს ჭიქები.

ტუკ-ტუკ! – გაისმა კარზე კაკუნის ხმა და მარიამმა კარი გააღო. „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა“, – გაისმა დათოს ხმა, შემოყარა კანფეტები და ყველას გოზინაყით გაუმასპინძლდა. ისიც დაჯდა მაგიდასთან და ყველამ ერთად მოილხინა.

გოგოებმა დათოს ჭკითხეს: „გჯერა თუ არა თოვლის ბაბუისო?“ სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ დათოს არ სჯეროდა, რომ თოვლის ბაბუა ნამდვილად არსებობს.

ბავშვებმა გვიანობამდე იმხიარულეს, მერე დაიძინეს.

გათენდა. მარიამმა, ნანამ, მაიკომ და დათომ ხელ-პირი დაიბანეს, გემრიელად მიირთვეს საუზმე და ამასობაში უფროსებმა თოვლის ბაბუის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები შემოიტანეს. ბავშვები შეუდგნენ საჩუქრების გახსნას. მარიამს შეხვდა ილუსტრირებული სათავგადასავლო წიგნი და ლამაზი კაბა, ნანას – ბლოკნოტი და მშვენიერი სარკე, მაიკოს – ეზოპეს ორასი იგავ-არავის კრებული და მოანას ლეგოს ასაწყობი, დათოს – პულტიანი მანქანა და წიგნი „ტომ სონერის თავგადასავალი“. დათომ გოგონებს მადლობა გადაუხადა ასეთი კარგი საჩუქრებისთვის, ეგონა, რომ იგი გოგონებმა მისთვის იყიდეს. გოგონებს გაუკვირდათ, დათო მადლობას მათ რომ უხდიდა. მათ ხომ საჩუქარი დათოსთვის არ უყიდიათ.

დათო დარწმუნდა, რომ თოვლის ბაბუა მართლაც არსებობს და მას შემდეგ სულ სჯერა თოვლის ბაბუისა.

ეს წელი მეგობრებისთვის საუკეთესო იყო, იმიტომ რომ კარგი საჩუქრები მიიღეს თოვლის ბაბუისგან.

ხედავთ, ბავშვებო? – თოვლის ბაბუის უნდა გჯეროდეთ. ვისაც ეს სჯერა, მას თოვლის ბაბუა ბევრ და კარგ საჩუქარს მოუტანს.

## **შალვა მაჩაცარია,**

ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი

## **ტოპონიმ „ეშერას“ ეტიმოლოგიისათვის**

მეგრულ ენაში ქართული „დაბლობის“ შესატყვისია სიტყვა „დობერა“.

„დობერა, დობ(ე)რა, დობირო ენოდება რამ-დენიმე ათეულ გეოგრაფიულ ობიექტს, აღნიშნავს დაბალ ნაყოფიერ ადგილს“ (პ.ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ. 2000 წ.). -რა არის მატოპონიმებელი სუფიქსი. მაგალითისთვის: ხეცერა – ხეციების სამოსახლო ზუგდიდის რ-ში (ლეხუცერო – თამაკონში, ნახეცო – მუხურჩაში), კოხორა – კოხიების სამოსახლო, საკოხიო – გეჯეთში. მსგავსად არის ნაწარმოები ტოპონიმები: მუხურა, ალეგრა, ატამარა, ჯალრა, გაძლარა, გაჯარა, კაკარა, კაკირა, კაცხარა, კოდარა, ლარა, ნახატერა, ლვანტარა, ყარა, ჩხიორა, კოჩარა, ათარა, გაგრა, აჭარა და ა.შ.

სვანურში -რა-ს ანალოგიური მატოპონიმებელი სუფიქსია -ერი: ცაგ(ეკალი) – ცაგ-ერი (ეკლიანი ადგილი), ტუიბ(ლელე) – ტუიბ-ერი, ტვიბერი (ლელიანი ადგილი), უცხ (მსხალი) – უცხ-ერი (მსხლიანი ადგილი) და ა.შ.

დღევანდელ მეგრულში უშუალოდ „მაღლობის“ აღმნიშვნელი ტერმინი დაკარგულად ჩანს. ზემოთ აღნიშნული სიტყვების შედარებების საფუძველზე შეიძლება ამ ტერმინის აღდგენა.

მეგრულში ქვევიდან ზევით მოძრაობის აღმნიშვნელი პრეფიქსია ეშე-(ეშ-, ეშა): ეშ-ულა – მაღლა ასვლა, ეშა-სხაპუა – მაღლა ახტომა, ეშა-დვალა – მაღლა დადება, ეშა-რაგვაფა – მაღლა აგდება... სიტყვა „ეშე“, „მაღლა“-ს ნიშნავს; თუ მას მივუმატებთ მატოპონიმებელ სუფიქსს -რა, ვღებულობთ „ეშე-რა“-ს (მაღ-

ლობი). ამრიგად, ქართულში გვაქვს – დაბლობი, მაღლობი, ხოლო მეგრულში – დობერა, ეშერა. ამით ნათლად გამოჩნდა ტოპონიმ ეშერა-ს ეტიმოლოგია. სიტყვა „ეშერა“, როგორც მეგრულში აღმართის აღმნიშვნელი ტერმინი, აღდგენილია და აქვს აქტიური არსებობის უფლება. ეს სახელი ჰქვია სოხუმის რაიონის ერთ-ერთ სოფელს, რაც ადასტურებს აფხაზეთში ისტორიულად არსებული ტოპონიმების ქართულ წარმომავლობას, ანუ იმას, რომ ჩრდილოკავკასიური მოდგმის ტომთა სამხრეთით ექსპანსიამდე ეშერასა და მის იქითაც მოსახლეობა ქართული იყო. ვახუშტის მიხედვით, მე-17 საუკუნეში, ლევან II დადიანის დროს, ოდიშის სამთავროს საზღვარი მდ.ბზიფზე (კაპოეტის წყალი) გადიოდა.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, აფხაზები მე-17 საუკუნისათვის „აფხაზეთის კედლის“ მიღმა ცხოვრობენ და ჯერაც ქრისტიანები არიან. ვინაიდან ეშერას გადასასვლელი ერთ-ერთი ცენტრალური უღელტეხილი იყო, ცხადია, მას შერჩა მაღლობის აღმნიშვნელი ტერმინი „ეშერა“.

საინტერესო სუფიქს -რა-ს მნიშვნელობა სვანურში, კერძოდ, ის რომელიმე ხისგან დამზადებულ მასალას აკავშირებს ამ ხესთან: წიფ (წიფელი) – წიფრა (წიფლის მასალა), ჯი (მუხა) – ჯირა (მუხის მასალა).

ჩვენი კვლევის შედეგი ხელს შეუწყობს თანამედროვე მეგრულ ენაში სადღეისოდ დაკარგული მაღლობის აღმნიშვნელი ტერმინის – ეშერას ხმარებაში დაკვიდრებას.





## ნანა ჩიჩუას ხსოვას

მიმდინარე წლის იანვარში უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, შემართებითა და ერთგულებით ყოველთვის გამორჩეული ქალბატონი ნანა ჩიჩუა.

ნანა ჩიჩუამ ცხოვრების რთული და საინტერესო გზა გამოიარა. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დასაწყისიდან, იგი მუდამ იდგა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინა რიგებში. ქალბატონი ნანა სამაგალითო იყო თავისი რწმენით, სიმტკიცითა და სიმამაცით, პრინციპულობითა და პირდაპირობით. ეს თვისებები განსაკუთრებით გამოვლინდა კანონიერი ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობის შემდეგ, როდესაც სამშობლო სისხლიანმა რეპრესიებმა, ნერგევისა და განადგურების ბნელეთმა მოიცვა და ამის

საპასუხოდ ქართველმა ხალხმა არნახული მსხვერპლი გაიღო, რათა გადარჩენილიყო სამართალი, რწმენა და მომავლის იმედი.

ამ უთანასწორო ბრძოლაში და ერის მოღალატე რეჟიმის მხილებაში ქართველმა პატრიოტმა ქალებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს. მათ თავდადებასა და სიმამაცეზე თუ რამე ითქმის, შეუძლებელია იქვე არ მოვისენიოთ ნანა ჩიჩუა – მუდამ მეწინავეთა რიგებში მყოფი, ყოველთვის წინა ხაზზე მებრძოლი, უშიშარი, უკანდაუხეველი, ალალ-მართალი, ერთგული თანამდგომი და გაუტეხელი.

ნანა ჩიჩუამ ექვს ათეულ წელზე ცოტა მეტი იცხოვრა. უდროო იყო მისი გარდაცვალება. ჩვენ მისი სახით დავკარგეთ სანიმუშო, სიკეთით სავსე მეგობარი და თანამებრძოლი, ადამიანი, რომელიც გვამშვენებდა და გვაფრთოვანებდა, რომლითაც ვამაყობდით ყოველთვის.

ქალბატონმა ნანამ ღირსეული კვალი დატოვა კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში. იგი სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებულ იმ დიდებულ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც მუდამ მადლიერებით მოიხსენიებენ მომავალი თაობები.

**გურამ აბსარე, ნეონ გურჯულაძე, გურამ პატრიაშვილი,  
როგორთ პატრიაშვილი, ირინე ტალიაშვილი, ჯეგალ  
შონია, მურმარ ზაქარაია, ლუარა გამყრელიძე, ლია  
მასეია, თეანა ზაქარაია, ლაშა გვასალია, გიორგი სიჭინავა,  
ზაურ მოლაშვილი, განგული ხუბუა, დავით ზაქარაია, კახა ჩეცხაია,  
მამუკა კაპაბაძე**

## ჩვენი ნანა

ოცდაათი წლის წინათ, როცა დაბერა თავისუფლების სიომ, ქართული სულიერების სადარაჯოზე პირველივე დღიდან დადგა და არც ერთხელ არ ჩაუმუხლავს, ერთგულ ჯარისკაცად ედგა ფარად იმათ, ვინც იპრძოდა საქართველოს მომავლისთვის. მან გამოიარა უმძიმესი დღეები, წლები... ჰქონდა ბედნიერი დღეებიც, როცა მას ხვდებოდნენ სიყვარულით, სითბოთი, როცა სიტყვა „ზვიადისტი“ მისთვის იყო სიამაყე, იყო მოვალეობა, იყო თავგანწირვა თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის...


როცა მის ირგვლივ თავს იყრიდნენ ეროვნული მოძრაობის ერთგული ადამიანები, მაშინვე ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ის თავისებური ლიდერი იყო, ვაჟკაცური და ამავე დროს ძალიან ქალური, ამას ადასტურებდა ყოველი მისი მოქმედება, მოყვასისადმი გაწვდილი ხელი, უკიდეგანოდ სიკეთის ქმნა, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უნარი. ეს მისი თვისება იყო, სხვანაირად არ შეეძლო...

ასე იცხოვრა ნანა ჩიჩუამ მთელი სიცოცხლე სხვებისთვის, თავისთვის არ დაიტოვა რა, დაიხარჯა და... თითქოს ამისათვის დაისაჯა, დაისაჯა საქართველოს სიყვარულისთვის, ადამიანების თანაგრძნობისათვის და როცა მას დასჭირდა, სათანადო თანადგომა ვერ აღმოვუჩინეთ... მისმა მუდამ მბორგავმა, ამაყმა სულმა ვერ აიტანა მისთვის უჩვეულო ამპლუაში ყოვნა და მრავალ ჭირვარამგამოვლილმა გულმა შეწყვიტა ძგერა. მოულოდნელად წავიდა, ვითარცა ეული და მიუსაფარი... ეს იყო ალპათ მისი ბედისწერა... ეს არის ჩვენი მოუშუშებელი იარა.

დადიოდა თბილისში პატარა, მწვანეთვალება, ლამაზი ქალი, სიყვარულით გაუღენთილი გულით, სიცოცხლით სავსე, მუდამ ელეგანტური, გემოვნებით შერჩეული სამოსით და ორიგინალური სამკაულით დამშვენებული ჩვენი ნანა, დადიოდა და... წავიდა მარადიულ სასუფეველში... წავიდა, მაგრამ ჩვენს სსოვნაში მარად დარჩება ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლოდ.

### ლია მასებია

## მეგობრის გახსენება



ორმოცი დღე გავიდა უკვე, რაც ჩვენთან არ არის **ჯემალ პერტაია**, ჩვენი ტომბა – სიკეთით, სიყვარულით გამორჩეული პიროვნება, ალალ-მართალი კაცი, სამაგალითო მეგობარი, მზრუნველი, ერთგული მეოჯახე – მეუღლე, მამა, ბაბუა...

ამ ყველაფერთან ერთად, ჯემალ პერტაია შესანიშნავი შემოქმედი იყო, წერდა მშვენიერ ლექსებს, გამოსცა ორი პოეტური კრებული... ავტედითმა მოვლენებმა – აფხაზეთის ტრაგედიამ, დევნილობამ, გაჭირვებამ ხელი შეუშალა მის კალამს, მის ნიჭს, რომ უფრო გაბრწყინებულიყო, მეტი ნაყოფიერებით გამორჩეულიყო, მაგრამ ისიც, რაც დატოვა, ნათლად მეტყველებს მის ღრმა სულიერებაზე, განცდათა სიწრფელეზე და გვჯერა, რომ მისი ლექსები კვლავაც იპოვიან მკითხველის გულს.

მოულოდნელი იყო მისი ამქვეყნიდან წასვლა. მისმა გარდაცვალებამ გული დაგვწყვიტა ყველას და ცარიელად დატოვა ის ადგილი, რომელსაც იგი

იკავებდა თავისი კოლორიტულობით, თავისთავადობით.

ნათელში იყავ, ჩვენო ძმაო და მეგობარო! აგხდენოდეს ყოველი ლოცვა, რომელსაც შენ ზეციური სამყოფელიდან არასოდეს მოაკლებ შენს საყვარელ ოჯახს, შენს მეგობრებსა და ახლობლებს, შენს ადგილის დედას – მშობლიურ აფხაზეთსა და სრულიად საქართველოს!

**დიური აფხაზავა, მურმან ზაქარაია, ემირ ცყაროზია, ნელი კოპალიანი, ლურა გამყრელიძე, ჯემალ შონია, გიორგი სიჭინავა, ზაურ მოლაშეია, ლაშა გვასალია, კახა ჩეცხაია, ვალერიან ვეკუა, ორლენ ცულაია**



## ბელიხი ტე


ჩვენისთანა ბელიხი  
განა არის სადმე ერი?  
მძიმე ყალნით,  
ლამაზ ფალნით  
მორთული და მშვენიერი;  
უწყინარი,  
უჩივარი,  
ქედლრეკილი, მაღლიერი;  
უშტოოთველი,  
ქვემძრომელი,  
რიგიანი, წესიერი;  
ყოვლად მთმენი,  
ვით ჯორ-ცხენი,  
ნახელნი და ლონიერი.

ჩვენისთანა ბელიხი  
განა არის სადმე ერი?!  
ყველა უნჯი,  
ყველა მუნჯი,  
გულჩვილი და ლმობიერი;  
თვალაბმული,  
თავაკურული,  
პირს ლაგამი ზომიერი;

ყველა ყრუი,  
ყველა ცრუი,  
ჭკვალამჯლარი, გულხმიერი;  
მცირე, დიდი -  
ყველა ფლიდი,  
ცელლუტი და მანქიერი.

ჩვენისთანა ბელიხი  
განა არის სადმე ერი?!  
მტვერწაყრილი,  
თავდახრილი,  
ყოვლად უქმი, უდიერი;  
უზლუდონი,  
გზამრუდონი,  
არგამტანი და ცბიერი;  
მტრის არმცნობი,  
მოყვრის მგმობი,  
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;  
არრის მქონე,  
არრის მცოდნე,  
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბელიხი  
კიდევ არის სადმე ერი?



**ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე**

**კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია; თეკლე შონია**

**დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი**

**დიზაინი: ირაკლი უშვერიძე**

**ავტორებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მასალების ელექტრონული ვერსია**

---

**აინტერესი და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“**

**მ. ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11**

**დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში**

**მ. ქავჭავაძის გამზ. №19, ტელ. 2-22-36-09**